1425
2013

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალი

10 (182) 10 მაისი, 2013 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი ფასი 2 ლარი



ლაზიკების“
აცეცხლე
თლობა
ედგა

განახლებული „არსენალი“
შემდეგი ნომრიდან!

ინ მოკლა ამერიკელი
ზვერავი საქართველოში?

ბრძოლა
ახალციხისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა




9 წლის „არსენალს" განახლების დრო დაუდგა

7



ჯორჯ ვაშინგტონი

48



მცურავი ავტომობილები

34



თანამედროვე საჰაერო-საზღვაო ოპერაციები და მისი ევოლუცი

21



დაწუნებული ქართველი ოფიცერი ამერიკულ არმიაში

16

ФСБ-ს შეკვეთილი ჯავშანქილეტების მხვრეტავი...



55

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

კალეიდოსკოპი
4 სამხედრო სიახლეები
სიახლე
7 9 წლის „არსენალს" განახლების დრო დაუდგა
რეპორტაჟი
8 „ლაზიკების" საცეცხლე ნათლობა შედგა
ფარული ომი
10 ვინ მოკლა ამერიკელი მზვერავი საქართველოში?
რეგიონი
14 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა
ინტერვიუ
16 სამშობლოში დაწუნებული ქართველი ოფიცერი ამერიკულ არმიაში
პროფესიონალის თვალთახედვა
19 საჰაერო თავდაცვის აქტუალურობა და განვითარების ასპექტები
ფლოტი
21 თანამედროვე საჰაერო-საზღვაო ოპერაციები და მისი ევოლუცია
ინოვაციური ტექნოლოგიები
25 X-37 უპილოტო „შატლი" საიდუმლო მისიებისთვის
მეომრები
30 500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან
საბრძოლო მანქანები
34 მცურავი ავტომობილები
სპეცოპერაციები
38 „ანგელოზთა" ხვედრი
ორი სტიქიის მბრძანებლები
42 საგემბანო ავიაცია
საქართველოს წარსული
45 ბრძოლა ახალციხისთვის
100 დიდი მხედართმთავარი
48 ჯორჯ ვაშინგტონი
კროსვორდი
53 არსენალვორდი
„არსენალის" იარაღის გალერეა
53 ФСБ-ს შეკვეთილი ჯავშანჟილეტების მხვრეტავი...

გარეკანზე: საქართველოს სპეციალური ოპერაციების ძალების სნაიპერი

პალიტრა მედია

## რედაქციისგან

8-9 მაისი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეა. მას დასავლეთში — 8 მაისს, ყოფილ საბჭოთა კავშირში კი 9 მაისს ზეიმობენ, თუმცა მთავარი ეს არ არის — უფრო მნიშვნელოვანია, რომ 68 წლის წინ მსოფლიოს დიდმა ნაწილმა შეძლო დაევიწყებინა ერთმანეთთან დაპირისპირება და საერთო ძალებით წინ აღუდგა ჰიტლერის ანტისაკაცობრიო დამღუპველ პოლიტიკას და დაამარცხა ის.

ძალზე სასიამოვნოა, რომ მეორე მსოფლიო ომის მოგებაში თავისი წვლილი საქართველოს შვილებმაც შეიტანეს, თუმცა არც ის არის დასავიწყებელი, რომ ქართველების მცირე ნაწილი ფაშისტური გერმანიის ინტერესებისთვისაც იბრძოდა.

„არსენალი" ულოცავს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს ამ დიდ გამარჯვებას!

მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
თვეში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
6.05.2013

გაზეთ „კვირის პალიტრის"
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (221)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@palitra.ge
ჟურნალი გამოდის
თვეში ერთხელ

# როგორ ზრდის „ალ-ქაიდა“ კამიკაძე-ტერორისტებს



ახლახან „ალ-ქაიდამ“ ინტერნეტში შოკის მომგვრელი ვიდეოფირი გაავრცელა, რომელიც ვაზირისტანში – პაკისტანსა და ავღანეთს შორის საზღვრის მთიან რეგიონშია გადაღებული.

კადრებში სამხედრო ბანაკი მოჩანს, სადაც ბავშვები ავტომატებისა და პისტოლეტების სროლასა და ხელყუმბარის გამოყენებას სწავლობენ. ბევრი მათგანი ჯერ ექვსი წლისაც არ არის...

ამ ბავშვების უმეტესობა ისლამისთვის „თავდადებულთა“ ვაჟია. ისინი 15 წლის ასაკიდან „თალიბანის“ არმიის სრულფასოვანი მებრძოლები, ზოგიერთი კი სულაც კამიკაძე-ტერორისტი გახდება.

# ავსტრალიელები მფრინავ ჰიბრიდზე დიდ იმედს ამყარებენ

ავსტრალიურმა კომპანია Stop-Rotor-მა საფრენი აპარატის პროტოტიპი შექმნა Hybrid RotorWing-ის ტექნოლოგიის საფუძველზე, რომელშიც საჭირო დროს გამწევი ხრახნის უმოძრაო ფრთებად გარდასახვის პრინციპია გამოყენებული. შედეგად, მოდელს შვეულმფრენის მსგავსად ვერტიკალური აფრენა და თვითმფრინავივით ჰორიზონტალური ფრენა შეუძლია. ამასთან, შვეულმფრენისა თუ თვითმფრინავის რეჟიმის შეცვლა ფრენის დროსვე არის შესაძლებელი.

პროტოტიპმა გამოცდა უკვე გ
იარა. კონსტრუქტორები კი DA
PA-ში წარდგენას გეგმავენ, რა
მოდელი პროგრამა VTOL X-Plane
ში ჩაერთოს. ეს პროგრამა კი მ
მავლის საფრენი აპარატის შექმ
ითვალისწინებს.

მსგავსი ტიპის შვეულმფრ
თვითმფრინავებზე კომპანიაში დ
იმედს ამყარებენ და ვარაუდობ
რომ მათი გამოყენება განსაკუთრ
ბით შედეგიანი სამაშველო ოპერ
ციებში, დაზვერვასა და სამხედრ
საქმეში იქნება.



# ტერმინატორების წინააღმდეგ მსოფლიო ერთიანდება



ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაც
Human-მა „რობოტ-მკვლელების“ აკრძალვისთვის კამპანია წამ
იწყო და საერთაშორისო კოალიციასაც ჩაუყარა საფუძველი. მ
ზანი სრულიად საკაცობრიო შეთანხმების მიღწევაა, რომელიც შ
იარაღებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას მის შექმნამ
აკრძალავს.

კამპანიას, რომელსაც „რობოტი-მკვლელების“ საწინააღმდ
გოც შეგვიძლია ვუწოდოთ, უკვე შეუერთდნენ ის არასამთავრობ
ორგანიზაციები, აქამდე კასეტური ბომბების, ქვეითთა საწინაა
მდეგო ნაღმებისა თუ დამაბრმავებელი ლაზერის გამოყენებას რ
გმობდნენ.

სადღეისოდ საბრძოლო რობოტების შექმნასთან ყველაზე ა
ლოს შეერთებული შტატებია, რომელიც უპილოტო აპარატებს ა
ღანეთში, პაკისტანსა და იემენში უკვე აქტიურად იყენებს.

ფანტასტიკური ფილმის პერსონაჟ ტერმინატორის მსგავსი სა
ვდილის მანქანა კი უკვე ჰყავს სამხრეთ კორეას და მას სხვადასხ
ობიექტის დასაცავად და საზღვარზე სადარაჯოდ იყენებს. რობო
დასაცავ ტერიტორიაზე შეუძლია როგორც უცხო პირის აღმოჩენ
ისე მასთან „გამოლაპარაკება“ და საჭიროების შემთხვევაში (ად
მიანი-ოპერატორისგან ნებართვის შემდეგ) მისთვის ცეცხლის გა
სნაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუნდური ვიდეოთამაშების მონაწილეები – ეს ნამდვილი არმიაა!



პარიზში მიმდინარე ინტერნეტ-ტექნოლოგიების კონფერენცია CHI-2013-ზე მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ მრავალი ონლაინ-თამაში, მიზნის მიღწევის სირთულის გათვალისწინებით, ლამის აღარაფრით ჩამოუვარდება არმიაში სამსახურს და მასში ჩართული ადამიანები ძალაუნებურად ერთიანდებიან სტრუქტურაში, რომელიც შეიარაღებულ ძალებში არსებული იერარქიის ასლია.

ასეთი დასკვნის საფუძველი მკვლევრებს ვიდეოთამაშ Halo 2-ზე დაკვირვებამ მისცა. კომპანია „მაიკროსოფტის“ ორგანიზებულ ამ მასშტაბურ თამაშში 250000 კაცი მონაწილეობდა, მისი ამოცანა კი უცხოპლანეტელ არსებათა კაცობრიობის წინააღმდეგ შეთქმულების გამჟღავნება იყო. დაშიფრული შეტყობინებების გაგება დამოუკიდებლად შეუძლებელი იყო და ამიტომ მონაწილენი გუნდებად ერთიანდებოდნენ, რათა კონკურენტებისთვის ეჯობნათ. მეტ-ნაკლებად წარმატებული გუნდების თამაშის ტაქტიკის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ მათთვის გამარჯვება რეგულარული არმიის მსგავსი სტრუქტურით მოქმედებას მოჰქონდა. ასეთ გუნდებში იერარქია მკაცრად იყო განსაზღვრული: თამაშის სტრატეგიას „გენერლები“ ადგენდნენ, მითითებებს „ლეიტენანტები“ იძლეოდნენ, „რიგითები“ კი კონკრეტულ ამოცანებს ასრულებდნენ.

# მედუზა-ჯაშუში?

ვირჯინიის სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის კოლეჯის საინჟინრო ჯგუფი რობოტ-მედუზას პროექტზე მუშაობს, რომელსაც Cyro დაარქვეს. რობოტის დანიშნულება კი ჯაშუშობაა.

პროექტზე მუშაობა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო კვლევების სამმართველოს ხუთწლიანი გრანტით მიმდინარეობს. კოლეჯის სტუდენტები კი იმედოვნებენ, რომ მათი გამოგონება სამხედრო-საზღვაო ძალების მოწონებას დაიმსახურებს და არცთუ უსაფუძვლოდ.

მედუზა-რობოტს 8 მექანიკური ფეხი აქვს, ზემოდან კი სილიკონის „ქუდი“ ახურავს. ასეთი კონსტრუქციით 1,7 მ სიგრძის აპარატი, რომელიც 77 კგ-ს იწონის, მედუზას მსგავსად გადაადგილდება.

რობოტი აკუმულატორზე მუშაობს და მისი მეშვეობით 3-4 სთ-ს ავტონომიურ რეჟიმში დაცურავს. ის აღჭურვილია სენსორებითა და სათანადო კამერებით, რითაც განსაზღვრული კურსით მოძრაობს და თვალთვალს ახორციელებს.



# ამერიკელ სამხედროებს GPS-ი მოჰბეზრდათ



აშშ-ის არმია პოზიცირების ახალი გლობალური ტექნოლოგიის შექმნას ესწრაფვის, რომელმაც მომავალში GPS-ზე სამხედროების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად უნდა შეასუსტოს. პროექტზე პენტაგონის პერსპექტიული კვლევების სამმართველო და მიჩიგანის უნივერსიტეტი ერთად მუშაობენ.

როგორც ირკვევა, ამ პროექტით მეცნიერებმა უკვე შექმნეს მოწყობილობა, რომელსაც თანამგზავრული კავშირის სისტემის გარეშეც შეუძლია კოორდინატების დადგენა. მისი მუშაობის პრინციპი კი ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია.

რაც შეეხება „მოძველებულ“ ტექნოლოგია GPS-ს, რომელიც თანამგზავრულ კავშირზეა აგებული, გასული 70-იანი წლების ბოლოს შეიქმნა და 80-იანი წლებიდან დაინერგა. თავდაპირველად, GPS-ი წმინდა სამხედრო პროექტი იყო, თუმცა დროთა განმავლობაში ის ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.

ამერიკელი სამხედროები წუხან, რომ ძალიან არიან GPS-ზე დამოკიდებული. ტექნოლოგია გამოიყენება თვითმფრინავების სანავიგაციო სისტემებში, ზოგიერთ საავიაციო და საარტილერიო საბრძოლო საშუალებაში, პერსონალურ კომპიუტერებსა და უპილოტო აპარატებში. GPS-ის სიხშირის ჩახშობას ან დაჭერას კი შეიარაღების სისტემების მუშაობის შეფერხება შეუძლია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოდნა იარაღის შექმნასაც უნდა და განადგურებასაც!



რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, მექსიკელ სამხედროებს არა მხოლოდ იარაღის შექმნაზე, მის განადგურებაზეც უწევთ ზრუნვა და შესაბამისი დანიშნულების „საამქროებიც“ აქვთ. განადგურების პროცესი კი, არცთუ იშვიათად, ლამის სამრეწველო მასშტაბს იღებს.

საზოგადოდ, ქვეყანაში სამხედროებს უფრო ენდობიან, ვიდრე პოლიციას და ამიტომაც ნარკოკარტელებიდან კონფისკაციით ამოღებულ ცეცხლსასროლ იარაღს პირდაპირ სამხედრო ბაზებში გზავნიან.

სამხედრო ბაზაში თავდაპირველად იარაღს ახარისხებენ, შემდეგ კი შეძლებისდაგვარად ანაწევრებენ, წვავენ ან უზიანებენ მექანიზმს ისე, რომ გამოუსადეგარი გახდეს. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნარკობარონთა არსენალში თავისი ადგილი ძვირფასი ლითონებითა თუ თვლებით გაწყობილ, ხელოვნების ნიმუშად ქცეულ პისტოლეტებს, ავტომატებსა თუ თოფებს უკავიათ და მათ „მოპყრობაც“ შესაბამისი სჭირდებათ.

ცნობისთვის, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მექსიკაში ნარკომაფიასთან ბრძოლამ 70 ათასი კაცი იმსხვერპლა, კონფისკაციით ამოღებულ უკანონო იარაღს კი თვლა რომ არა აქვს, ფაქტია...



# მფრინავები სუპერსმენით — ახალი სისტემა ყურსასმენებში 3D ბგერას შექმნის

აეროკოსმოსურმა კომპანია Raytheon-მა სამხედრო მფრინავებისთვის ახალი სისტემა 3D Audio შექმნა, რომელიც პილოტს საფრთხის სახეობისა და მისი ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ სმენით შეატყობინებს.

საერთოდ, მფრინავთა ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ ბგერას ყურსასმენებში არა აქვს მკაფიოდ გამოხატული მიმართულება. თუკი პილოტს ესმის რამდენიმე რადიოშეტყობინება სხვადასხვა წყაროსგან, ბგერები ერთმანეთში ირევა და გაურკვეველი ხდება. ახალი სისტემა კი პილოტებს რამდენიმე რადიოარხის ერთდროულად გარჩევას შეაძლებინებს.

სისტემის ხმოვანი ეფექტის უკ... გასაგებად, შედარება ოთახის ცე... ტრში მყოფი ადამიანის სმენასთ... შეიძლება, რომელსაც სხვადასხ... კუთხეში მყოფი პირები ესაუბრებ... ან. ის კარგად და ზუსტად არჩევ... ვინ რას ეუბნება მაშინაც, თუკი ე... თბაშად რამდენიმე ელაპარაკებ... სისტემის კიდევ ერთი მნიშვნელო... ვანი ფუნქცია გარე საფრთხეებ... აუდიოგაფრთხილებაა. ფაქტობრ... ვად, მფრინავი გაიგებს იმის ხმას... რაც თვითმფრინავის ბორტს მილ... კილომეტრებში ხდება და თან გაარ... ჩევს, რომელი მხრიდან მოდის ბგ... რა. შედეგად, უფრო სწრაფად შე... ლებს მოწინააღმდეგის თავდასხმა... რეაგირებას.



# ახალი ბინოკლი პირის ვინაობას 200 მეტრში ამოიცნობს

აშშ-ის სამხედრო მეზღვაურები სპეციალური ბინოკლის მოლოდინში არიან, რომელიც პირის ვინაობას 200 მეტრში ამოიცნობს. ახალ ოპტიკურ მოწყობილობას საფუძვლად დაედება კალიფორნიული ფირმა StereoVision Img-ის პროექტი — ადამიანის სახის ამომცნობი უკაბელო 3D-სისტემა.

პროექტის მიზანი არა განსაზღვრულ მანძილზე მყოფი ადამიანის სახის ზუსტი გამოსახულების მიღება, არამედ მისი თვალის ბადურის სკანირებით იდენტიფიკაციაა. მას შემდეგ, რაც ბინოკლი ამა თუ იმ ადამიანის თვალის ბადურას დააფიქსირებს, ვინაობის დადგენისთვის მონაცემთა ბაზას უსადენო კავშირით გადაუგზავნის. ამასთან, ბინოკლის გამოყენება შესაძლებელი იქნება ჩვეულებრივ ოპტიკურ ხე... საწყოებში, რომელიც სამხედრ... მეზღვაურისთვის აუცილებელია.

გამოსაცდელი პერიოდი 15 თვი... განისაზღვრა, რის შემდეგაც ჯ... დოსნური ბინოკლის კონსტრუქცი... ამ საბოლოო სახე უნდა მიიღოს.



# 9 წლის „არსენალს“ განახლების დრო დაუდგა




სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“ 26 მაისს 9 წლის ხდება — „არსენალის“ პირველი ნომერი 2004 წლის 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე სამხედრო აღლუმის მონაწილეებს საჩუქრად დაურიგდათ.

მას შემდეგ ბევრმა რთულმა დრომ განვლო როგორც საქართველოსთვის და მისი მოსახლეობისთვის, ისე „არსენალის“ რედაქციისა და მისი ერთგული მკითხველისთვის. იყო პერიოდი (განსაკუთრებით ოქრუაშვილისა და ახალაიას თავდაცვის მინისტრობის პერიოდებში), როდესაც „არსენალს“ სამშობლოს მოღალატეების ჟურნალად თვლიდნენ და ვისაც უნახავდნენ სამხედრო ნაწილში, კაპრალი იქნებოდა თუ ოფიცერი, დიდი უსიამოვნება არ ასცდებოდა, სამხედრო სამსახურიდან გაგდების ჩათვლით.

2007 წლის ნოემბრიდან ყოველთვიურმა „არსენალმა“ ორ კვირაში ერთხელ დაიწყო გამოსვლა. პერიოდულობის გაზრდა განაპირობა იმ სამხედრო-პოლიტიკურმა დაძაბულობამ, რომელიც 2007-2008 წლების გასაყარზე არსებობდა და რომელმაც სამწუხაროდ აგვისტოს ომამდე და მის მწარე შედეგებამდე მიგვიყვანა.

იმ პერიოდში სამხედრო თემატიკით მკითხველის დაინტერესება ბევრად დიდი იყო, თუმცა აგვისტოს ომის შემდგომი იმედგაცრუების გამო (თუნდაც იმიტომ, რომ მაშინდელი ხელისუფლება მოსახლეობას ქართული არმიის უძლეველობაში დღედაღამ არწმუნებდა) ინტერესი არმიის მიმართ მნიშვნელოვნად დაეცა, რასაც ხელი შეუწყო საზოგადოებისგან არმიის იზოლირებამ და შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის სრულად მოშლამ. შორს რომ არ წავიდეთ, ჟურნალისტებს (გარდა ხელისუფლებასთან დაახლოებული რამდენიმე სატელევიზიო არხისა და ერთი-ორი ჟურნალ-გაზეთისა) მაშინდელი თავდაცვის უწყება, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის აგენტებად მიიჩნევდა!

დღეისათვის, საბედნიეროდ, სიტუაცია შეიცვალა. თავდაცვის სამინისტროც და შეიარაღებული ძალები ნელ-ნელა იხსნება საზოგადოებისთვის, მასმედიისთვის და უფრო გამჭვირვალე ხდება. ამ ეტაპზე მეტი ყურადღება არმიის საბრძოლო წვრთნებსა და სამხედრო მოსამსახურეების განათლების დონის ამაღლებას ეთმობა, რაც ნამდვილად მისასალმებელია. წინსვლას არც ჩვენ გვინდა ჩამოვრჩეთ და გადავწყვიტეთ „არსენალი“ 9 წლის თავზე უფრო მიმზიდველი, ბევრის მომცველი და, რა თქმა უნდა, მეტად საინტერესო გავხადოთ. სადაც მისთვის საყურადღებო თემებს მკითხველთა უფრო დიდი სპექტრი მიაგნებს — მოზარდებიც, თინეიჯერებიც, სტუდენტებიც, მუშებიც, გლეხებიც და პენსიონერებიც. რა თქმა უნდა, ჩვენი ლამაზი მანდილოსნებიც არ დავივიწყეთ, რომლებიც განახლებულ „არსენალში“ იმედია, მათთვის საინტერესო სტატიებსაც ნახავენ.

ახალი რუბრიკების გამოჩენა განახლებული „არსენალის“ მოცულობას გაზრდის, რაც რამდენიმე ათეული გვერდის დამატებას მოითხოვს. უფრო მოცულობითი „არსენალის“ თვეში ორჯერ გამოშვება ჩვენ ძალზე მცირერიცხოვან რედაქციას ძალზე გაუჭირდებოდა, ამიტომაც განახლებული „არსენალი“ ისევ ყოველთვიური გახდება და ყოველი თვის ბოლო რიცხვებში გამოვა მომავალი თვის სახელით (მაგალითად, ივნისის განახლებული და გაზრდილი „არსენალის“ ნომერი მაისის ბოლო დღეებში იხილავს სინათლეს და ა.შ.)

რამდენიმე ათეული ფურცლის დამატება განახლებულ „არსენალს“ ფასსაც მოუმატებს, რადგან, სამწუხაროდ, ასეთია რეალობა იმ ჟურნალისთვის, რომელიც მხოლოდ თვითდაფინანსებით ცხოვრობს, ანუ თქვენი დახმარებით, პატივცემულო მკითხველო, და აქამდე არ მიუღია არავითარი გრანტი.

განახლებულ „არსენალში“ თანდათან ათამდე ახალი რუბრიკა გამოჩნდება, რომელთა შორის აუცილებლად იქნება „მკითხველის გვერდი“, რომელშიც დიდი სიამოვნებით გავცემთ პასუხს თქვენს შეკითხვებს, რაც გააუმჯობესებდა მკითხველსა და რედაქციას შორის მჭიდრო ურთიერთობას.

„არსენალის“ მსგავსი სამხედრო თემატიკის დამოუკიდებელი ჟურნალი არც საქართველოშია და არც სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში. ჩვენც ვიცით, რომ ჟურნალი იდეალური არ არის, შეცდომებიც გვეპარება, მაგრამ უდიდესი სურვილი გვაქვს ჩვენს ერთგულ მკითხველთან ერთად კვლავ გავაგრძელოთ სამხედრო (და არა მარტო) თემების ობიექტური გაშუქება და რაც მთავარია, ბევრ მოზარდსა და ახალგაზრდას შევაყვაროთ სამხედრო საქმე, რათა ისინი მომავალში ჩვენი სამშობლოს — საქართველოს პროფესიონალ დამცველთა რიგებში ჩადგნენ!

***პატივისცემით, „არსენალის“ რედაქცია***



# „ლაზიკების“ საცეცხლე ნათლობა შედგა

## ახალი მთავრობა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით პირველად დაესწრო მასშტაბურ სამხედრო სწავლებას „ისარი-013“

საქართველოს შეიარაღებული ძალების 22-ე წლისთავი 30 აპრილს ვაზიანის პოლიგონზე საჩვენებელი საველე-ტაქტიკური სწავლება „ისარი-013“-ით აღინიშნა, რომელსაც საპატიო სტუმრების რანგში დაესწრო ახალი მთავრობის მთელი შემადგენლობა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით.

საჩვენებელ სწავლებაში მთავარი როლი სპეციალური ოპერაციების ძალების დანაყოფებმა შეასრულეს, რაც არც იყო მოულოდნელი, რადგან თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას მანამდეც არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება სწრაფი რეაგირების დანაყოფების მომზადებისა და საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებაზე.

სწავლების სცენარი რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. ჯერ დამსწრე სტუმრებს, უცხოელ სამხედრო ატაშეებსა და ჟურნალისტებს უჩვენეს სპეცრაზმელთა ფიზიკური მომზადების სახეობები, რომლებსაც დაინვალიდებული, მაგრამ მაღალი საბრძოლო სულისკვეთების ოფიცერი ხელმძღვანელობდა.

მეორე ეტაპზე რვაკაციანმა სპეცრაზმმა შეასრულა საფრების გამოყენებითა და სროლა-სროლით გადაადგილების მოქმედება, როდესაც ისინი ერთმანეთის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ.

შემდეგ გათამაშდა შენობიდან მძევლის გათავისუფლების სცენა, რისთვისაც შენობის დეკორაციას ერთი კედელი მოხსნილი ჰქონდა, რათა სტუმრებს კარგად დაენახათ სპეცრაზმელთა მოქმედების ტაქტიკა. შენობასთან ჩასაფრებულმა სპეცრაზმელებმ პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერების გამოყენებით ჯერ შენობის კარ აააფეთქეს, შემდეგ კი მეორე სართულზე გამაგრებული ტერორისტები „დახოცეს“ და მძევალი გაათავისუფლეს.

საინტერესო გახლდათ სპეცოპერაციის ადგილიდან სპეცრაზმელთა და მძევლის სწრაფი ევაკუაციის სქმა. სპეცოპერაციის დამთავრებისთანვე შენობის დეკორაციასთან Ми-8M ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვულმფრენი (ეს ბორტი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება ქართულ სამხედრ ავიაციაში, ამასთან, აღჭურვილია თანამედროვე ელექტროოპტიკური მოწყობილობებით მისკენ გაშვებული საზენიტო რაკეტების აღმოსაჩენად) მიფრინდ



ეს ქართული ქვეითთა საბრძოლო მანქანების „ლაზიკების“ პირველ საცეცხლე ნათლობა გახლდათ, როდესაც მათ წარმოსახვი მოწინააღმდეგეს დისტანციურად მართვადი 23 მმ-იანი ავტომატურ ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით ცეცხლი გაუხსნ

და მიწიდან ოციოდე მეტრში ჩამოეკიდა. შვეულმფრენის სატვირთო კაბინის ძირზე დატანებული ლიუკიდან ეკიპაჟმა მსხვილი ბაგირი ჩაუშვა, რომელზეც ორ-ორად დამაგრდნენ სპეცრაზმელები (ერთ-ერთს მძევალი ჰყავდა ჩაბარებული) და ასე, ბაგირზე ჩამოკიდებული „წაიყვანა" შვეულმფრენმა.

ამის შემდეგ ნაჩვენები იქნა ჩასაფრება გზაზე, როდესაც კარგად შენიღბულმა სპეცრაზმელებმა „მოწინააღმდეგის" პიკაპი აფეთქებით გააჩერეს, შიგ მსხდომი მწყობრიდან გამოიყვანეს და მანქანა გაიტაცეს.

შემდეგ სწავლებაში ორი Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენი ჩაერთო, რომლებმაც უმართავი რეაქტიული ჭურვების ზალპებით საჰაერო დარტყმა მიაყენეს „მოწინააღმდეგის" პოზიციებს, რაც შეიძლება შთამბეჭდავი იყო მთავრობის წევრებისთვის, თუმცა ჩვენ აუცილებლად შევნიშნავდით, რომ შვეულმფრენების ეკიპაჟებმა საბრძოლო ვირაჟიდან გამოსვლისას არ გაუშვეს ე. წ. სითბური ხაფანგები (АСО-2В ტიპის მოწყობილობა, რომელიც მაღალ ტემპერატურაზე წვად რაკეტებს ისვრის და იზიდავს სითბური დამიზნებისთავიან საზენიტო რაკეტებს, მაგალითად, „სტრელებსა" თუ „იგლებს"), რაც რეალურ საბრძოლო სიტუაციაში შეიძლება ტრაგიკული შედეგით დამთავრებულიყო, რადგან რეალური მოწინააღმდეგე საჰაერო შეტევიდან გვერდითა მანევრით გამოსულ შვეულმფრენს აუცილებლად მიაყოლებდა საზენიტო „სტრელას".

„მფრინავი ნიანგების" შემდეგ ტრიბუნის სიახლოვეს ორი Ми-8МТ ტიპის შვეულმფრენმა (მათგან ერთი ადრე სასაზღვრო პოლიციის ცალკეულ საავიაციო ესკადრილიას ეკუთვნოდა) ისევ ბაგირების გამოყენებით (ოღონდ ამჯერად ბაგირები შვეულმფრენების მარცხენა კარებიდან იყო ჩამოშვებული) ტაქტიკური დესანტი გადმოსხეს (დესანტის გადმოსხმის პერიოდში ორივე საბრძოლო Ми-24 საჰაერო დაცვას ახორციელებდა, თუმცა ისევ სითბური ხაფანგების გაშვების გარეშე).

მიწაზე გადმოსხმულ ტაქტიკურ დესანტს საცეცხლე მხარდაჭერა სპეციალური ოპერაციების ძალების კუთვნილმა „კობრას" ტიპის ოთხმა ჯავშანმანქანამ გაუწია. სპეცრაზმელები ერთ ხაზზე განლაგდნენ და „მოწინააღმდეგეს", რომელსაც ძველი საბურავების გროვები, ასევე სამიზნეებად ქცეული ერთი Т-55 ტიპის ტანკი და ერთი БМП-1 ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანა წარმოადგენდა, ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს M4-ებითა და ყუმბარსატყორცნებით.

პოლიგონზე „წარმოუდგენელი" რამ ტრიალებდა (ყოველ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის იმ წევრებისთვის, ვინც აქამდე სამხედრო საქმისგან ძალიან შორს იყვნენ) — ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვების მოხვედრის გამო უზარმაზარი ძალის აფეთქებები საბურავებს ჰაერში 50 მეტრამდე ისროდა, ქვეითთა საბრძოლო მანქანა და ტანკი ცეცხლის ალში იყვნენ გახვეული...

რა თქმა უნდა, სწავლების ორგანიზატორებმა პატარა სამხედრო ეშმაკობას მიმართეს ეფექტის გასაძლიერებლად და სამიზნეებში — ტანკსა და ქვეითთა საბრძოლო მანქანაში, სავარაუდოდ, ნახერხი ჩაყარეს, რათა ცეცხლის დიდი და ხანგრძლივი კერა წარმოქმნილიყო. ვინაც სამიზნედ მდგარი ასჯერ დაზიანებული ტანკისთვის კუმულაციურქობინიანი რეაქტიული ჭურვი უსვრია ყუმბარსატყორცნიდან, დაგვეთანხმება, რომ ტანკში არც არაფერი აფეთქდება და არც ცეცხლი გაჩნდება, რადგან მასში აღარც საწვავია და არც საბრძოლო საჭურველი.

ცოტა ხანში პოლიგონზე სამი ერთეული „დიდგორის" ტიპის ჯავშანმანქანა შემოვარდა, საიდანაც დესანტირებული სპეცრაზმელები „ბრძოლაში" ჩაერთნენ, ხოლო „დიდგორებში" მსხდომმა ეკიპაჟებმა დისტანციურად მართვადი მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი გახსნეს.

თუკი „დიდგორები" შეტევის მარცხენა ფლანგს ამაგრებდნენ, მარჯვენა ფლანგზე სამი მუხლუხიანი „ლაზიკა" შემოგრიალდა.

ეს ქართული ქვეითთა საბრძოლო მანქანების „ლაზიკების" პირველი საცეცხლე ნათლობა გახლდათ, როდესაც მათ წარმოსახვით მოწინააღმდეგეს დისტანციურად მართვადი 23 მმ-იანი ავტომატური ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით ცეცხლი გაუხსნეს.

ამის შემდეგ ბრძოლაში მძიმე არტილერია ჩაერთო. დახურული პოზიციიდან პირველი საარტილერიო ბრიგადის ზალპური ცეცხლის რეაქტიულმა სისტემებმა რამდენიმე სარაკეტო ზალპი გააკეთეს, ხოლო ნაღმსატყორცნების გათვლებმა საკვამლე ნაღმებით კვამლის ფარდა „ჩამოაფარეს".

როგორც საჩვენებელი სწავლებების დროს ხდება (არა მარტო საქართველოში), „ჩვენებმა გაიმარჯვეს, მოწინააღმდეგე განადგურებული იქნა".



სპეცოპერაციის შემდეგ მებრძოლთა სწრაფი ევაკუაცია შვეულმფრენზე ჩამოკიდებული ბაგირის მეშვეობით განხორციელდა

პრემიერ-მინისტრმა და მთავრობის წევრებმა სამხედრო მოსამსახურეებს მადლობა გადაუხადეს და წარმატება უსურვეს. იმედია, პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ სამხედრო პროფესია ძალზე რთული, მაგრამ ამასთან, საამაყოა.

იმედია, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი წელს კიდევ ჩაატარებს უფრო ფართომასშტაბიან სამხედრო სწავლებას, სადაც ისევე როგორც „ისარი-013"-ში, მეტი ყურადღება დაეთმობა ჯარების სხვადასხვა გვარეობის ურთიერთშეწყობილი საბრძოლო მოქმედების ტაქტიკის დახვეწას.

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ვინ მოკლა ამერიკელი მზვერავი საქართველოში?

**გასულ კვირას „ნიუ-იორკ თაიმსმა" მოულოდნელი, შეიძლება ითქვას, სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა. გაზეთი საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის სტრასბურგში ყოფნისას მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება 20 წლის წინ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცრის, ფრედი ვუდროფის მკვლელობის ხელახალ გამოძიებას აპირებს.**

**2013 წლის 8 აგვისტოს 20 წელი შესრულდება ამერიკელი დიპლომატისა და მზვერავის ფრედ ვუდროფის მკვლელობიდან. ეს საქმე დღემდე გამოუძიებელი მკვლელობების გრძელი ჯაჭვის მნიშვნელოვანი რგოლია.**

შეიძლება ითქვას, რომ რაც დრო გადის, უფრო მყარდება აზრი, რომ ვუდროფის მკვლელობა არ იყო რიგითი შემთხვევა, ის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგან საქართველოს ტერიტორია მაშინ პირველად გახდა ორი ზესახელმწიფოს ფარული დაპირისპირების არენა.

რატომ არის ეს მკვლელობა კვლავ აქტუალური? იმიტომ, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში დანაშაულის ფაქტების გაყალბებით „დადასტურებულია", რომ მკვლელობისა და „თვითმკვლელობის" შემთხვევებს ერთი ხელწერა აქვთ, რაც მრავალჯერ განმეორდა და გამორიცხული არ არის მომავალშიც განმეორდეს. საქართველოს სასიკეთოდ ჩამოსული ამერიკელი მზვერავის, ფრედ ვუდროფის, მკვლელობამ დიდად შეაფერხა აშშ-საქართველოს სამხედრო და სპეცსამსახურების თანამშრომლობა.

ჩვენს ქვეყანაზე თავს დამტყდარ ბევრ უბედურებას შესაძლებელია სათავე სწორედ ვუდროფის მკვლელობის შემდეგ დაედო. ფრედ ვუდროფის მკვლელობაზე გამოქვეყნებული მრავალი პუბლიკაციის მიუხედავად, ამ პიროვნების შესახებ ძალზე ცოტა რამაა ცნობილი. ბუნებრივიცაა, რადგან მზვერავის ბიოგრაფია დიდი საიდუმლოებაა. შევეცდებით კაცზე, რომელსაც საქართველო ძლიერ უყვარდა, მაქსიმალური ინფორმაცია მოგაწოდოთ

## ვინ იყო ფრედერიკ რასელ ვუდროფი და რა მიზნით იმყოფებოდა საქართველოში?

ფრედერიკ რასელ ვუდროფი (1947 14.01 — 1993წ. 8.08) დაიბადა ამერიკ შეერთებულ შტატებში, არკანზასის შტატ პატარა ქალაქ სერსიში, რომელიც შტატ დედაქალაქ ლითლ-როკიდან სულ რაღ 50 მილის მანძილზე მდებარეობს.

მამამისი ჰარდინგ-უნივერსიტეტის პრო ფესორი იყო. ფრედმა ამ უნივერსიტეტ თეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრ საინტერესოა, რომ ამ პატარა, კერძ უნივერსიტეტმა 90-იანი წლების ბოლო ლექციების წასაკითხად მიიწვია საბჭო თა „პერესტროიკის მამა" მიხეილ გორ ბაჩოვი და საკმაოდ დიდი ჰონორარი გადაუხადა.

ვუდროფი 1971 წლიდან მსახურობდ აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში. იცოდ რამდენიმე უცხო ენა, მათ შორის — რუ სულიც.

ფრედი, ისევე როგორც ბევრი ამერ იკელი მზვერავი, ცენტრალურ სადაზვერ ვო სააგენტოში კონტრდაზვერვიდან, ან გამოძიების ფედერალური ბიუროდან 3 წლის ასაკში მოვიდა. ამ დროისთვის ი უკვე გფბ-ის გამოცდილი სპეციალურ

აგენტი იყო, რომელმაც ნარკომაფიასა და ტერორიზმთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა.

1978 წლიდან სახელმწიფო დეპარტამენტის შტატში ირიცხება და სადაზვერვო მისიას ასრულებს. დიპლომატის საფარქვეშ მუშაობდა ანკარაში, ადის-აბებაში, ხარტუმსა და ლენინგრადში. ცოლშვილიანი. უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა ვაშინგტონის გარეუბან ჰერნდონში. მისი მეუღლე მერედიტი მსახურობდა აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში და 2003 წელს თადარიგში გავიდა. დარჩა ქალიშვილი. იგი დაკრძალულია ვაშინგტონში, არლინგტონის მემორიალის სასაფლაოზე.

შესრულების შემდეგ აუცილებლად უნდა გავიდეს თადარიგში. ფრედი კი ჯერ 46 წლის იყო და წარმატებული კარიერა წინ ჰქონდა. თუმცა მისი მისია საქართველოში, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ურთულესი აღმოჩნდა.

საქართველოში კვლავ ძალზე ძლიერი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის, მაშინ უკვე რუსეთის, სპეცსამსახურების (კაგე-ბე და გე-ერ-უს) პოზიციები. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, შეიარაღებული ძალები და სპეცსამსახურები მათი აგენტურით იყო გადავსებული.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ისინი უკვე მოსკოვის დავალებით ერთმანეთის საიმედოობას აკონტროლებდნენ. ამავე დროს იყო ძალზე მძაფრი ფარული დაპირისპირება – რუსეთის საგარეო დაზვერვის, სამხედრო დაზვერვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ეფ-ეს-ბეს ქართველ აგენტებს შორის. ყველა ცდილობდა კრემლისთვის კონკურენტზე მეტად მოეწონებინა თავი და საქართველოში უფრო მაღალი პოსტი „დაეთრია“.

ასე რომ, ვუდროფი საქართველოში იმ დროს ჩამოვიდა, როცა ქვეყანა სისხლისგან იცლებოდა – რუს იმპერიალისტებსა და აფხაზ სეპარატისტებთან ომს, ადგილობრივი ფინანსური წრეების მიერ ორგანიზებული და ჭია-

ფრედერიკ ვუდროფმა სავარაუდოდ სწრაფადვე გაშიფრა საქართველოს ხელისუფლებაში, მათ შორის ძალოვან სტრუქტურებში ლაღად მოქმედი რუსეთის აგენტურა, რაც საბოლოოდ მისი მკვლელობის მიზეზი გახდა





რა სახისა და ვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს ფლობდა შევარდნაძე, როდესაც მკვლელობას თავიდანვე „ბრმა შემთხვევის“ კლასიფიკაცია მისცა?!



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი არ გამორიცხავს, რომ ახალი ხელისუფლება 20 წლის წინ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცრის, ფრედი ვუდროფის მკვლელობის ხელახალ გამოძიებას დაიწყებს



შესაძლოა, რომ ოლდრიჩ ეიმსმა თბილისშივე გადასცა რუსეთის საგარეო დაზვერვას (ვისთანაც იყო ოპერატიულ კავშირზე) ვუდროფისგან მიღებული საიდუმლო ინფორმაცია

ვუდროფისთვის საქართველოში მივლინება დაწინაურება იყო – ის ოპერატიული დირექტორატის კასპიის დეპარტამენტის საქართველოს სექტორის („სადგურის“) უფროსად დაინიშნა. აშშ-ის საელჩოში კი პოლიტიკური განყოფილების თანამშრომლად ირიცხებოდა.

ცსს-ში მოქმედი წესის თანახმად, ოპერატიული თანამშრომელი 60 წლის

კოკონასავით გაჩაღებული ინფლაცია, კუპონის კატასტროფული გაუფასურება და უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი დაემატა. ქვეყანაში შეიარაღებული ბანდები დაძრწოდნენ. საქართველო კრიმინალურ ქაოსს მოეცვა. ამიტომ ვუდროფის მისია არ ჰგავდა გასეირნებას უცნობ, ეგზოტიკურ ქვეყანაში. სამწუხაროდ,

როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ფრედმა სრულად ვერ გაითვალისწინა არსებული საფრთხე და ვერც ქართველმა კოლეგებმა შეძლეს მისი გადარჩენა.

## ვუდროფი „გლადიატორთა“ დაპირისპირების ეპიცენტრში

რუსეთმა იმპერიული ამბიციები ჯერ კიდევ ბორის ელცინის პრეზიდენტობის დროს გამოაჩინა. ჯერ ფარულად ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკასა და ნატოს გაფართოებას. რუსეთის არმიისა და სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს აღიზიანებდათ ამერიკის თავდაცვის უწყებისა და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მცდელობა, დაემყარებინათ ოფიციალური და მეგობრული კონტაქტები საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან.

რუსეთის ფედერაცია 90-იანი წლების დასაწყისში თავად დაშლის პირას იყო და თან სხვა, უკვე დამოუკიდებელი ქვეყნების ტერიტორიებს ეპოტინებოდა. საკუთარი ეროვნული ინტერესების ზონად რუსეთის ხელისუფლებას კვლავ ნახევარი მსოფლიო მიაჩნდა და ყველა ხერხით ცდილობდა იანკებისთვის ხელის შეშლას, რისთვისაც ყველანაირ, ფარულ და აშკარა პროვოკაციაზე მიდიოდა. რუსეთის სპეცსამსახურები მაშინაც და ახლაც საბჭოთა კა-გე-ბეს მეთოდებით მოქმედებენ, პოლიტიკურ მკვლელობებსა და ტერორისტულ ოპერაციებზეც არ ამბობენ უარს და პრინციპი „მიზანი ამართლებს საშუალებას“ კვლავ მათი მოქმედების კრედოა. იმ პერიოდიდან საქართველოს უშიშროების სტრუქტურები რუსული სპეცსამსახურების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. პარალელურად აშშ-ის სპეცსამსახურებიც ცდილობდნენ პოზიციის გამყარებას. ეს თანდათან ფარულ საკადრო დაპირისპირებაში გადაიზარდა.

## რეაქცია მკვლელობის შემდეგ

ვუდროფის მკვლელობა ერთი კვირა მსოფლიოს მთავარი სენსაცია იყო — ამერიკის და ევროპის მასმედიაში დაწვრილებით შუქდებოდა მკვლელობის დეტალები. მთავარი სკანდალური გარემოება, რომელიც მეორე დღესვე ცნობილი გახდა, იყო ის, რომ ამერიკელი დიპლომატი სინამდვილეში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ცსს) გამოცდილი თანამშრომელი აღმოჩნდა, ხოლო მკვლელობა საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სამთავრობო დაცვის სამმართველოს უფროსის, ელდარ გოგოლაძის მანქანაში მოხდა.



ოფიციალური შეხვედრების შემდეგ ორმა ამერიკელმა — ეიმსმა და ვუდროფმა პიკნიკი მოაწყვეს ბუნებაში, ყაზბეგთან ახლოს. ვუდროფის საყვარელ ადგილას – ანანურის ციხესთან დიდხანს შეჩერდნენ და ფოტოსურათები გადაიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ ორი გარემოების გამო, ვერსია, რომლის მიხედვითაც, ამერიკელი მზვერავი მთვრალი ჯარისკაცის მიერ შემთხვევით ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა, ეჭვს იწვევდა.

დამკვიდრებულია შეხედულება, რომ სპეცსამსახურების მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები, მით უფრო ამერიკელი და რუსი მზვერავები (ან მათი აგენტები), უბედური შემთხვევის გამო არ იღუპებიან. მათ ყოველთვის ვიღაც „ეხმარება“.

## ვუდროფის მკვლელობის შესაძლო მოტივები

1993 წლის ზაფხულის დასაწყისში აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამერიკა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკურ კონფლიქტებში დაპირისპირებულ მხარეებს შუამავლობას სთავაზობს. რამდენიმე კვირის შემდეგ კი, 1993 წლის 6 აგვისტოს, გაეროს უშიშროების საბჭომ აშშ-ის მოთხოვნით მიიღო რეზოლუცია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე დამკ-ვირვებლების გაგზავნის შესახებ.

აშშ-ის ადმინისტრაცია იწყებდა კონ-ფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგ-ვარების რეალურ და არა მოჩვენები- პროცესს. პირდაპირ უნდა ვთქვათ, — ვ- პოლიტიკა რომ გაგრძელებულიყო, დღე- სეპარატისტული რეგიონების პრობლემ- საქართველოში აღარ იქნებოდა!

პარალელურად აშშ-ის სპეცსამსახ-ურები ცდილობდნენ თანამშრომლო-ბა დაეწყოთ საქართველოს შესაბამ- სტრუქტურებთან.

შევარდნაძის უსაფრთხოების უზრუ-ველყოფის მიზნით ქართველების ორმოც-დაათკაციანი სპეცრაზმი ამერიკაში მოამზა-დეს და იმ დროისათვის თანამედროვ- იარაღითა და ეკიპირებით აღჭურვეს.

ფრედ ვუდროფიც იმიტომ იყო ჩვენ-თან მოვლინებული, რომ უფრო კარგა- გარკვეულიყო ოპერატიულ მდგომარეობა-ში და დახმარებოდა ქართველ კოლეგებს.

აშშ-ის ადმინისტრაცია საქართვე-ლოს განიხილავდა როგორც სამხრე- კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში მიმ-დინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ (უპირველესად კი ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ახალი პროექტების



პროცესებში აქტიურად მონაწილეობის ჰლაცდარმს. ყოველივე ამის შედეგად კი „ჩრდილოელი დათვი“ დაკარგავდა ამ ქვეყნებზე ზემოქმედების მძლავრ ბერკეტს, კრემლი კი ამას ვერ დაუშვებდა. რუსეთის (მანამდე კი საბჭოთა) სპეცსამსახურებს კარგად აქვთ შესწავლილი რიგითი ამერიკელის (თუ ევროპელის) ბუნება და იციან, რომ ისე არაფერი აღიზიანებს პატრიოტ ამერიკელს, როგორც მშვიდობიან პერიოდში ცხრა მთას იქით თანამემამულის (მით უფრო დიპლომატისა და მზვერავის) მკვლელობა.

ყველამ იცის, რომ ამერიკელი ამომრჩეველი ხმას არ მისცემს იმ პოლიტიკურ პარტიასა და ადმინისტრაციას, რომელიც საკუთარი მოქალაქის სიცოცხლეს ვერ დაიცავს.

ამიტომაც საჭირო იყო „საჩვენებელი მკვლელობა“, რათა ამერიკელებს ცხვირი აღარ შემოეყოთ რუსეთის ეროვნული ინტერესების ზონაში. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ ამ მკვლელობის შემდეგ ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში ბევრი უკვე სკეპტიკურად უყურებდა და მიუღებლად თვლიდა საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში აშშ-ის სტრატეგიული ინტერესების დაცვას. მათ საფიქრალი და საზრუნავი ევროპაშიც ბევრი ჰქონდათ, – ყოფილი იუგოსლავია ცეცხლის ალში იყო გახვეული და საქართველო, რომლის არსებობა ბევრმა ამერიკელმა არ იცოდა და სადაც ამერიკელ დიპლომატებს მთვრალი ჯარისკაცები ხოცავენ, უკვე ზედმეტი თავსატეხი და არასასურველი რისკის ზონა აღმოჩნდა. ასევე ფიქრობდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებიც. ამიტომ მიზანშეწონილად ჩათვალეს ჩვენი ქვეყნისთვის დახმარება მხოლოდ საფინანსო-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში.

საერთაშორისო სკანდალის შემდეგ, რაც ამ მკვლელობას მოჰყვა, ბევრი ჩვენი მეგობარი დაფრთხა და ფაქტობრივად, საქართველო კვლავ რუსეთს დაუტოვეს საჯიჯგნად. მტერსაც სწორედ ეს უნდოდა.

**ვუდროფის მკვლელობის მიზეზი შესაძლოა მისი ინფორმირებულობაც გახდა. ის თითქმის 30 წელი კონტრდაზვერვასა და დაზვერვაში მუშაობდა და დიდი გამოცდილება ჰქონდა. ამიტომაც მან სწრაფადვე გაშიფრა საქართველოს ხელისუფლებაში (უპირველესად კი, უშიშროებაში, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, პროკურატურასა და მინისტრთა საბჭოში) ლაღად მოქმედი რუსეთის აგენტურა, რაც საბოლოოდ მისი მკვლელობის მიზეზი გახდა.**

ათასობით კილომეტრიდან ჩვენს დასახმარებლად ჩამოსული კაცი მალევე მიხვდა, რომ ყველა საიდუმლო სამხედრო თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება (უპირველესად აფხაზეთთან დაკავშირებული) წინასწარ იყო გაყიდული. **ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროს სხვადასხვა სტრუქტურაში ჩვენდა საბედნიეროდ მუშაობდა პატრიოტი და პროფესიონალი ხალხიც, რომლებთანაც ერთად ვუდროფი მალე გაერკვა რეალურ სიტუაციაში. მისდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ ქვეყანას ფაქტობრივად რუსეთის აგენტურა მართავდა.**

რუსეთის „მეხუთე კოლონა“ ყველა სფეროში იყო ფეხმოკიდებული. სავარაუდოდ, **ეს ინფორმაცია (კონკრეტული გვარების მითითებით) ვუდროფმა თბილისში ჩამოსულ ცსს-ს მაღალჩინოსანსა და მრავალი წლის ნაცნობ ოლდრიჩ ეიმსს გაანდო. საფიქრებელია, რომ ეს არაფორმალურ ვითარებაში მოხდა, რადგანაც იმ დროს ვუდროფი ეიმსის საკურატორო სფეროში (ნარკოტრანზიტთან ბრძოლა) მხოლოდ ნაწილობრივ შედიოდა.**

ასეა თუ ისე, ეიმსი სრულიად საიდუმლო ინფორმაციას გაეცნო. წარმოიდგინეთ რუსეთის აგენტის შეშფოთება — ვუდროფის მუშაობა დიდ საფრთხეს უქმნიდა მისი პატრონისათვის ჩვენს ჩრდილოელი მეზობლის ინტერესების და აგენტურულ ქსელს. **სავარაუდოა, რომ ეიმსმა თბილისშივე გადასცა რუსეთის საგარეო დაზვერვას (ვისთანაც იყო ოპერატიულ კავშირზე) ეს ინფორმაცია. ვუდროფის მოცილება მოსკოვში დაიგეგმა, სცენარი იქ დაიწერა, შემსრულებლები კი საქართველოში იყვნენ.**

## ვუდროფის მკვლელობა და უპასუხოდ დარჩენილი კითხვები

საქართველოში ძალზე სერიოზული და მრავალმხრივი მიზნით ჩამოსული მაღალი რანგის ოპერატიული თანამშრომლის ბრმა ტყვიით შემთხვევითი მკვლელობა თავიდანვე დაუჯერებელი ჩანდა. ბევრი ექსპერტი და ჟურნალისტი მკვლელობაში ბრალდებულ და 18 წლის მანძილზე ციხეში მყოფ ანზორ შარმაიძეს ამჟამადაც უდანაშაულოდ მიიჩნევს. მათი აზრით, გამოძიების პროცესში ბევრი საყურადღებო ფაქტი და დეტალი გაყალბდა ან უბრალოდ საქართველოს გენერალური პროკურატურის გამომძიებლებმა მხედველობაში არ მიიღეს. უნდა ვაღიაროთ, რომ მართლაც ბევრ ლოგიკურ კითხვაზე დღემდე არაა დამაჯერებელი პასუხი გაცემული. თუნდაც, რომელ საათზე მოხდა მკვლელობა? რატომ განვითარდა გვამის სწრაფი გაშეშება? რატომ ვერ იპოვა თავიდანვე ამერიკელმა ექსპერტმა ტყვიის გულას კვალი „ნივაში“? რატომ არ აღმოჩნდა გულას ფრაგმენტი არც ვუდროფის სხეულში და არც ავტომობილის სალონში? რა ტრაექტორიით და რა მანძილიდან ისროლეს? რატომ არ ამოიღეს მკვლელობის მოწმეების ტანსაცმელი? რატომ განსხვავდება მკვლელობის მოწმეების ჩვენებები აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტების დასკვნისგან? როგორ მოხვდა მიდევნებული ტყვია კეფაში ვუდროფს, თუ ის შემოტრიალებული იყო და იარაღიანი ხალხისკენ იყურებოდა?

ასე რომ, ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმეში ბევრ კითხვას მოწმეთა არეული ჩვენებები და ბალისტიკურ ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები იწვევს.

კიდევ ბევრი კითხვაა და აუცილებელია, ყველა მათგანზე ობიექტური პასუხის გაცემა. ტყუილუბრალოდ ბრალი არავის დაედოს — უდანაშაულობის პრეზუმფცია ხომ დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ნიშანია.

(დასასრული იხ. 50-ე გვ.)

# კავკასიური მოვლენების

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტამბოლში გამოფენა IDEF-2013-ზე აზერბაიჯანი პირველად წარადგენს 7,62 მმ-იან სნაიპერულ შაშხანა Yalquzaq-ს

## აზერბაიჯანი

• ჯარისკაცების სიკვდილიანობის გამო ყარაბაღის გათავისუფლების ალიანსში შემავალი ორგანიზაციების ლიდერებმა პრეზიდენტ ილჰამ ალიევს წერილით მიმართეს და თითოეული შემთხვევის გამოსაძიებლად საზოგადოებრივი კომიტეტის შექმნა შესთავაზეს.

• 19 აპრილს ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცმა ტაბელური იარაღით ოცეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი მოკლა.

• 20 აპრილს სუმგაითის რაიონში ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცი ტაბელური იარაღის გასროლით გარდაცვლილი იპოვეს.

• 21 აპრილს დილით ყაზახის რაიონში ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცმა ტაბელური იარაღით თავი მოიკლა.

• 22 აპრილს ყაზახის რაიონში ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის 19 წლის ჯარისკაცმა ტაბელური იარაღის გაუფრთხილებელი გასროლით თავი დაიჭრა.

• 25 აპრილს ბაქოში დისლოცირებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ჯარისკაცმა თანამებრძოლი დანით მოკლა.

• აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ 2012 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში გავრცელებულია ჯარისკაცებთან სასტიკი მოპყრობა, რასაც ხშირად სიკვდილი მოსდევს. 2012 წელს სიკვდილის 97 შემთხვევიდან 77 არასაბრძოლო პირობებში მოხდა, საიდანაც 11-მა სამხედრომ თანამებრძოლი მოკლა, 19-მა კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

• 25 აპრილს გარდაიცვალა ჯარისკაცი, რომელმაც ტერტერის რაიონში ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის საქვაბის აფეთქებისას დამწვრობა მიიღო.

• ბაქოში გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის საავიაციო მრეწველობის სამინისტროში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მყოფი სომხების მონდომებით რუსეთმა აზერბაიჯანს Су-27, Су-30 და МиГ-31 ტიპის თვითმფრინავების მიყიდვაზე უარი განუცხადა.

• 7-10 მაისს სტამბოლში გამოფე IDEF-2013-ზე აზერბაიჯანის თავდა ვითი მრეწველობის სამინისტრო წარა გენს ხელის ტყვიამფრქვევ UP-7,62- რომელიც უკვე შეიარაღებაშია. გ მოფენაზე პირველად იქნება ნაჩვენ სპეცრაზმელებისა და მზვერავებისთვ განკუთვნილი ხელის ტყვიამფრქვ HP-7,62 და 7,62 მმ-იანი სნაიპერულ შაშხანა Yalquzaq-ი.

• 1-ელ მაისს ცნობილი გახდა, რო აზერბაიჯანს საქართველომ მოდერნიზ ბული მოიერიშე Su-25-ების ერთობლი წარმოება შესთავაზა. თბილისის წინადად ბა დაფინანსებასა და ერთობლივ წარმო ბას შეეხება. ოფიციალური მონაცემებით 2002-03 წლებში აზერბაიჯანმა საქარ თველოსგან 12 საბრძოლო Su-25 და ერთ სასწავლო-საბრძოლო Su-25UB იყიდა.

## სომხეთი

• 18 აპრილს პრეზიდენტმა სერ სარგსიანმა ხელი მოაწერა ბრძანებულ ბას 2013 წლის საგაზაფხულო გაწვევ და დემობილიზაციაზე.

• სომხეთ-პოლონეთის ერთობლი საწარმო Lubawa Armenia მიმდინარ წლის ბოლოს მრავალფუნქციანი შეს ნილბი და მადეფორმირებელი ბადეებ (პროდუქციის 87%), სხვადასხვა შეია რაღების მაკეტებისა (10%) და სამხედ რო კარვების (3%) წარმოებას დაიწყებ

• 23 აპრილს დაიწყო 102-ე რუსულ სამხედრო ბაზის საკონტრაქტო-სამხედ რო სამსახურში მყოფ მოსამსახურე შეცვლის პროცესი. პირველი ჯგუფი –



წლის ბოლოს სომხეთ-პოლონეთის ერთობლივი საწარმო Lubawa Armenia მრავალფუნქციანი შესანიღბი ბადეების წარმოებას დაიწყებს

# მიმოხილვა



შავი ზღვის ფლოტის პატარა სარაკეტო ხომალდი „მირაჟი“

150 ჯარისკაცი და სერჟანტი ქალაქ სამარიდან ჩაფრინდა. მათ შემადგენლობაში ა სნაიპერები, მძღოლ-მექანიკოსები, მემიზნე-ოპერატორები, ყუმბარმტყორცნელები და მზვერავები. შეცვლა სულ 3 ათას კაცს შეეხება. გარდა ამისა, ბაზის საავიაციო ნაწილებში 100 სპეციალისტი შეიცვლება. სამხედროების როტაციისთვის მოსკოვიდან, დონის როსტოვიდან, ეკატერინებურგიდან და სამარიდან 20-ზე მეტი ავიარეისია დაგეგმილი.

● მალე დაიწყება სომხეთის არმიის ასეულის მეთაურის, ვარდან ავეტისიანის სასამართლო პროცესი, რომელსაც ბრალად ედება ჯარისკაცებისგან ყოველთვიური მოსაკრების შეგროვება. გარდა ამისა, საკუთარი კაბინეტისა და ასეულისთვის შევბულებაში მყოფი ჯარისკაცებისგან ის საყოფაცხოვრებო ნივთების მოტანასაც მოითხოვდა.

## ჩრდილო კავკასია

● 19 აპრილს ინგუშეთის სოფელ არშტიში 300 ჩეჩენი პოლიციელი მიტინგის ჩატარებას შეეცადა, რასაც პოლიციელებთან დაპირისპირება და ჩხუბი მოჰყვა. ორმა ინგუშმა პოლიციელმა ტვინის შერყევა და კიდევ ოთხმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

● 27 აპრილს შავი ზღვის ფლოტის პატარა სარაკეტო ხომალდებმა „შტილმა“ და „მირაჟმა“, სარაკეტო კატარღებმა „ივანოვეცმა“ და Р-60-მა ორმხრივი ტაქტიკური სწავლება ჩაატარეს და ფრთოსანი რაკეტებით სროლა შეასრულეს რთულ სამიზნეზე, რომელიც სახომალდო დამრტყმელი ჯგუფის იმიტაციას ახდენდა. სამიზნეთა კოორდინატების დადგენასა და სროლის შედეგების ობიექტური კონტროლისთვის სწავლების დროს გამოყენებულ იქნა ფლოტის საზღვაო ავიაციის Су-24-ი, Ан-26-ი და Бе-12-ის ტიპის თვითმფრინავები.

## კონფლიქტის რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● 30 აპრილს საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზაში 3-თვიანი მომზადების გავლის შემდეგ 500-მდე უმცროსი სამხედრო სპეციალისტი ჩამოვიდა. მათ შორის არიან T-90-ების მძღოლ-მექანიკოსები და მემიზნე-ოპერატორები, არტილერისტები, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების Штурм-С-ების მემიზნე-ოპერატორები, საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფების სპეციალისტები. მალე ადიღეს ბაზის სასწავლო ცენტრში ერთჯერად მომზადებას 1500-მდე ახალწვეული დაასრულებს და სამსახურს აფხაზეთში გააგრძელებს.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 24 აპრილს საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზის ტერიტორიაზე კონტრაქტით მომსახურე სამხედროებისთვის 48-ბინიანი ორსართულიანი სამი კოტეჯისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების აშენება დაიწყო.

● ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი იახნოვეცის თქმით, რუსეთის გენერალური შტაბის აკადემია ერთმა ოსმა გენერალმა და საერთო-საჯარისო აკადემია კი 2-მა ოფიცერმა დაამთავრა. ყოველწლიურად ადგილობრივი შეიარაღებული ფორმირებები რუსეთის უმაღლესი სასწავლებდამთავრებულ 10-12 ოფიცერს იმატებს.

### თვითალიარებული ყარაბაღი

● 19 აპრილს ფრონტის ხაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებაზე ყარაბაღის არმიის ჯარისკაცი სასიკვდილოდ დაიჭრა.

● 24 აპრილს კი ფრონტის იმავე მიმართულებაზე ცეცხლის რეჟიმის შეწყვეტის დარღვევისას ყარაბაღის არმიის 20 წლის ჯარისკაცი დაიჭრა.

**თეიმურ ჩაჩანიძე**



საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზის ტერიტორიაზე მშენებლობები გრძელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლოში დაწუნებული ქართველი ოფიცერი ამერიკულ არმიაში



ამერიკული არმიის მაიორმა ქართველ ოფიცერს განსაკუთრებით კარგი მსახურისთვის სერტიფიკატი გადასცა

## მისია „ღვთისგან დავიწყებულ" ქვეყანაში

**საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მისი დაარსების დროიდან მსახურობდა, თუმცა ახლა სამსახური სხვა ქვეყნისთვის უწევს. ჯერ ერაყში იყო სამშვიდობო მისიით, ახლა მსოფლიოს ერთ-ერთ ცხელ წერტილში, ავღანეთში მსახურობს. ზვიად ჩადუნელმა საქართველო ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით დატოვა, მაგრამ არც მას შემდეგ შეუწყვეტია სამხედრო განათლების მიღება და კვალიფიკაციის ამაღლება. სამხედრო სასწავლებელი, რომელიც მან დაამთავრა, საქართველოში 10-მდე კაცს თუ აქვს დამთავრებული... თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი რათა „ჩადი", ასე ეძახიან მას უცხოელი მეგობრები, საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის მისაღები კადრი ყოფილიყო. წინა ხელმძღვანელობისთვის დამახასიათებელ არცთუ უჩვეულო გადაწყვეტილებებს ვერც ზვიად ჩადუნელის მაღალკვალიფიციური პროფესიონალიზმი გადაურჩა.**

მძიმე და რაც მთავარია, რისკიანი სამსახურის მიუხედავად, ავღანეთში მყოფმა ამერიკელმა ქართველმა „არსენალისთვის" დროის გამონახვა არ დაიზარა. ჩვენი საუბარი ინტერნეტის საშუალებით შედგა. სკაიპით საუბრისას მესმოდა, როგორ აზანზარებდა ავღანური ქარი სამხედრო კარავს. „ამას შეჩვეული ვარ, ეს კარავი ბევრ შენობაზე კომფორტულია", — ღიმილით მითხრა სამხედრომ ინტერვიუს დაწყებამდე.

**— ზვიად, როგორ დაიწყო თქვენი სამხედრო კარიერა?**

— 90-იან წლებში, როდესაც ქართული შეიარაღებული ძალები ყალიბდებოდა, გადავწყვიტე, ერთ-ერთი ის ადამიანი ვყოფილიყავი, ვინც ქართული არმიის შექმნაში მიიღებდა მონაწილეობას... ოფიციალური გაწვევა არ ყოფილა. მოხალისეების მიღება დაიწყო, ვისაც სურვილი ჰქონდა, ის მიდიოდა. მოთხოვნის შესაბამისად, მოხალისე 1,78 მ-ზე მაღალი უნდა ყოფილიყო. მაისიდან პირველი გაწვევაც დაიწყო და 26 მაისს „დინამოს" სტადიონზე აღლუმიც ჩატარდა. კონცეფცია და შეიარაღებული ძალები მაღალი დონის არ იყო. რუსულ ჯარში ნამსახურები ოფიცრები გამოიძახეს. სამხედრო ფორმებს აკოწიწებდნენ. ყაზარმებიც არ გვქონდა, დაახლოებით ასეული შევგროვდით და გლდანის პოლიციის აკადემიაში მოგვათავსეს. ორი-სამი ოფიცერი მახსენდება, ვისაც თბილისის საარტილერიო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული... სამწყობრო მომზადებას, იარაღის მოხმარებასა და ელემენტარულ სამხედრო მოქმედებებს გვასწავლიდნენ.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა ქართული არმია, თუმცა მოტივაცია ძალიან მაღალი იყო... 26 მაისის აღლუმის შემდეგ უკვე რამდენიმე ასეული ჩამოყალიბდა. შემდეგ დაიწყო ჯერ სამაჩაბლოს, შემდეგ კი აფხაზეთის ომები და გამოუცდელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს დიდი განსაცდელის წინაშე პირისპირ დარჩენა მოგვიხდა. არაკვალიფიციური ოფიცრების სწავლებებმა უარყოფითი შედეგი მოგვცა. აფხაზეთში შავნაბადას ბატალიონი ალყაში მოექცა და იმიტომ, რომ ერთმანეთთან კავშირი არ გვქონდა, ძალიან დიდი დარტყმა მოგვაყენეს. პირველი საბრძოლო ნათლობა, ანუ ორი ჭრილობა იქ მივიღე ბარძაყის არეში, რის გამოც კონფლიქტის ზონის დატოვება მომიწია, რადგან ოპერაციას იქ ვერ გამიკეთებდნენ... თუმცა, მოშუშების შემდეგ ისევ დავბრუნდი...

**— შემდგომ როგორ გაგრძელდა თქვენი სამხედრო საქმიანობა?**

— აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ შავნაბადის ბატალიონში დავბრუნდი. 1994 წელს რამდენიმე ოფიცერი პეტერბურგის უმაღლესი საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებელში გაგვგზავნეს, სადაც ოთხი წელი ვისწავლე. დაბრუნების შემდეგ შავნაბადას ბატალიონის მეთაური გავხდი. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი ბატალიონი კოდაში გადავიდა. 2000 წელს თურქეთში სტრატეგიული დაგეგმარების კურსები გავიარე. იმავე წელს შვეიცარიაში სამთო მომზადების კურსებზე წავედი და 2003 წლამდე იმ ბრიგადაში ვმსახურობდი. იქიდან დაბრუნების შემდეგ, ამერიკაში, ტეხასის შტატში წავედი სასწავლებლად, სადაც ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება გავიარე. ეს სასწავლებელი ლეკლენდის საჰაერო ბაზაშია და თავდაპირველად ყველ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამხედრო თვითმფრინავით ერაყში...

ოფიცერი იქ გადის მომზადებას. მისი დასრულების შემდეგ კანზასის შტატში არსებულ ამერიკის არმიის საკომანდო და გენერალური შტაბის კოლეჯში ჩავაბარე.

**— ეს სასწავლებელი, მგონი, არც ისე ბევრ ქართველს აქვს დამთავრებული...**

— იქ სულ ათი კაცი სწავლობდა. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ საქართველოს ყოველწლიურად მხოლოდ ერთი ოფიცრის გაგზავნა შეეძლო. ის სასწავლებელდამთავრებული ქართველი სამხედროებიდან რამდენიმე საქართველოდან არის წასული.

აუცილებელი კრიტერიუმი იყო ინგლისური ენის ცოდნა... იმ პერიოდში საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან მასობრივად გათავისუფლება ჯერ არ იყო დაწყებული. იქიდან დაბრუნების შემდეგ თელავის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურად გამანაწილეს. რამდენიმე თვე ვიმუშავე და შემდეგ თავდაცვის მინისტრად ირაკლი ოქრუაშვილი დაინიშნა, რომლის „ღვაწლი" ქართულ ჯარში ყველასთვის ცნობილია. 2005 წელს ჯერ დამაქვეითეს, შემდეგ კი გამათავისუფლეს, პირდაპირ მითხრეს, ოქრუაშვილს არც ამერიკული განათლება აინტერესებს და არც რუსულიო. მოკლედ, მე მათთვის შესაფერისი კადრი არ ვიყავი...

იქ შეწყდა საქართველოს შეიარაღებულ ჯარებში ჩემი სამსახური და ამერიკაში გავემგზავრე. პირველად ამერიკის რეზერვში ვცადე ჩარიცხვა, გამოცდები და ნორმატივებიც ჩავაბარე, მაგრამ პარალელურად მონაცემები ერთ-ერთ საკონტრაქტო კომპანიაში გავგზავნე და იქიდან მოწვევა მომივიდა. ჯერ ერაყში ვიყავი სამოქალაქო კონტრაქტორად. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროსაც იქ ვიყავი, იმავე ბაზაში ვიდექი, სადაც ქართული კონტინგენტი. როდესაც ქართველი ბიჭები გაიწვიეს, ქართველ ოფიცრებს ვუთხარი, იქნებ მეც ვჭირდები ჩემს ქვეყანას და წამოვალ-მეთქი, მზად ვიყავი, ამერიკულ მხარესთან კონტრაქტი გამეწყვიტა, მაგრამ პასუხი არავისგან მიმიღია...

შემდეგ ავღანეთში წავედი და ორი წელია აქ ვარ. ეს არის თავდაცვის სამინისტროს პენტაგონის უდიდესი ლოჯისტიკური კონტრაქტორი DYNCORP-INTERNATIONAL-ი, რომელიც ლოჯისტიკურ დახმარებას უწევს საერთაშორისო კოალიციის ჯარებს, მათ შორის ქართველ სამხედროებსაც, ვინც სამშვიდობო მისიით არიან ჩამოსული.

**— ერაყი, ალბათ, ავღანეთისგან განსხვავდება რისკებით.**

— იმ პერიოდში ერაყში ყოფნა უფრო სახიფათო იყო. მაშინ უფრო ხშირად ესხმოდნენ თავს კოალიციისა და ამერიკის ჯარებს. „თალიბანს" ისეთი შეიარაღება არა აქვს, როგორიც მაშინ ერაყელებს ჰქონდათ, სადამ ჰუსეინს ძალიან დიდი შეიარაღებული ძალები და ტექნიკაც ჰყავდა... ისე კი, ერაყი და ავღანეთი კლიმატით ჰგავს ერთმანეთს. ავღანეთის პროვინცია ყანდაარი ჰგავს ერაყს, უდაბნოც აქვეა და ქვიშის ქარიშხლებიც იცის. ჰილმენდის პროვინცია, სადაც ქართველი ბიჭები არიან ბაზირებული, უფრო გაშლილი ადგილია... რაც შეეხება რისკებს, კოალიციის ჯარების მისიამ თავისი გაიტანა და ავღანეთში არსებული საშიშროება შესუსტდა. ამასთან, მეამბოხე თალიბები, თავგანწირვის მიუხედავად, კარგი შეიარაღებით არასდროს გამოირჩეოდნენ. წინა წლებთან და ერაყთან შედარებით, აქ სიმშვიდეა. აქ ახლა ყველგან ბუნკერები დგას და დაბომბვის დროს თუ თავს შეაფარებ, მეტ-ნაკლებად დაცული იქნები, მაგრამ ძალიან საშიშია, თუ მოწინააღმდეგე დაცვის პერიმეტრს გაარღვევს და ბაზაში შემოვა. ამ დროს მოწინააღმდეგე ბაზაზე გაფანტული და ძალიან საშიშია. წარმოიდგინეთ, როგორი თავგანწირულები არიან, რომ ბაზაში შემოსვლის არ ეშინიათ. არადა, იქ უძლიერესი კონტროლია და მაინც არღვევენ. ეს იგივეა, ლომს ხახაში ჩაუვარდე.

ავღანეთში სამხედრო ბაზები კარგადაა დაცული, მაგრამ თალიბებმა მასში შეღწევას მაინც აზრხებენ და ეს იგივეა, ლომს რომ ხახაში ჩაუვარდე



თალიბებისთვის სიცოცხლეს ჩალის ფასი აქვს. ნებისმიერ დროს შეიძლება ცხვირწინ აგეტუზოს ან კარზე მოგიკაკუნოს ჩადრიანმა თალიბმა. პროფესიონალი ჯარისკაცები არ არიან, ელემენტარულ საბრძოლო მომზადებას გადიან ისე, როგორც შაჰიდი თვითმკვლელები და ამიტომ უფრო მეტად საშიში არიან. როდესაც ამ გადაწყვეტილებას იღებენ, იციან, რომ სიკვდილზე მიდიან, მაგრამ მაინც აკეთებენ.

**— მეამბოხეები პერიოდულად გიტევენ თუ ბრძოლისთვის მუდმივად მზად არიან?**

— ძნელია ამის პროგნოზირება, ზოგჯერ მაშინ არიან ჩუმად, როდესაც მოსავალს იღებენ, მათი მოსავალი კი იცით, რაც არის, ზოგჯერ კი, პირიქით, მაშინ აქტიურობენ და განსაკუთრებით აგრესიული არიან.

**— როგორია ბაზა, სადაც თქვენ ახლა მსახურობთ?**

— დახურული ქალაქივით არის. მის ტერიტორიაზეა რესტორნები, პიცერია, კინოთეატრები, სადაც სხვადასხვა ჟანრის ფილმებს (უფრო მეტად ისტორიულ და სამხედრო თემატიკაზე) აჩვენებენ. აქვეა სპორტული დარბაზებიც, რომელთა დაცვა ჩვენ გვევალება.

**— უცხო ქვეყნის წარმომადგენლები თქვენ გარდა კიდევ არიან?**

— ბევრნი არიან. ჩვენს დეპარტამენტში 40 თანამშრომელია, მათ შორის არიან ინდოელები და კენიელები, ასევე აზიელები, ჩამოსული არიან პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნიდანაც.

**— ქართველი მხოლოდ თქვენ ხართ?**

— არა, ვიცი, რომ ერთი ქალიც არის, ოღონდ სამზარეულოში მუშაობს რომელიღაც ბაზაში. ვცდილობ, ვიპოვო, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოვახერხე. ამას დრო სჭირდება.

**— ზვიად, ძნელი არ არის მანდ ყოფნა?**

— ადვილი ნამდვილად არ არის. ლოჯისტიკა, ანუ საქმე, რასაც მე ვემსახურები, თალიბების ტკბილი ლუკმაა. ალბათ, გინახავთ, სავსე ცისტერნები და ან დატვირთული მანქანები როგორ იწვის. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ სამხედრო მასალამ და საერთოდ, ნებისმიერმა სიახლემ ავღანეთში ვერ ჩააღწიოს. ისინი ყველანაირ სიახლეს ებრძვიან. აქ მეომარს ასაკი არა აქვს. პატარასაც კი იარაღი უჭირავს და ეს განსაკუთრებით მძიმე სანახავია. თაობები ისე გაიზარდნენ, რომ ომის გარდა არაფერი უნახავთ. ამიტომ 10 წლის ავტომატით ან თვითნაკეთი ბომბით შეიარაღებული ბიჭის დანახვა არავის უკვირს. აქ ხუმრობენ, ეს არის ქვეყანა, რომელიც ღმერთმა დიდი ხანია დაივიწყაო.

...როდესაც ხელმძღვანელობა ხედავს, რომ საქმეს პირნათლად აკეთებ, შრომა არ გეკარგება. პირიქით, ცდილობენ, სტიმული მისცენ და ამას შინი პროფესიონალიზმით — პატრიოტიზმით გამოხატავენ. ეს შედარებით აიოლებს ამ მძიმე სიტუაციას. ყველაზე რთულია ფსიქოლოგიური ბარიერი. აქ დღეს თუ სიმშვიდეა, ეს არ ნიშნავს, რომ მეორე წამს ვითარება რადიკალურად არ შეიცვლება. ბევრი ვერ უძლებს. თუ განსაკუთრებით მძიმე პერიოდია და ეს ბაზაზეც ვრცელდება, თალიბები ბომბებს ისვრიან და ყველანაირად ცდილობენ შემოჭრას, რაც ადვილი ასატანი არ არის და ზოგი კონტრაქტორი ბაზას მეორე დღესვე ტოვებს. აქ თუ ფიზიკური და ფსიქოლოგიური მონაცემები არ გააერთიანე, ვერ გაძლებ.

**— ბაზაში ქალები არიან?**

— კი, საკმაოდ ბევრი. ჯავშანჟილეტს რომ ჩაიცვამენ და ჩაფხუტს დაიხურავენ, სასაცილო შესახედავები არიან, ძირითადად, ამერიკელები, კენიელები, ფილიპინელები, ტაჯიკები და ყირგიზები არიან. აქ ყოფნის ექვსი თვე არის ზღვარი, ვინც ამ დროს გადალახავს, ის შემდეგაც უძლებს და შეიძლება ჩემსავით წლობით დარჩეს. ასე რომ, იმ ქალებმა ის ექვსთვიანი შიშის მომენტი გადალახეს. ბაზაზე თანამშრომლების შორის ურთიერთმოკითხვა რეკომენდებულიც არის, მაგრამ ზღვარს არ უნდა გადახვიდე. აქ ყველანი 12 საათი ვმუშაობთ, შემდეგ უკვე ყველა ცდილობს თავისებურად გაერთოს ან დაისვენოს.

**— თქვენი დილა რომელზე იწყება?**

— 6-ზე. ზოგჯერ უფრო ადრეც, გააჩნია სიტუაციას. როდესაც შემოტევაა, სხვა რეჟიმში გვიწევს მუშაობა. თუ ბაზის გარეთ არის თავდასხმა, შიგნით ყველა ბედნიერია, რა თქმა უნდა, ვხუმრობ...

**— სამშვიდობო კონტინგენტში მყოფ ქართველებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— მხოლოდ გამარჯობითა და მოკითხვით, როგორ ხართ, ბიჭებო... დანარჩენის უფლებას სამსახურის შიდაწესდება არ მაძლევს.

**— კონტრაქტის გაგრძელებას აპირებთ?**

— დიახ, ჯერჯერობით სხვა არჩევანი არა მაქვს... შარშან დეკემბერში თბილისში ვიყავი. თავდაცვის სამინისტროს „შეუახსენე თავი", რამდენიმე მაღალჩინოსანთან საუბარიც მქონდა დაბრუნების შესახებ. ვიდრე ჩამოვიდოდი, მაიმედებდნენ, მერე კი იმას, რასაც ავღანეთში ყოფნისას დამპირდნენ, დაპირებად დარჩა. არადა, ერთ-ერთ გენერალსაც ვესაუბრე, მაგრამ არც მას შემდეგ შეცვლილა რამე.

ლალი პაპასკირი



ISAF-ის ძალების შემადგენლობაში სხვადასხვა ეროვნების მრავალი ქალი მსახურობს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საჰაერო თავდაცვის აქტუალურობა და განვითარების ასპექტები

**(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ 2013, №5, 7, 9)**

დავუბრუნდეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს. ბოლო წლების რეფორმების შემდეგ, მგონი, თვითონაც ვერ გაურკვევიათ, როგორ უნდა მართონ სხვადასხვა სახეობაში დაქსაქსული ჰაერსაწინაღო თავდაცვის საშუალებები: საზენიტო კომპლექსები, გამანადგურებელი ავიაცია, ჩახშობის საშუალებები.

ჩამოყალიბებულ 4 სამხედრო ოლქის (დასავლეთი, ცენტრალური, აღმოსავლეთი და სამხრეთი) საზღვრებში სახმელეთო ჯარების (საჯარისო) ჰაერსაწინაღო თავდაცვასთან ერთად მოქმედებენ სსძ-ის და ჰსთ-ის სარდლობები. ასევე, კოსმოსური ჯარების და საჰაერო კოსმოსური ჯარების ოპერატიულ-სტრატეგიული სარდლობის (რომელიც მანამდე შეიქმნა ჰსთ-ის მოსკოვის ოლქის და სხვა სტრუქტურების გაერთიანებით) ბაზაზე ჩამოყალიბდა საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის ჯარები. საჰაერო-კოსმოსური ჯარების შემადგენლობაში კოსმოსური დაზვერვისა და შეტყობინების ცენტრებთან ერთად შედიან ჰაერსაწინაღო თავდაცვის და ანტისარაკეტო თავდაცვის ბრიგადები.

შესაბამისად, რუსეთის არმიაში ბოლო რეფორმების შედეგად მიიღეს, რომ ჰაერსაწინაღო თავდაცვის შენაერთები შედიან სახმელეთო ჯარებში, სამხედრო-საჰაერო ძალებში და საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის ჯარებში. ამ დაქსაქსულ ძალებს შორის არ არსებობს ერთიანი კომუნიკაცია, მართვისა და დაზვერვის ერთიანი სისტემა, რაც რეალური საბრძოლო მოქმედებების პირობებში აუცილებლად გამოიწვევს ქაოსს და, გარდა დაბალი ეფექტიანობისა — „მეგობრულ ცეცხლს“ საკუთარი ავიაციის წინააღმდეგ. ამის მაგალითი რუსებს აგვისტოს ომის უმარტივეს პირობებშიც კი ჰქონდათ, როცა 2 საკუთარი თვითმფრინავი გაანადგურეს (ა. ს.: ღია წყაროებზე დაყრდნობით).

სისტემურობის მხრივ იდეალური მდგომარეობა არც NATO-ს ერთიან ჰაერსაწინაღო თავდაცვაშია. NATO-ს საჰაერო სივრცე დაყოფილია ზონებად და სექტორებად, რომლებიც ნაციონალური (წევრი ქვეყნების) ჰაერსაწინაღო თავდაცვის სისტემებისგან შედგებიან საკუთარი თავისებურებებით, განსხვავებული იურიდიული თუ სხვა პროცედურებით და სისტემებით. თუმცა NATO გაცილებით წინაა მართვის სისტემების და საინფორმაციო უზრუნველყოფის ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით და მიზანმიმართულად მუშაობენ ერთიანი სისტემის დახვეწის მიზნით.

2001 წლის 11 სექტემბერმა აშშ-ის კონტინენტური ნაწილის ჰაერსაწინაღო თავდაცვის სისტემის უამრავი ნაკლოვანება გამოავლინა. კერძოდ, აქტიური ლოკაციის ველის უქონლობა ან უკმარისობა, თუ რა რეფორმები გატარდა ამ წლების განმავლობაში უცნობია. ფაქტია, რომ ზესახელმწიფო მოუმზადებელი აღმოჩნდა საჰაერო საფრთხის აღსაკვეთად, რადგან ამისათვის საჭიროა ჰაერსაწინაღო თავდაცვის სწორი მოწყობა და სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურის შეთანხმებული მუშაობა.

მივედით იმ საკითხთან, რომ ჩამოვაყალიბოთ, რა არის საჰაერო თავდაცვა ან საჰაერო-კოსმოსური თავდაცვა. შეიძლება ვინმემ იკითხოს, რა დროს კოსმოსიაო?

საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის ფარგლებში არაა საკალდებულო ებრძოლო კოსმოსურ თანამგზავრებს, ვაწარმოოთ კოსმოსური დაზვერვა და სხვა. სრულიად რეალურია საჰაერო თავდაცვის მშენებლობის სწორად წარმართვის შემთხვევაში, შორეულ პერსპექტივაში, შევქმნათ ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემა, ვებრძოლოთ არა მხოლოდ საჰაერო სივრციდან (სტრატოსფეროდან), არამედ კოსმოსიდან მომავალ საფრთხეებს. მანამდე კი ორი მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ:

1. კოსმოსური სადაზვერვო საშუალებებისაგან თავის დაცვა;

2. ისეთი მართვის და დაზვერვის სისტემის შექმნა, რომელიც პერსპექ-



ქართული არმიის საჰაერო თავდაცვაში თავისი ადგილი „მიწა-ჰაერის“ კლასის თანამედროვე რაკეტებმაც დაიკავა

ტივაში უზრუნველყოფს ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემების მართვას;

ჯერჯერობით კი კოსმოსი დავივიწყოთ და საჰაერო სივრცეს მივხედოთ.

**საჰაერო თავდაცვა არის პოლიტიკურ, სამხედრო, სამართლებრივ და სხვა სახის ღონისძიებათა კომპლექსი,** რომლებსაც ატარებს სახელმწიფო ერთიანი გეგმით, ერთიანი ხელმძღვანელობით საჰაერო თავდასხმის შესახებ სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელობის, შეიარაღებული ძალებისა და მოსახლეობის დროული შეტყობინების, საჰაერო თავდასხმის ალკვეთის ან ჯარების დაჯგუფებების, მოსახლეობის, მნიშვნელოვანი ობიექტების ზარალის და დანაკარგების შემცირების (მინიმუმამდე დაყვანის) მიზნით. საჰაერო თავდაცვა არის სახელმწიფოს თავდაცვის შემადგენელი ნაწილი.

**სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით** საჰაერო თავდაცვა არის სახელმწიფო და სამხედრო მართვის ორგანოების მიერ საქართველოს (მისი შეიარაღებული ძალების, მოსახლეობის, მნიშვნელოვანი ობიექტების) შეიარაღებული თავდაცვის მომზადება (დაგეგმვა, ორგანიზება) და განხორციელება ჰაერიდან შეიარაღებული თავდასხმისაგან.

**სამხედრო თვალსაზრისით** საჰაერო თავდაცვა არის სამხედრო მოქმედებების სისტემა ჰაერიდან მიყენებული დარტყმებისაგან საქართველოს ტერიტორიების, ჯარების, მოსახლეობის და მნიშვნელოვანი ობიექტების დასაცავად.

ახლა ჰაერსაწინაღო თავდაცვის განსაზღვრება ჩამოვაყალიბოთ.

ჰაერსაწინაღო თავდაცვა არის თავდაცვის სახეობა და წარმოადგენს ჰაერსაწინაღო თავდაცვის ძალების და საშუალებების საბრძოლო მოქმედებებს საჰაერო-კოსმოსური თავდასხმის საშუალებების დარტყმების ჩასაშლელად/მოსაგერიებლად.

ჰაერსაწინაღო თავდაცვა უნდა იყოს ერთიანი მთელი სახელმწიფოსთვის და მისი შეიარაღებული ძალებისათვის და უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს თავდაცვის ერთიან სისტემაში.

**დასასრულ, დავასკვნათ, რომ „საჰაერო თავდაცვა“ არის ღონისძიებათა კომპლექსი, ხოლო „ჰაერსაწინაღო თავდაცვა“ — საბრძოლო მოქმედებები.**

ჰაერსაწინაღო თავდაცვის ინტერესებისათვის მოქმედებენ მხოლოდ საზენიტო კომპლექსები, გამანადგურებელი ავიაცია და რადიოელექტრონული ჩახშობის სისტემები საჰაერო-კოსმოსური თავდასხმის საშუალებების გასანადგურებლად (ჩასახშობად) ჰაერში.

სახელმწიფოს საჰაერო თავდაცვის ინტერესებისათვის კი ჰაერსაწინაღო თავდაცვის საშუალებებთან ერთად შეიძლება გამოიყენებოდეს დამრტყმელი ავიაცია და სარაკეტო [illegible] საჰაერო-კოსმოსური თავდასხმის საშუალებების გასანადგურებლად ხმელეთზე (აეროდრომებზე, სასტარტო პოზიციებზე).

ამ ამოცანების შესასრულებლად იქმნება საჰაერო თავდაცვის თუ ჰაერსაწინაღო თავდაცვის სისტემები თავიანთი შემადგენელი კომპონენტებით. ეს საკითხები გარკვეულწილად გაშლილია საჰაერო თავდაცვის განვითარების კონცეფციაში (განახლებული ვერსია იხილეთ სამხედრო პორტალ army.ge-ზე, ასევე ჟურნალ „არსენალში“) და აღარ განვმეორდები. თუმცა, ამ დოკუმენტში მკაფიოდ არ არის გამიჯნული ტერმინები „საჰაერო თავდაცვა“ და „ჰაერსაწინაღო თავდაცვა“, რადგან შეიარაღებულ ძალებში მიღებული ტერმინებით ვსარგებლობდით. შემდგომში ამ კუთხით კონცეფცია აუცილებლად დავხვეწ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ავიაციისა და ჰაერსაწინაღო თავდაცვის გაერთიანებისას მიღებულ შეიარაღებული ძალების სახეობას შეიძლება ერქვას „საჰაერო თავდაცვის ძალები“, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ეს იქნება ჰაერსაწინაღო თავდაცვა, არამედ მიუთითებს, რომ სამხედრო-საჰაერო ძალები და ჰაერსაწინაღო თავდაცვის ჯარები მოყვანილია შესაბამისობაში სახელმწიფოს თავდაცვით დოქტრინასთან. **საჰაერო თავდაცვის ძალების შემადგენლობაში კი ცალკეულ გვარეობებად უნდა შევიდეს ავიაცია და ჰაერსაწინაღო თავდაცვა.**

შემდგომ სტატიებში, დაპირებისამებრ, ჰაერსაწინაღო თავდაცვის საბრძოლო შესაძლებლობებსა და ტაქტიკის საკითხებს განვიხილავთ.

*ამირან სალუქვაძე*

*საჰაერო ძალების სარდალი*

*2003-2005 წწ-ებში*

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვე საჰაერო-საზღვაო ოპერაციები და მისი ევოლუცია



(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ 2013, №7-9)

## კოსოვოს კრიზისი

1991 წლის 22 სექტემბერს კოსოველმა ალბანელებმა კოსოვოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და იუგოსლავიის ხელისუფლებასთან შეიარაღებული ბრძოლისთვის კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის ჩამოყალიბება დაიწყეს.

ბელგრადი სეპარატისტებთან ბრძოლას ჯერ მილიციური ფორმირებებით შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოვიდა და 1998 წლიდან კოსოვოში მიმდინარე ომში იუგოსლავიის არმია ჩაება.

ვითარების გამწვავების გამო 1999 წლის გაზაფხულზე NATO-მ კოსოვოს მოვლენებში მრავალეროვანი ძალების გამოყენება გადაწყვიტა.

პირველად ევროპის კონტინენტზე NATO-ს ქვეყნების ავიაციამ და ფლოტ-

იუგოსლავიის ფედერაციის დაშლის შედეგად სამხედრო-საზღვაო ძალების 20% ხორვატიას დარჩა. დანარჩენი 80% სერბია-ჩერნოგორიის განკარგულებაში გადავიდა და მათ შორის მთავარ ძალას წარმოადგენდა:

სამი Heroj-ისა და ორი Sava-ს სერიის დიზელ-ელექტრული წყალქვეშა ნავი (შეიარაღება — 533 მმ-იანი სატორპედო აპარატები), MD-100 ტიპის ხუთი მინიწყალქვეშა ნავი (შეძლო 6 წყალქვეშა დივერსანტის ან 250-კგ-იანი მაგნიტური ნაღმების გადატანა);

მიზეზთა გამო 1999 წლისთვის ხუთივე დიზელ-ელექტრული წყალქვეშა ნავი მწყობრიდან იყო გამოსული. საბრძოლო მზადყოფნას ინარჩუნებდა 3 მინიწყალქვეშა ნავი და ორიც რეზერვში იყო;

საბჭოთა 1159-ე პროექტის ორი სარაკეტო ფრეგატი — VPB31 Beograde და VPB32 Podgorica (სარაკეტო შეიარაღება ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი 4X1 П-20 და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი 1X2 Oca M);

სამამულო Kotor-ის სერიის ორი სარაკეტო ფრეგატი — VPB33 Zagreb-ი და VPB34 Novi Sad-ი (სარაკეტო შეიარაღება ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი 4X1 П-20 და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი 1X2 Oca M);

სარაკეტო კატარღებიდან სამამულო Rade Koncar-ის სერიის 5 კატარღა ორ-ორი П-20-ით, ხოლო საბჭოთა 205-ე პროექტის ხუთი კატარღა კი ოთხ-ოთხი П-15-ით იყო აღჭურვილი;

სანაპირო დაცვის განკარგულებაში იყო „ნაპირი-ხომალდის“ კლასის სარაკეტო 10 ბატარეა და სხვადასხვა კალიბრის 80-მდე ქვემეხი.



იუგოსლავიელთა სარაკეტო კატარღები საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ, მაგრამ NATO-ს ხომალდების წინააღმდეგ მოქმედება ვერ შეძლეს


კლდეში გამოჭრილ ასეთ თავშესაფრებში წყალქვეშა ნავები საიმედოდ იყო დაცული

მა საჰაერო თავდასხმის მაღალი სიზუსტის იარაღით უკონტაქტო ლოკალურ ომში იუგოსლავიის ხელისუფლება კაპიტულაციამდე მიიყვანა.

1999 წლის 23-24 მარტის ღამეს NATO-ს ქვეყნების საჰაერო-საზღვაო ძალებმა დარტყმა მიაყენეს იუგოსლავიის არმიის რადიოლოკაციურ პოსტებს, საცეცხლე საშუალებებს, მართვისა და კავშირის პუნქტებს, სახელმწიფო და სამხედრო დანიშნულების ობიექტებს, საარმიო ნაწილების მუდმივი დისლოკაციის ადგილებსა და კოსოვოში მყოფ ქვედანაყოფებს.

დაბომბვა სამ ეტაპად მიმდინარეობდა, რაც საბოლოოდ ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის განადგურებაზე იყო გათვლილი. სამიზნეთა შორის არცთუ შემთხვევით იუგოსლავიის სამხედრო-საზღვაო ბაზები და პორტები არ იყო.

აშშ-ის მაშინდელი თავდაცვის მინისტრ უილიამ კოენის თქმით, „NATO-ს მიზანი იყო კოსოველ ალბანელებზე თავდასხმებისგან სერბების შეკავება, სერბეთის შეიარაღებული ძალების შეტევითი პოტენციალის შესაძლებლობათა შესუსტება და საჰაერო თავდაცვის განადგურება“.

დაბომბვებთან ერთად იუგოსლავია საზღვაო ბლოკადაშიც იყო მოქცეული. ბაზებში მყოფ სამხედრო ხომალდებს NATO-ს ქვეყნები ჰაერიდან მუდმივად აკონტროლებდნენ და ზღვაში შეუმჩნევლად გასვლა უაღრესად რთული იყო.

საზღვაო ოპერაციებში NATO-ს ქვეყნების დაახლოებით 60 ხომალდი და 4 ავიამზიდი მონაწილეობდა. კოალიციის


იუგოსლავიის ფლოტის მინიწყალქვეშა ნავები

ხომალდებმა სამიზნეებს დაახლოებით 180 სახომალდო ფრთოსანი რაკეტა დაუშინეს. სროლის ადგილები სანაპიროდან დაახლოებით 60-400 კმ-ით იყო დაშორებული, რაც იუგოსლავიელებს სანაპირო დაცვის რაკეტების გამოყენების საშუალებას უსპობდა.

NATO-ს ქვეყნების უზარმაზარი უპირატესობის ფონზე ზღვაში აქტიურ მოქმედებებზე უარი ითქვა და ფლოტი ქვეყნის საერთო-საჰაერო თავდაცვის სისტემაში ჩაერთო.

იუგოსლავიელები სახომალდო სხვადასხვა კალიბრის ასამდე საზენიტო ავტომატით თუ ქვემეხით, რამდენიმე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Oca M-ით, აგრეთვე ხელის საზენიტო კომპლექსებით NATO-ს საჰაერო საშუალებებს ებრძოდნენ.

ცნობილია ორი შემთხვევა, როცა იუგოსლავიელმა მეზღვაურებმა წარმატებასაც მიაღწიეს: 12 აპრილს პორტ ბარის მახლობლად ცეცხლი გაუხსნეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თვითმფრინავს და დააზიანეს. 28 მაისს ღამით კი ისევ პორტ ბართან უპილოტო საფრენი აპარატი Hunter-ი ჩამოაგდეს.

თუმცა ვიცე-ადმირალ მილან ზეცის თქმით, ფლოტის საჰაერო თავდაცვამ სულ 3 თვითმფრინავი, 1 უპილოტო


ლიბიიდან თურქეთის მოქალაქეთა ევაკუაციაში ბორანი A-1600 İskenderun-ი მონაწილეობდა, რომელსაც ესკორტირებას სარაკეტო ფრეგატი F-240 Yavuz-ი უკეთებდა

საფრენი აპარატი და 5 ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა გაანადგურა.

ბლოკირებული აღმოჩნდა იუგოსლავიის დუნაის ფლოტილიაც, რომელიც ქალაქ ნოვი-სადში იყო თავმოყრილი. მას შემდეგ, რაც კოალიციის ავიაციამ დუნაის დინების ზევით და ქვევით ხიდები დაანგრია, კატარღების გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა.



2011 წლის 19 მაისს პორტ ტრიპოლიზე საჰაერო თავდასხმის შედეგად ლიბიის ფლოტს რამდენიმე ხომალდი გამოაკლდა

## ოპერაცია Iraqi Freedom

სპარსეთის ყურეში ვითარება 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა ისევ გაამწვავა, რასაც შემდგომ ერაყში საბრძოლო მოქმედებათა განახლება მოჰყვა.

2003 წელს ერაყში დაწყებულ ომში აშშ-სა და მოკავშირე ქვეყნებს კონკრეტული მიზნები ჰქონდათ:

— სადამ ჰუსეინის ჩამოგდება და ხელისუფლებაში პროდასავლური ძალების მოყვანა;

— მასობრივი განადგურების იარაღისა და მისი გადატანის საშუალებათა აღმოჩენა, იზოლირება და განადგურება;

— ერაყის ტერიტორიაზე ტერორისტთა ბაზებისა და ტერორისტების განადგურება;




— ნავთობსაბადოების, ნავთობსადენებისა და ნავთობის ტრანსპორტირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

1991 წელთან შედარებით ერაყის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახომალდო შემადგენლობა უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო. საერთაშორისო სანქციათა გამო მისი შევსება ახალი ხომალდებით შეუძლებელი აღმოჩნდა.

ერაყის ფლოტის ყველაზე ძლიერ საშუალებებს — ფრეგატ F 507 Ibn Marjid-სა (შეიარაღება ოთხი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა Exocet-ი) და ერთადერთ სარაკეტო კატარღას (პ. 205EP) სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ზღვაში გასვლა არ შეეძლოთ.

მოხერხდა სამამულო წარმოების Savari-ს ტიპის პატარა წყალწყვის კატარღების მშენებლობის ორგანიზება. კატარღები 12,7 მმ-იანი ДШК-ს ტიპის ერთი ტყვიამფრქვევით იყო შეიარაღებული და დამატებით ოთხ ნაღმს იტევდა.

1999 წლისთვის მოხერხდა სანაპირო დაცვის სამი ბატარეის გამართვა, რომლებიც ჩინური ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა HY-2-ით იყო აღჭურვილი.

სანაპირო დაცვის სისტემაში კვლავინდებურად მთავარი ადგილი ნაღმებს ეკავა და ომის დაწყებისთვის პორტების მისასვლელი ფარვატერების ნაწილობრივ დანაღმვა მაინც მოასწრეს.

ოპერაცია Iraqi Freedom-ში მონაწილეობისთვის აშშ-მა უზარმაზარ ძალას მოუყარა თავი:

— სპარსეთის ყურესა და არაბეთის ზღვაში მე-5 ფლოტის 60 საბრძოლო ხომალდი (მ. შ. 3 ავიამზიდი) და დამხმარე გემი იმყოფებოდა;

— ხმელთაშუა ზღვაში მე-6 ფლოტის 26 საბრძოლო ხომალდი (მათ შორის 2 ავიამზიდი) და გემი მოქმედებდა;

ამერიკული საბრძოლო ხომალდების ბორტებზე საზღვაო ავიაციისა და საზღვაო ქვეითთა 500 საფრენი აპარატი იყო განთავსებული.

2003 წლის 20 მარტს ღამით ამერიკული წყალზედა და წყალქვეშა ხომალდებიდან ერაყში სხვადასხვა სამიზნეს ერთდროულად 400-ზე მეტი Tomahawk-ი დაატყდა თავს.

ძალთა უაღრესად დიდი დისბალანსის პირობებში საზღვაო მოქმედებები შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ზღვაში შემჩნეული ერაყელთა ნებისმიერი



კადაფის ფლოტმა ვერც ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტების გამოყენება შეძლო

მცურავი საშუალება პოტენციური საფრთხის მატარებლად აღიქმებოდა და მისი დაკავება-განადგურების ღონისძიებები ტარდებოდა.

26 მარტს ქუვეითის ჩრდილო საზღვრებიდან 2 მილში კოალიციის ძალების ხომალდმა დააკავეს ერაყელთა ორი ბუქსირი და ბარჟა, რომლებსაც LUCM-სა და Manta-ს ტიპის 130 ნაღმი გადაჰქონდა. 27 მარტს კი ფაოს ნახევარკუნძულის სამხრეთით ერაყელთა საპატრულო კატარღა კოალიციის ძალების მოთხოვნებს არ დაემორჩილა, რასაც ამერიკული თვითმფრინავების შეტევა და მისი ჩაძირვა მოჰყვა.

საავიაციო დარტყმებს ვერც ძველი ფრეგატი Ibn Marjid-ი გადაურჩა და ერთ-ერთი საჰაერო თავდასხმისას ამერიკელმა მფრინავებმა ჩაძირეს.

15 აპრილს ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა ორგანიზებული წინააღმდეგობა შეწყვიტეს, რითაც აქტიური საბრძოლო მოქმედებები შეწყდა.

## 2011 წელი. ლიბია

ლიბიაში მუამარ კადაფის რეჟიმის დასამხობად დაწყებულ სამოქალაქო ომში სამხედრო-საზღვაო ძალების მონაწილეობას ეპიზოდური სახე ჰქონდა და ომის მსვლელობაზე გავლენა არ მოუხდენია.

არადა, ლიბიას არცთუ სუსტი საზღვაო ძალები ჰყავდა. ომის წინ მის შემადგენლობაში შედიოდა: დიზელ-ელექტრული წყალქვეშა ნავი S315 Al Khyber-ი (პ. 641), საბჭოთა 1159TP პროექტის ორი სარაკეტო ფრეგატი — 212 Al Hani და 213 Al Ghardabia (სარაკეტო შეიარაღება — ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი 4X1 П-20 და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი 1X2 Oca M), ორი კორვეტი 416 Tariq-Ibn Ziyad და 418 Ain Zaara (პ. 1234), 14 სარაკეტო კატარღა (6 — პ. 205 და 8 — პ. Combattante IIG), 9 მტრალავი და 4 სადესანტო ხომალდი, რამდენიმე ათეული საპატრულო კატარღა.

სანაპირო დაცვის განკარგულებაში იყო მაღალი გამავლობის ავტომობილებზე დაყენებული Рубеж-ის ტიპის მობილური სარაკეტო კომპლექსები. გავრცელებული ინფორმაციით, კომპლექსები მწყობრიდან იყო გამოსული და პირადი შემადგენლობა მხოლოდ სავარჯიშოდ იყენებდა.

ომის ხასიათიდან გამომდინარე, საბრძოლო მოქმედებათა ეპიცენტრად მაინც სახმელეთო ბრძოლები იქცა და კადაფის რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილი ფლოტი დროდადრო სამთავრობო ჯარების საცეცხლე მხარდაჭერით იყო დაკავებული.

ერთ-ერთი ბრძოლისას სიდრას ყურეში, პორტ რას-ელ-ანუფისთან, ხომალდებმა აჯანყებულთა პოზიციებს ცეცხლი გაუხსნეს და დესანტიც გადასხეს.

თუმცა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში დაწყებული რღვევის პროცესი ნელ-ნელა ფლოტსაც გადაედო და 2011 წლის თებერვლის ბოლოს პორტ ბენღაზის აჯანყებულთა ხელში გადასვლასთან ერთად ვითარებაც მკვეთრად შეიცვალა.

სამხედრო-საზღვაო ბაზაში მყოფი წყალქვეშა ნავ Al Khyber-ის (გაუმართავი იყო), ფრეგატ Al Hani-ს, კორვეტ Tariq-Ibn Ziyad-ის [illegible] ეკიპაჟი და კიდევ რამდენიმე ხომალდის ეკიპაჟი აჯანყებულებს შეუერთდა.

ლიბიის მოვლენებში გარდატეხა 19 მარტს დადგა, როცა ფრანგულმა თვითმფრინავებმა ქვეყნის საჰაერო სივრცეში პირველი საბრძოლო ფრენები შეასრულეს.

კადაფის დასამხობ ოპერაციებში NATO-ს ქვეყნების ავიაციასთან ერთად 25 საბრძოლო ხომალდი, მათ შორის ერთი ავიამზიდი და ორი შვეულმფრენმზიდი ჩაერთო.

ალიანსის საავიაციო-სარაკეტო და სახომალდო არტილერიის დარტყმების ქვეშ აღმოჩნდა სამთავრობო ჯარების პოზიციები და დაჯგუფებები.

კადაფი NATO-ს ქვეყნებს „ცეცხლის ზღვას“ ჰპირდებოდა, მაგრამ ჰაერში ალიანსის ავიაციის სრული ბატონობის პირობებში ლიბიის ფლოტს აქტიურობის შესაძლებლობა არ გააჩნდა. თანაც ბევრი მცურავი საშუალება გაუმართავი იყო.

29 მარტს პორტ მისრათას მახლობლად ამერიკულ თვითმფრინავებს ლიბიელთა საპატრულო კატარღებმა ცეცხლი გაუხსნეს. საპასუხო ცეცხლით ამერიკელმა მფრინავებმა ერთი კატარღა დააზიანეს, მეორე ჩაძირეს და მესამე კი თავად ეკიპაჟმა მიატოვა.

მას შემდეგ, რაც მისრათა აჯანყებულთა კონტროლქვეშ მოექცა, 16 მაისს სამთავრობო ძალების წყალქვეშა მებრძოლებმა რეზინის ორი ნავით პორტში შეღწევა სცადეს, მაგრამ ალიანსის საბრძოლო ხომალდმა ამის საშუალება არ მისცა. ერთ-ერთი ნავის დაკავება მოხერხდა და მის ბორტზე ტონამდე ფეთქებადი მასალა აღმოჩნდა.

კადაფის ერთგული ფლოტის მეორე ნაწილი ტრიპოლიში იყო თავმოყრილი და მისი ნეიტრალიზებისთვის NATO-ს ავიაციის ერთი საჰაერო თავდასხმა საკმარისი გამოდგა.

19 მაისს ბრიტანულმა Tornado GR.4À-ებმა Brimstone-ს ტიპის „ჰაერი-ხომალდის“ კლასის რაკეტებით ტრიპოლიში სარაკეტო კატარღა Wahg-ი ჩაძირეს, მძიმედ დააზიანეს ფრეგატი Al Ghardabia, სარაკეტო კატარღა Sharara და კიდევ ერთი ხომალდი. კიდევ უფრო ადრე მისრათაში NATO-ს თვითმფრინავებმა კორვეტი Ain Zaara ჩაძირეს.

ტრიპოლის დაბომბვით სამთავრობო ფლოტის საფრთხის პრობლემა მოიხსნა, თუმცა ლიბიის სამოქალაქო ომი ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდა.

**თემურ ჩახანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# X-37 უპილოტო „შატლი" საიდუმლო მისიებისთვის

უკანასკნელ წლებში უპილოტო ტექნიკამ სამხედრო სფეროში ფეხი მყარად მოიკიდა. მრავალი ქვეყნის არმიის განკარგულებაში ათობით ტიპის უპილოტო საფრენ აპარატთან ერთად სხვადასხვა სახის რობოტები და უპილოტო კატარღებიც კი არის.

ამჯერადაც ამერიკა პირველია, რომლის სამხედრო-საჰაერო ძალები კოსმოსში სხვადასხვა ხანგრძლივობით უპილოტო „შატლს" გზავნის.

ექსპერიმენტული ორბიტული X-37 უკვე რამდენიმე წელია სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს. თუმცა თავად ამერიკელები პროექტს და მასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს მკაცრად ასაიდუმლოებენ.

ორბიტულ თვითმფრინავებზე ამერიკელები 50-იანი წლებიდან მუშაობენ, მაგრამ მიზეზთა გამო პრაქტიკული ისინი მხოლოდ 1986 წელს გამოცადეს. რამდენიმე წელიწადში პროექტით ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალები დაინტერესდნენ და 1996 წელს Boeing-ს მრავალჯერადი გამოყენების მცირე გაბარიტული უპილოტო კოსმოსური ხომალდის შექმნა დაავალეს.

SMV-ს (Space Maneuver Vehicle) ფუნქციებში თანამგზავრების მუშაობის უნარიანობის შემოწმება და ორბიტული დაზვერვა შევიდა. არსებული მოთხოვნით, აპარატს ავტომატურად, ადამიანის ჩარევის გარეშე უნდა ემოქმედა.

სახმელეთო გამოცდის შემდეგ „ბოინგი" ახალი X-40A-ს საფრენოსნო გამოცდაზე გადაერთო. 1998 წლის 11 აგვისტოს UH-60-ის ტიპის შვეულმფრენიდან 2740 მ სიმაღლიდან „ჩამოგდებული" აპარატი ავტომატურ რეჟიმში აეროდრომზე დაუბრკოლებლად დაეშვა.

1998 წლის ბოლოს ნასას დაკვეთით „ბოინგმა" ახალ მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსურ ხომალდზე დაიწყო მუშაობა. 173 მლნ დოლარის ღირებულების კონტრაქტი სადემონსტრაციო და მოქმედი პროტოტიპების შექმნას ითვალისწინებდა.

ავტონომიური მოქმედების ახალი X-37 უკვე აპრობირებული X-40-ის ბაზაზე შეიქმნა. თუმცა ახალი ფუნქციებიდან გამომდინარე, მასზე რაკეტული ძრავა, თბოდამცავი ელემენტები და სხვადასხვა ექსპერიმენტული აღჭურვილობა დაემატა.

მომავალი ორბიტული თვითმფრინავის პირველი პროტოტიპი X-37A კონსტრუქციის დასახვეწად და ატმოსფეროში გამოსაცდელად იყო გამიზნული.

მატარებელი თვითმფრინავ White Knight-ის ქვეშ ჩამოკიდებული X-37A პირველად 2005 წლის 21 ივნისს აფრინდა და მომდევნო წლის განმავლობაში „ჯგუფურ" ფრენებთან ერთად, მატარებელი თვითმფრინავისგან განცალკევების გზით, კოსმოსურმა ხომალდმა დამოუკიდებელი ფრენებიც შეასრულა. ყოველ ჯერზე აეროდრომზე ის ავტომატურად, ოპერატორის ჩარევის გარეშე ეშვებოდა.

პარალელურად ნასა, „ბოინგი" და ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალისტები კოსმოსური ხომალდის შემდგომ — ორბიტულ ვარიანტზე X-37B მუშაობდნენ.

2010 წლის დასაწყისიდან სპეციალისტებმა X-37B-ს მომზადება მთავარი მისიისთვის — ორბიტაზე გასაშვებად დაიწყეს. კოსმოსში ხომალდი რაკეტა-მატარებელ Atlas-5-ს უნდა გაეყვანა (სხვათა შორის, რაკეტაზე




პირველი ამერიკული უპილოტო „შატლი" X-40

ეროვნული ბიბლიოთეკა







რუსული წარმოების ძრავები გამოიყე-ნება).

სტარტი 2010 წლის 22 აპრილს, კა-ნავერალის კონცხიდან განხორციელდა ოფიციალური ცნობით, პირველი ფრენი-სას აპარატის სანავიგაციო და სხვა აუცი-ლებელი სისტემების გამართული მუშაობა შემოწმდა.

3 დეკემბერს X-37B დედამიწაზე დაბ-რუნდა. ორბიტაზე მან 225 დღე დაჰყო დაჯდომისას გახეთქილმა საბურავმა ხო-მალდს ფრთა უმნიშვნელოდ დაუზიანა მცირე დაზიანებები კოსმოსურ ნაგავთან შეჯახების გამო თბოდამცავმა ელემენტებ-მაც მიიღეს.

სანამ პირველი ხომალდი თითქმის 8 თვის განმავლობაში ორბიტაზე ბურუსით მოცულ დავალებებს ასრულებდა, ამერი-კელი სპეციალისტები მისი მეორე პრო-ტოტიპის შექმნით იყვნენ დაკავებულნი ორბიტაზე ის 2011 წლის 5 მაისს გაუშ-ვეს. კოსმოსში მან საკმაოდ დიდხანს – 469 დღე და 13 სთ დაჰყო. პირველი მისიის მსგავსად, ამჯერაც X-37B-ის ორბიტაზე ყოფნის მიზანი და ფრენის დეტალები სა-იდუმლოდ დარჩა, თუმცა სპეციალისტები საკუთარ ვერსიებზე მუშაობენ.

ჩინეთი, რომელიც ამერიკული კოს-მოსური ტექნოლოგიების განვითარებას დეტალურად აკვირდება, თვლის, რომ

X-37 ამერიკის თავდაცვის უწყების ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული პროგრამაა. მოცემულ ფოტოზე, უპილოტო შატლზე სავარაუდოთ თბოდამცავი ელემენტების დამაგრების ერთ-ერთი სტადიაა ასახული

ორბიტული თვითმფრინავების თემატიკაზე ამერიკელები გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მუშაობენ. 1957 წელს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების დაკვეთით, „ბოინგმა“ X-20 Dyna-Soar-ის პროექტზე დაიწყო მუშაობა. პილოტირებად კოსმოსურ ხომალდს ორბიტაზე კოსმოსური ბომბდამშენის, გზაგადამჭრელისა და მზვერავის ფუნქციები უნდა შეესრულებინა.

პროექტით მომავალი ხომალდის რამდენიმე მასშტაბური მაკეტი დამზადდა. ამერიკელები X-20-ს იმდენად სერიოზულად მოეკიდნენ, რომ 7 ასტრონავტისგან საფრენოსნო ჯგუფიც კი ჩამოაყალიბეს. სხვადასხვა ტრენაჟორსა და X-20-ის იმიტატორზე ჩატარებული ვარჯიშების ხანგრძლივობამ 8 ათას საათს გადააჭარბა. ორბიტაზე Dyna-Soar-ის პირველი გაშვება 1966 წლის ზაფხულში იგეგმებოდა.

ცარიელი X-20 სიგრძით 10,77 მ-სა და 5 ტ-ზე ოდნავ მეტს იწონიდა. ხომალდს ორი ასტრონავტისგან შემდგარი ეკიპაჟი ემსახურებოდა. სასარგებლო დატვირთვა 454 კგ-ით განისაზღვრებოდა.

სხვადასხვა, მათ შორის ტექნიკური და შიდაპოლიტიკური მიზეზების გამო, 1963 წლის დეკემბერში მთავრობამ Dyna-Soar-ის პროექტი მასზე 410 მლნ დოლარის დახარჯვის შემდეგ დახურა.



X-37B-ის მეშვეობით ამერიკელები მათ ...რბიტულ სადგურ „ტიანგუნს“ უთვალ...ვალებენ. თავის მხრივ, ამერიკელები ყო...ველივე ამას კატეგორიულად უარყოფენ ...და უპილოტო კოსმოსური ხომალდის შექ...ნის მიზეზად მომავლის ტექნოლოგიების ...გამოცდას ასახელებენ.

ჩინური ვერსიის მართლებულობაზე ...მსჯელობა ძნელია. მათი კოსმოსური ობი...ექტების შესასწავლად ამერიკელებს სხვა ...საშუალებებიც აქვთ, თუმცა X-37-ის სამ...ხედრო დანიშნულებაზე ის გარემოება მეტ...ყველებს, რომ მისი დამკვეთი და ოპერატო...რი სამხედრო-საჰაერო ძალებია.

ვიზუალურად, ახალი ამერიკული უპი...ლოტო კოსმოსური ხომალდი პილოტირე...ბადი „შატლის“ მასშტაბში დაპატარავე...ბულ ანალოგს ჰგავს. Boeing-ის ოფიცი...ალურ ვებგვერდზე მოყვანილი ინფორმა...ციით, უპილოტო ხომალდს სიგრძე — 8,8 ...მ-ს, ფრთის გაქანი კი 4,4 მ-ს უტოლდება. ...მისი გამოყენება 177-დან 805 კმ-მდე ორბი...ტებზე შეიძლება. თავის ამოცანებს ის მი...წიდან მიღებული ბრძანებებით ან ავტომატურად, წინასწარ ჩაწერილი პროგრამით ასრულებს. ხომალდს 2,1 მ სიგრძის და 1,2 მ სიგანის სატვირთო ნაკვეთური აქვს. სპეციალისტთა აზრით, მასში შეიარაღების განთავსება სავსებით შეიძლება.

**პროექტის განხორციელების შემთხვევაში, „ღვთის ისრები“ დედამიწაზე ნებისმიერი სტაციონარული ობიექტის განადგურებას შეძლებენ**

ერთ-ერთი ვერსიით, ხომალდის სატრანსპორტო ნაკვეთურში თანამგზავრსაწინააღმდეგო რაკეტებს ან „ღვთის ისრებს“ განათავსებენ. ეს უკანასკნელი კოსმოსიდან სახმელეთო ობიექტების გასანადგურებელი კინეტიკური იარაღია. ამერიკელები მასზე გასულ საუკუნეში 80-იანი წლებიდან მუშაობენ. სისტემა წყვილად მომუშავე თანამგზავრებისგან შედგება. ერთზე — მართვის სისტემა, მეორეზე კი საბრძოლო მასალაა განთავსებული. ეს უკანასკნელი 6,1 მ სიგრძის და 0,3 მ დიამეტრის ვოლფრამის ღეროა. ატმოსფეროში დაახლოებით 7000 კმ/სთ სიჩქარით შემოსული ღერო სამიზნეს კინეტიკური ენერგიის ხარჯზე ანადგურებს.

ვერსიების მრავალფეროვნების მიუხედავად, ამჟამად ხომალდის უმთავრესი ამოცანა თავად X-37-ის სისტემებისა და



მასში გამოყენებული ახალი ტექნოლოგიების სრულყოფაა.

პროექტის მთავარი უპირატესობა ავტომატურ რეჟიმში ფრენის შესაძლებლობაა. ეს ამერიკისთვის პირველი პრეცედენტია, მსოფლიოსთვის კი — მეორე. საბჭოური Буран-ი მსოფლიოში პირველი კოსმოსური ხომალდი (1988 წლის 15 ნოემბერი) იყო, რომლის 205 წთ-იანი კოსმოსური „გასეირნება“ და მიწაზე დაშვება სრულიად ავტომატურ რეჟიმში განხორციელდა.

**ალექსანდრე აფაქიძე**




**2012 წლის 11 დეკემბერს, ამერიკელებმა X-37 კოსმოსში მესამედ გაუშვეს. წინა ორი გაშვების მსგავსად, ამჯერადაც მისიის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ გახმაურებულა. ხომალდი ამჟამადაც ორბიტაზე იმყოფება და დედამიწაზე დაბრუნების თარიღი უცნობია.**

არსენალი




# ACV-40

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი სამურაი

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან", პალიტრა L

**212** პირველი სამურაი ახ. წ. 900-იან წლებში გამოჩნდა. სამურაი იყო მეომარი, რომლებიც დიდებულებს ან გავლენიან კლანებს ემსახურებოდა. კლანების მიწებს დაცვა სჭირდებოდა. ყველაზე კარგი გზა საამისოდ საკუთარი ჯარის შექმნა იყო.




► სამურაი ახ. წ. 900-იან წლებში. ცხენზე ამხედრებული მეომარი გაწვეული იყო მშვილდის სროლაში.

**213** სამურაები ბრძოლაში თავს აბჯრით იცავდნენ. ადრეული სამურაის აბჯარი შედგებოდა აბრეშუმის ან ტყავის ღვედებით გადაბმული რკინის ან ტყავის ნაჭრებისგან. თითოეული ნაჭერი სამურაის სხეულის სხვადასხვა ნაწილის დასაცავად იყო გამიზნული.

**214** სამურაების ადრეულ ეპოქაში ცხენზე ამხედრებული მეომარი ელიტური მებრძოლი იყო. ის კარგი მშვილდოსანი და მხედარი იყო, ისარს ცხენის ჭენებისას ისროდა. ცხენზე ამხედრებული მშვილდოსანი გამუდმებით ვარჯიშობდა. როცა ისრები გამოელეოდა, ხმლით იბრძოდა.



## დაუჯერებელია

ადრეული იაპონური აბჯარი რკინისა იყო. მისი სიმძიმის გამო მეომარს მოძრაობა უჭირდა.



**215** ქვეითი მეომართა უდაბლესი კლასი იყო. ფარები ისე უნდა დაეჭირათ, რომ მთავარი მებრძოლი ძალა — ცხენზე ამხედრებული მშვილდოსნები დაეცვათ გარდა ამისა, ევალებოდათ მტრის ქონებისთვის ცეცხლის წაკიდება, რომ მათ ბანაკში პანიკა დაეთესათ



მინამოტოს კლანის სიმბოლო, გენჯი

ყველა კლანს ჰქონდა თავისი მონი, საგვარეულო სიმბოლო. მას დროშებზე გამოსახავდნენ და ამით მეომრებს თანამებრძოლების ცნობაში ეხმარებოდნენ.

ტაირას კლანის სიმბოლო, ჰეიკე

**216** ყველაზე გავლენიანი ორი კლანი იყო: მინამოტო (იგივე გენჯი) და ტაირა (იგივე ჰეიკე). გავლენის მოსაპოვებლად, ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ ერთმანეთზე გადაკიდებული.

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან“

**217** დიდს ორ დაპირისპირებულ კლანს შორის ხშირად ომი მოჰყვებოდა. ბრძოლის ველზე ერთმანეთის პირისპირ მდგარი ჯარები მკაცრად იცავდნენ ბრძოლის თანამიმდევრობას. პირველად მშვილდოსნები ტყორცნიდნენ ისრებს. მიაჩნდათ, რომ ისრების წყვილი ნიშანი იყო ღმერთებისთვის, რომ დაეცვათ მებრძოლი სამურაები. მათი ხმა მტერსაც თავზარს სცემდა.



▼ ბრძოლა იწყებოდა ისრების ერთდროული გასროლით

**218** ბრძოლაში პირველად წასვლა პატივად ითვლებოდა. საამისოდ მეომარს მხედრობაში არჩევდნენ. ის საუკეთესო მებრძოლი იყო, ცნობილი მამაცი მეომრების გვარისა. მას შემდეგ, რაც მტრის პირისპირ წარდგებოდა, წინაპრების სახელებსა და თავის საგმირო საქმეებს ჩამოთვლიდა. ეს გამოწვევა იყო მტრისთვის, რათა იმავე სტატუსის მეომარი გამოეშვა.





ეროვნული ბიბლიოთეკა



▲ ხელჩართულ ბრძოლაში სამურაები იბრძოდნენ ხმლებით, რომელთაც გრძელი, მოღუნული პირი ჰქონდა.

**219** მეომარი ჯერითით მიემართებოდა მტრისაკენ შესახვედრად. ისინი ცხენდაცხენ იბრძოდნენ და ერთმანეთს ისრებს ესროდნენ. ეს იყო შეჯიბრება, რათა გამოვლენილიყო, ვინ იყო საუკეთესო მხედარი და მშვილდოსანი.

**220** თუ მშვილდოსნების შერკინება გამარჯვებულს ვერ გამოავლენდა, ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ. ცხენებიდან ჩამოქვეითებული იქამდე იბრძოდნენ, ვიდრე ერთ-ერთი არ მოკვდებოდა. გამარჯვებული მას თავს აჭრიდა და მეთაურს წარუდგენდა, როგორც სიმამაცის მტკიცებულებას. ამის შემდგომ იწყებოდა ბრძოლა. ერთმანეთს ებრძოდნენ ერთი-ერთზე, ჯგუფებად, ცხენდაცხენ თუ ქვეითად.

**221** მოულოდნელობის ელემენტი ერთ-ერთი ეფექტური ტაქტიკა იყო. მეომრები ცდილობდნენ მოწინააღმდეგე მარტო გამოეჭირათ და უსაფრდებოდნენ, ან ჩუმად მიიპარებოდნენ მის სამყოფელთან და ცეცხლს უკიდებდნენ.

**დაუჯერებელია**

მხედარმა მშვილდოსანმა მინამოტო ტამეტომომ აღწერა, თუ როგორ გაიარა მისმა ისარმა მტრის უნაგირში, მის სხეულში გაიარა და მეორე მხარეს გამოვიდა!



# მცურავი ავტომობილები

**ბორბლებიანი ჯავშანტექნიკის ერთი ნაწილისთვის წყალუხვი და განიერი მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა თუ ზღვის სანაპირო ზოლის გადალახვა ჩვეული მოვლენაა, მაგრამ იყო დრო, როცა მცურავი ტექნიკა საყოველთაო ინტერესის საგანს წარმოადგენდა.**



1775 წელს ფილადელფიელმა ოლივერ ევანსმა მდინარე სკულკილის ფსკერის გასაღრმავებლად ბრტყელძირა მცურავი ბარჟა ააგო და ორთქლის ძრავა დაუყენა. ჩანაფიქრის მიხედვით ძრავას ღვედებისა და შკივების დახმარებით ცურვისას ბარჟის სანიჩბე ბორბალი და ნაპირზე გადაადგილებისას კი ოთხი ბორბალი უნდა ემოძრავებინა.

ამ ხის კონსტრუქციას გამომგონებელმა Orukter Amphibolos-ი უწოდა, მაგრამ მისი გამოცდა ვერ შეძლო — იმდენად მძიმე იყო, რომ დაიშალა.

ევანსის იდეა 1907 წელს ფრანგმა გამომგონებელმა რაგალემ რეალობად აქცია და მდინარე რონაზე შიგაწვისძრავიანი (25 ცხ.ძ.) მცურავი ავტომობილი გამოცადა. ნავისმაგვარი ხის კორპუსიანმა ამფიბიამ სანიჩბე ხრახნით მდინარეში 5 კმ/სთ-ში და ხმელეთზე 30 კმ/სთ-ში სიჩქარე განავითარა.

არცთუ ურიგო მახასიათებლების მიუხედავად, სიახლეებისადმი იმდროინდელ სამხედროთა გულგრილ დამოკიდებულებას ვერც რაგალეს ამფიბია გადაურჩა.

## გერმანია

გამომგონებელმა ჰანს ტრიპელმა მთელი სიცოცხლე მცურავი ავტომობილების შექმნას მოახმარა და არცთუ ურიგო კონსტრუქციები შექმნა.

1934 წელს პირველი ასეთი ავტომობილი ააწყო, რასაც ერთი წლის შემდეგ Adler-ის შასიზე წინა წამყვანხიდიანი არმიული ამფიბია მოჰყვა.

1934-35 წლებში სპორტული ავტომობილის მსგავსი SG4 და SG5 ააწყო, რომლებსაც გარსშემოდენილი თავლა ძარა, ორივე წამყვანი ხიდი და მოკლე კარები ჰქონდა.

1937 წელს შექმნილი SG6 კი დაგრძელებულ, მზიდ, უკარო ძარაზე იყო აწყობილი და კომპანია Trippel Werke რამდენიმე ცალს (ინდექსი SG6/38-ით) უშვებდა.

1939 წელს ტრიპელმა სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის 1-ტონიანი მრა-



SG6: მასა — 1750 კგ, ტევადობა — მძღოლი და 4 კაცი, კარბურატორიანი ძრავა 55-ცხ.ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 72/13 კმ-სთ-ში



KdF K2S/166: მასა — 910 კგ, ტევადობა — მძღოლი და 3 კაცი, კარბურატორიანი ძრავა 25-ცხ.ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 80/10 კმ-სთ-ში, სვლის მარაგი ხმელეთზე — 520 კმ

ალმხრივი დანიშნულებისა და შეია-ალებული ამფიბიის აგების შეკვეთა იილო. დავალება სწრაფად შესრულდა. ·უთადგილიან SG6/41-ს 37 მმ-იანი ქვე-ჰხისა და ტყვიამფრქვევის ტარება შე-ძლო. დაცურავდა სანიჩბე ხრახნით და ყალში მიმართულებას წინა მართვადი ვლების მობრუნებით იცვლიდა.

SG6/41-ის გამოშვება 1941 წელს და-წყო და სულ ათასამდე ამფიბია დამ-ადდა, რომლებსაც SS-ისა და არმიის ამშენებლო ნაწილები იყენებდნენ. მაგ-ამ ტრიპელის მცურავ ავტომობილებს ოპულარობით ფერდინანდ პორშეს ამ-იბიებმა ბევრად აჯობეს.

გერმანული სახალხო ავტომობილის ემქმნელმა პორშემ 1940 წელს ვერ-ახტს იოლი და სარემონტოდ მარტივი olkswagen-ის მცურავი ვერსია შესთა-ზა და მხარდაჭერაც მიიღო.

პროექტი რამდენიმე თვეში მომზად-ა და 1941 წელს პოლონეთის გზებზე რ წამყვანხიდიანი ამფიბია KdF 2/128-ა საცდელი პარტია გამოჩნდა.

ამფიბიას აბაზანისმაგვარი მზიდი ძა-ა ჰქონდა, რომლის კიჩოში ძრავა-გა-აცემათა კოლოფი სანიჩბე ხრახნის ამ-რავით იყო მოთავსებული.

მიწაზე მანქანის გადაადგილებისას ანიჩბე ხრახნი ამძრავ ლილვთან ერთად ეული იყო და კორპუსზე ღვედით მაგ-დებოდა, ხოლო წყალში ცურვისას 180 რადუსით ბრუნდებოდა და წყალხაზის ევით ეშვებოდა.

ამძრავ ლილვში სახსრული შეერთე-ის გამოყენებით წყალქვეშა წინაღობას-ან დაჯახებისას სანიჩბე ხრახნი ზევით ავისუფლად იწევდა და დაზიანებისგან ფრო დაცული იყო.

ცურვისას მიმართულების შეცვლას მართვადი წინა თვლების მობრუნება უზრუნველყოფდა.

საცდელმა მანქანებმა საბერძნეთის, ლიბიისა და ავსტრიის გზებზე ყოველ-მხრივი შემოწმება გაიარეს და გაირკვა, რომ წყალში მანქანას მდგრადობა და უგზოობის პირობებში გამავლობა აკ-ლდა.

KdF K2/128 მცირე რაოდენობით დამზადდა. მისი ერთ-ერთი ვერსია KdF 129 სპეციალურად ხიდების ასაფეთქებ-ლად შეიქმნა და ბრანდერის დანიშნუ-ლებას ასრულებდა.

შენიშვნათა გათვალისწინებით მომ-დევნო KdF K2S/166-ის ბორბლების ბაზა 2 მ-მდე შემცირდა. სხვა მხრივ „ფოლკსვაგენის" ახალი ამფიბია წინა მოდელისგან არაფრით განსხვავდებოდა.

1942 წლის ზაფხულში დაწყებული KdF K2S/166-ის წარმოება 1944 წლის ბოლომდე გაგრძელდა და ამ დრო-ში გერმანიის არმიამ 14 ათასზე მეტი „ფოლკსვაგენის" ამფიბია მიიღო.

## ამერიკა

ფანსის იდეას ამერიკელი ინჟინრები 1941 წელს მიუბრუნდნენ, როცა სამხედ-როებმა სადესანტო ოპერაციებისთვის მცურავი ავტომობილები მოითხოვეს.

მომავალი ამფიბიის შესაქმნელად კომპანია Ford-მა მის მიერ გამოშვებუ-ლი მაღალი გამავლობის ავტომობილის GPW-ის (4X4) შასი შეარჩია.

GPA: მასა — 1600 კგ, ტევადობა — მძღოლი და 3 კაცი, კარბურატორიანი ძრავა 60-ცხ.ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 89/9 კმ-სთ-ში



ეროვნული ბიბლიოთეკა

DUKW-353: მასა — 6500 კგ, ეკიპაჟი 2-3 კაცი, ტვირთამწეობა — 2250 კგ, კარბურატორიანი ძრავა 90-ცხ.ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 80/10 კმ-სთ-ში, სვლის მარაგი ხმელეთზე — 354 კმ



ძრავა, გადაცემათა კოლოფი, კარდანები და ორივე წამყვანი ხიდი ბრტყელძირა ნავის ფორმის კორპუსში მოთავსდა. თავად კორპუსი შედუღებით იყო დამზადებული და ბორბლებისთვის ნიშები ჰქონდა დატოვებული.

ამფიბია დაცურავდა სანიჩბე ხრახნით, რომელიც, თავის მხრივ, გადაცემათა კოლოფთან კარდანით იყო მიერთებული.

ცურვისას კიჩოში მანჭვალზე დაყენებული ნავის საჭეს მიმართულებას გვარლის ამძრავით საჭის ბორბლის ბრუნვა უცვლიდა.

ამერიკის არმიაში „ფორდის" ამფიბია GPA პოპულარობით არ სარგებლობდა. მოუქნელი მანქანა საჭეს წყალსა თუ ხმელეთზე ძნელად ემორჩილებოდა. მასში ყოფნა პატარა ღელვის დროსაც კი საშიში იყო, რადგან გადაბრუნების დიდი საფრთხე არსებობდა.

ამერიკელ ჯარისკაცებში ბევრად მეტი ნდობით კორპორაცია GMC-ის დიდი მცურავი ავტომობილები სარგებლობდნენ. მისი პროექტირება 1942 წლის დასაწყისში დაიწყო, როცა ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკა-ინგლისის ჯარების დესანტირების საკითხი დადგა.

სამხედროებს ავტომობილი-ამფიბია, ანუ ბორბლებიანი კატარღა სჭირდებოდათ სატრანსპორტო გემებიდან პირადი შემადგენლობისა და ტვირთის უშუალოდ პლაჟზე გადასაყვანად.

ბაზად GMC-მა მეორე მსოფლიო ომის ყველაზე მრავალრიცხოვანი და საიმედო 2,5 ტ-იანი სატვირთო ავტომობილის CCKW-353-ის (6X6) შასი გამოიყენა. ნიუ-იორკის ფირმა Sparkman&Stephens-მა ამფიბიისთვის ლონჟერონებიან ჩარჩოზე აწყობილი პონტონის ტიპის ძარა დააპროექტა.

ამფიბია DUKW-353-ის ტრანსმისია სქემატურად „ფორდის" GPA-ს ანალოგიური იყო, მაგრამ რამდენიმე ტექნიკური სიახლით გამოირჩეოდა:

უკანა ხიდებზე თითო-თითო ბორბალი იყო დაყენებული, რომლებიც ერთმანეთს კვალში მიჰყვებოდნენ და ნიადაგისგან დამატებითი წინააღმდეგობა აღარ ხვდებოდა;

საბურავებში ჰაერის წნევის რეგულირების ცენტრალური სისტემა მრავალფენიან საბურავებში წნევის შემცირებას უზრუნველყოფდა, რითაც საბურავსა და სუსტი მოჭიდების გრუნტს შორის შეხების ფართობი მატულობდა და ბუქსაობ მცირდებოდა.

ამფიბიის სერიული წარმოება 194 წლის ოქტომბერში დაიწყო და ომი დასრულებამდე ქარხნებმა 21 ათას მეტი DUKW-353 გამოუშვეს.

## საბჭოთა კავშირი

განსხვავებული მიდგომა ჰქონდა საბჭოთა კავშირს, სადაც მუშაობა, ძირითადად, მცურავი ტანკების გარშემო იყო კონცენტრირებული.

1933 წლის სექტემბერში იჟორი ქარხანამ საცდელი მცურავი 3 ჯავშნ ავტომობილი ПБ-4 (6X6) ააწყო და გამოცდის შემდგომ შედეგები არაერთგზ როვანი აღმოჩნდა.

ცურვისას ПБ-4 მდგრადობას კარ-

Stalwart (FV620): მასა — 9 ტ, ტევადობა — მძღოლი და 2 კაცი, ტვირთამწეობა — 5 ტ, კარბურატორიანი ძრავა 220-ცხ.ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 88/7-10 კმ-სთ-ში



ად ინარჩუნებდა, მაგრამ პრობლემა მი-
ზე მოძრაობისას იჩენდა თავს. სუსტი
ამავლობა, ძრავის გადაცხელება, გაგ-
ილების სისტემის ცუდი მუშაობა, დამ-
ადების დაბალი ტექნოლოგიური კულ-
ურა და სხვა უარყოფითი მხარეები იმ
არიერებად იქცა, რომელთა დაძლევაც
აბჭოთა კონსტრუქტორებმა ვერ შეძ-
ეს და ПБ-4-მა სერიულ წარმოებამდე
ერ მიაღწია.

მეორე მსოფლიო ომის წლებში აშშ
ენდ-ლიზით სსრკ-ს დიდ სამხედრო
ახმარებას უწევდა და ამერიკიდან მი-
ებულ სამხედრო ტექნიკაში არცთუ პა-
არა ადგილი მცურავ ავტომობილებს
კავა.

წითელ არმიას მსგავსი არაფერი ება-
ა. ამერიკული ამფიბიები და მათ შო-
რის GPA-ც კი ჯარისკაცებში საკმაოდ
ოპულარული იყო.

ამფიბიებით შევსო და ჩამოყალიბ-
ა მცურავი ავტომობილების ცალკეუ-
ლი ბატალიონები. წყალუხვი მდინარეე-
ბის: დნეპრის, სვირის, ოდერისა და სხვა
მდინარეთა დაძლევაში მცურავმა ავტო-
მობილებმა დიდი როლი ითამაშეს.

ომის შემდეგ ამერიკული ამფიბიები
საბჭოთა კონსტრუქტორებისთვის კო-
პირების საგნად იქცა, რაც შემდგომში
პატარა (MAB) და დიდი (БАВ) მცუ-
რავი ავტომობილების შექმნით დას-
რულდა.

1948 წელს НАМИ-მ (ავტოსამოტო-
რო სამეცნიერო ინსტიტუტი) მაღალი
გამავლობის ავტომობილის ГАЗ-67Б-
ის (4X4) კვანძებითა და აგრეგატებით
აცდელი მსუბუქი მცურავი ავტომობი-
ლი ГАЗ-011 დააპროექტა.

პირველ საბჭოურ ამფიბიას არაერთი
ნაკლი აღმოაჩნდა: ძრავის გადახურება,
სიმძლავრის უკმარისობა, ტრანსმისიის
დეტალების მომატებული ცვეთა, გართუ-
ლებული მართვა-მომსახურება და სხვ.

50-იანი წლების დასაწყისში გორკის
საავტომობილო ქარხანამ ГАЗ-69-ის
ბაზაზე ამფიბია ГАЗ-46 (MAB) დააპ-
როექტა და სერიულ წარმოებამდე მი-
იყვანა, რაც 1958 წლის ბოლომდე გაგ-
რძელდა.

საბჭოთა არმიაში MAB-ებს სადაზ-
ვერვო ქვედანაყოფები საბრძოლო ამო-
ცანების შესასრულებლად, საინჟინრო
ნაწილები კი წყალში მუშაობისთვის
იყენებდნენ.

„ცივი ომის“ ხანაში საბჭოთა კავ-
შირი დასავლეთ ევროპაში შეჭრისთვის
ემზადებოდა და მდინარეების ფორსირე-
ბისთვის დიდძალ მცურავ ტექნიკას სა-
ჭიროებდა, რისთვისაც DUKW-353-ები
ასწრება იყო.




**LAPK-LX:**
**სრული მასა — 100 ტ, 265-ცხ.ძალიანი დიზელის 4 ძრავა, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 32/12 კმ-სთ-ში, სვლის მარაგი ხმელეთზე/წყალში — 240/120 კმ**

ამერიკულ ამფიბიას საბჭოური ანალოგი ЗиС-485 (БАВ) კორპუსის ფორმითა და კომპონირებით იმეორებს, ოღონდ მასში გამოყენებული იყო საბჭოთა წარმოების სატვირთო ავტომობილების ЗиС-151-ისა (ტრანსმისია, დაკიდების სისტემა და საჭის მექანიზმი) და ГАЗ-63-ის (წინა ხიდი, უკანა ხიდების მთავარი გადაცემა და სამუხრუჭე მექანიზმი) აგრეგატები.

მას შემდეგ, რაც კონვეიერზე ЗиС-151 გაუმჯობესებული ЗиС-157-ით შეიცვალა, ამფიბიის კონსტრუქციაშიც ცვლილებები შევიდა.

БАВ-ის სერიული წარმოება 1952 წელს დაიწყო და 1962 წელს დასრულდა, ხოლო გამოშვებული მანქანების რაოდენობამ 2 ათას გადააჭარბა.

## ორიგინალური კონსტრუქციის ამფიბიები

მცურავი ავტომობილების შექმნით 50-იანი წლები გამომგონებლებისთვის ნაყოფიერი გამოდგა და ორიგინალური კონსტრუქციის საინტერესო ნიმუშებიც მრავლად შეიქმნა.

ამერიკულმა კომპანია Borg Warner-მა 1963 წელს ალუმინის კორპუსის მქონე გლისირებული ფორმის ამფიბია LVW-ი (4X4) ააგო, სადაც კონსტრუქტორებმა წყლის წინააღმდეგობის შესამცირებლად დიდი დიამეტრის ასაკეცი ბორბლები გამოიყენეს.

ცურვის დროს ბორბლების დგარი 90 გრადუსით ბრუნდებოდა და კორპუსის სპეციალურ ნიშაში თავსდებოდა, რაც გარსშემოდენილობას აუმჯობესებდა და სიჩქარეც 25 კვანძამდე მატულობდა. LVW-X1-ს ორი სანიჩბე ხრახნის დასაბრუნებლად ორი აირტურბინა იქნა გამოყენებული.

კორეის ომმა სატრანსპორტო გემებიდან ნაპირზე პირადი შემადგენლობისა და ტვირთის გადატანის საკითხი ისევ წინ წამოსწია. პრობლემას კომპანია Pacific Car&Foundry-მ საკმაოდ საინტერესო გადაწყვეტა მოუძებნა და LAPK-V, LAPK-XV და LAPK-LX სერიის სატრანსპორტო სატვირთო ამფიბიური ბარჟები დააპროექტა.

ყველაზე დიდ ამფიბიას LAPK-LX ზღვასა თუ ხმელეთზე 60 ტ ტვირთი ან 125 სრულად ეკიპირებული ჯარისკაცი გადაჰყავდა. თუმცა იყო შემთხვევები, როცა ტვირთის წონა 100 ტ-ს აჭარბებდა.

ამფიბია იმდენად დიდი იყო, რომ გზებზე მოძრაობისას წინმაყურებელი ჰყავდა, რომელიც მინიშნებებით მძღოლს სვლაში ეხმარებოდა.

1955-56 წლებში 60 ერთეული LAPK-LX ააგო და ამერიკელებს ვიეტნამის ომში კარგი სამსახურიც გაუწია.

მაღალი სიჩქარეების მისაღწევად მეორე მსოფლიო ომის ვეტერან DUKW-353-ზე აპრობირება მართვადმა წყალქვეშა ფრთებმა გაიარა. წყალქვეშაფრთიან მცურავ ავტომობილს Flying Duck-ს გაძლიერებული კორპუსი ჰქონდა და აირტურბინით იყო აღჭურვილი. წყალში ამფიბია წყალქვეშა ფრთებით ცურვის რეჟიმზე 24 კმ/სთ სიჩქარიდან გადადიოდა და მაქსიმალური 56 კმ/სთ სიჩქარის ჩვენება შეეძლო.

**თეიმურ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ანგელოზთა" ბედი



**დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N9, 2013**

ბნელი ღამით თვალი მიადევნო, ვის აქვს ტელეფონი და ვის არა, თანაც აფრიკაში, შეუძლებელია. შედეგმაც არ დააყოვნა: „შაბააბის“ წევრებმა, რომლებსაც ტელეფონები არ გაეთიშათ, მოახერხეს ბულომარერის ბაზის მეთაურ შეიხ აჰმედთან დაკავშირება და აუწყეს, რომ ბოევიკების ბაზას უახლოვდებოდა „დაახლოებით ორმოცდაათი მებრძოლისაგან შემდგარი, კბილებამდე შეიარაღებული უცხოური რაზმი“.

შეიხ აჰმედი მყისიერად რეაგირებს — ტყვეს ადგილსამყოფელს უცვლის და რაზმს მტრის დასახვედრად ამზადებს.

ბოევიკების ბაზას მიახლოებულმა ფრანგებმა ჯერ არ იცოდნენ, დაუპატიჟებელი სტუმრები რომ არ იყვნენ. სადღაც, ბაზის ახლოს, ერთ-ერთი ჯგუფი ბოევიკების პატრულს შეეჯახა.

გუშაგებმა განგაში გამოაცხადეს. შემდეგ ორმხრივი სროლა დაიწყო და ბრძოლის ველზე „შაბააბის“ დამატებითი ძალები გამოჩნდნენ. მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ფრანგები მოელოდნენ.

გარდა ამისა, თავდამსხმელებს უფრო დიდი უბედურება ელოდათ, რადგან ბოევიკთა მხარეს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული რამდენიმე პიკაპი გამოჩნდა.

სპეცრაზმი იძულებული გახდა, სასწრაფოდ დასახმარებლად შვეულმფრენები გამოეძახა.

ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები იხსენებდა, რომ ჯერ ორმხრივი სროლის ხმა გაისმა, ათი წუთის შემდეგ კი შვეულმფრენებმა მიწისზედა სამიზნეების მიმართულებით სროლა დაიწყეს.

ამ დროს შიგ ბულომარერში ჯვარედინი ცეცხლისგან ოთხი სამოქალაქო პირი — ქალი თავისი ბავშვით და ბაზრის ორი დარაჯი დაიღუპა. „სახლიდან გამოსვლა არავის შეეძლო, ქალაქს შვეულმფრენები დასტრიალებდნენ“, — იხსენებდა ერთი ადგილობრივი მოსახლე.

სპეცრაზმელებმა იერიში მიიტანეს მითითებულ შენობაზე, სადაც ალექსი უკვე აღარ იყო. სამაგიეროდ, მოიერიშეებს იქ ჩასაფრებულ ბოევიკთა კარგად შეიარაღებული მოზრდილი ჯგუფი დახვდა.

სპეცრაზმელები ახლომდებარე შენობების ჩხრეკაზე გადავიდნენ. გამოცდილი ოპერები მიხვდნენ, რომ მძევალი სადღაც ახლოს იმყოფებოდა. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბოევიკები მას უკანასკნელ წუთამდე არ გაუსწორდებოდნენ. მაგრამ წუთშიც არის წამები, რომელიც საკმარისია მძევლის სიკვდილის კლანჭებისგან დასახსნელად.

სამი სპეცრაზმელი კაპიტან პატრის რუზეს მეთაურობით შენობაში შეიჭრა, სადაც ალექსი ჰყავდათ დამალული. მათ რომ სიბნელეში ცოტა ადრე შეენიშნათ მტერი, საქმე სხვაგვარად წარიმართებოდა.

მძევალს ამოფარებულმა ბოევიკებმა სპეცრაზმელებს ცეცხლი გაუხსნეს. ჯგუფის მეთაური და ერთი წევრი დაიჭრა, „ანგელოზთათვის“ ასე საჭირო წამები კი ამოიწურა. ალექსი მეზობელ ოთახში გაათრიეს, საიდანაც მაშინვე გაისმა სროლის ხმა.

საფრანგეთის სპეცსამსახურების ექსპერტმა შედეგი შეაჯამა: „დენის ალექსი გადააქციეს ცოცხალ ფარად და ოპერაციამ აზრი დაკარგა“. მალე უკან დახევის ბრძანებაც მოვიდა.

## უკან დახევა

45 წუთია, რაც ღამით მძიმე ბრძოლა მიმდინარეობს. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების გრიგალისებრ

ეცხლში სპეცრაზმელები შვეულმფრე-
ბისკენ იხევენ და თან დაჭრილები მიჰ-
ვთ.

ბორტზე ასვლისას გაარკვიეს, რომ
რთი მებრძოლი აკლიათ. იწყება მისი
ებნა. იგი რომ არ მიუტოვებიათ და
ძებდნენ, ეს მოგვიანებით ადგილობ-
ივმა მოსახლეობამაც დაადასტურა.
ეცხოელი ჯარისკაცის ცხედარი მი-
აზე ეგდო, თავზე კი შვეულმფრენები
ასტრიალებდნენ".

მას უკვე ველარ უშველი. კაცი მკვდა-
ია, ღირს კი გვამისთვის დაბრუნება?
რიტიკულ სიტუაციაში სპეცრაზმის-
ვის დახმარების გაწევა მოკავშირეების
ვიაციას შეეძლო.

ეს ფაქტი თვით პრეზიდენტმა ობა-
ამ დაადასტურა. „შეერთებული შტა-
ების სამხედრო-საჰაერო ძალების
ვითმფრინავები დროის მცირე მო-
აკვეთში სომალის საჰაერო სივრცეში
ფვიდნენ. შეიძლებოდა ბულომარერეს
აწის პირისგან ალგვა, მაგრამ ეს საფ-
რანგეთის პრეზიდენტს უნდა გადაეწყ-
იტა".

შვეულმფრენებში შვიდი
დაჭრილი სპეცრაზმელია,
მათ შორის უკანასკნელ დღეშია კაპი-
ტანი რებუ. ბოევიკებს ნებისმიერ მომენ-
ტში ნებისმიერი შვეულმფრენის ჩამოგ-
დება შეუძლიათ. დაიღუპებიან ის დაჭ-
რილები, ვინც თითქმის გადარჩენილია
და მათთან ერთად კი ათეულობით სხვა
სპეცრაზმელი. და პრეზიდენტი იღებს
ძნელ გადაწყვეტილებას — ამერიკული
მოიერიშეები საბრძოლო კურსს ტოვე-
ბენ, ხოლო შვეულმფრენები კი „მის-
ტრალზე" ბრუნდებიან.

კაპიტანი რებუ „მისტრალის" ბორ-
ტზე გარდაიცვალა. პარიზის შტაბში
სინათლე ჩაქრა. ოპერაცია დამთავრდა
— დაივიწყეთ..

აი, თითქმის ყველაფერი, რაც ამ რე-
იდის შესახებაა ცნობილი, ხოლო იმათ,
ვისაც დღემდე სჯერა, რომ ფრანგ „ან-
გელოზებს" აგენტ ალექსის
გამოხსნა კი არა, არა-
მედ მისი სიკვდილი
სურდათ, შეუძლი-
ათ ეს საკითხი
კაპიტან რებუს
კოლეგებსა და იმ ჯა-
რისკაცთან დააზუსტონ,
რომელიც აფრიკაში სა-
მუდამოდ დარჩა. და კიდევ
ერთი, ამ ბრძოლის დროს
„ანგელოზებმა" ხომ ჩვიდმეტი
ბოევიკის, მათ შორის მათი მეთაურის,
შეიხ აჰმედის ლიკვიდირება შეძლეს?!

მაგრამ მოვლენათა განვითარების
მარტივ თანამიმდევრობას, მის მიზე-
ზებსა და კანონზომიერ შედეგებს მაინც
დააწვა ჭორების მოწამლული კვამლი.
საკითხავია, ღირს კი ყველაფრის გა-
მოკვლევა?!

დავიწყოთ იმით, რომ ყველა ვერსია
მომხდარის შესახებ მხოლოდ ვერსიაა
და მეტი არაფერი. ბულომარერში ინ-
ფორმაციის გადამოწმება ჯერჯერო-
ბით შეუძლებელია, რადგან მას „შაბა-
აბი" განაგებს.

რეიდის შემდეგ აქაური ხალხი ად-
გილობრივი „გარნიზონის" ჯარისკა-
ცების რაოდენობაზე საოცარ ცოდ-
ნას ამჟღავნებდა. თურმე მათ კარგად
იცოდნენ, სად ჰყავდათ გადამალული
ალექსი, ლაპარაკობდნენ სპეცოპერა-
ციის ხარვეზებზე და აანალიზებდნენ
მის დეტალებს. მაგრამ თვითონ არ
ამბობდნენ, რომ სპეცოპერაციის
დროს სახლებიდან ცხვირის გამოყო-
ფაც არ შეეძლოთ? მეორე დღეს კი ბო-
ევიკებმა ყველას მობილური ტელეფო-
ნები ჩამოართვეს.

ასე რომ, „თვითმხილველების" ეს
ინფორმაცია თავისუფლად შეიძლება
იყოს როგორც სიცრუე, ასევე სიმარ-
თლე (ბოევიკების გავრცელებული დე-
ზინფორმაცია).

აი, რა განაცხადა ერთმა თვით-
მხილველმა: „მათი მისია თავიდანვე
განწირული იყო. ოპერაცია დაიგეგმა
და ჩატარდა დილეტანტურად".

ვინ ჩააწვეთა ეს ფორმულირება
„თვითმხილველს"? ეს ხომ სამხედრო
სპეციალისტის დასკვნაა და არა რიგი-
თი მოქალაქისა, რომელიც იმ საბედის-
წერო ღამეს შინ ჩაკეტილი იჯდა.

დეზინფორმაციის გავრცელებასთან
ერთად „შაბააბმა" ინფორმაციული ომის
კამპანიაც წამოიწყო. უპირველეს ყოვ-
ლისა, საჭირო იყო თავიდან აეცილები-
ნათ „სწრაფი შურისძიების ოპერაცია".
ამისათვის კარგად გამოიყენეს ალექსის
სიკვდილის უტყუარი მტკიცებულებების
არარსებობა და განაცხადეს, რომ მძევა-
ლი ცოცხალია და უსაფრთხო ადგილას
ჰყავთ გადამალული. წაუგებელი ვარიან-

**ჩვენი დოსიე:**

DSGE — საგარეო უშიშროების
მთავარი სამმართველო (Direction
Generale de la Securite Exterieu-
re) — საფრანგეთის საგარეო დაზ-
ვერვა. ოფიციალურად ემორჩილება
თავდაცვის სამინისტროს; მთავარი
ამოცანა — ნებისმიერ საგარეო მუ-
ქარასთან ნებისმიერი საშუალებე-
ბით ბრძოლა. რაოდენობა (Division
Action გარეშე) დაახლოებით 4500
კაცი. მათ შორის ნახევარზე მეტი
სამოქალაქო პირია. ამას ემატება
ნებაყოფლობითი ინფორმატორები
როგორც საფრანგეთში, ასევე მის
ფარგლებს გარეთ.

შეიარაღებული ძალების განვი-
თარების ახალი პროგრამის შესაბა-
მისად, 2009-2014 წლებში თანამ-
შრომელთა რაოდენობა ხუთ
ათასს გადააჭარბებს.

2001 წლის 11 სექტემ-
ბრიდან დღემდე DSGE-მ
მარტო საფრანგეთში 15
ტერორისტული შეტევა
აღკვეთა.

**ჩვენი დოსიე:**

„ალ-საბააბი";
„ჰარაქათ ალ-სა-
ბააბ ალ-მუჯაჰე-
დინი" (მოჯაჰედთა
ახალგაზრდული მოძ-
რაობა) ტერორისტული
ორგანიზაციაა, რომელმაც 2012
წლის 10 თებერვალს ოფიციალურად
განაცხადა „ალ-ქაიდასთან" შეერთე-
ბის შესახებ.

აშშ-ის მხარდაჭერით ამ ორგა-
ნიზაციას თანდათან ავიწროებენ კე-
ნიის, აფრიკის კავშირის, ეთიოპიისა
და სომალის არმიები.

„შაბააბი" დიდი სამხედრო გა-
მოცდილების, დისციპლინირებული,
კარგად შეიარაღებული ორგანიზა-
ციაა, თუმცა მისი რიგები ნელ-ნელა
კლებულობს. დღეისთვის „ალ-საბა-
აბი" დაახლოებით 3 ათას მებრძოლს
ითვლის. ორგანიზაციის ხაზინად-
რის, ფეადე ჰარაპეს ადგილსამყოფ-
ლის შესახებ ინფორმაციისათვის აშ-
შ-ის მთავრობას ჯილდოდ 5 მილიო-
ნი დოლარი აქვს დაწესებული.

საპასუხოდ „შაბააბმა" აშშ-ის
პრეზიდენტ ბარაქ ობამას ადგილსამ-
ყოფლის შესახებ ინფორმაციისთვის
ჯილდოდ 10 აქლემი გამოაცხადა.

ტია — „სადაც უნდა დაგვარტყათ, დაილუპება მძევალი“.

მეორე — მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ ფრანგებმა თანამებრძოლი ბრძოლის ველზე მიატოვეს; დაკარგული სპეცრაზმელი არ დაღუპულა, იგი „შაბააბის“ მეომრებს ჰყავთ დატყვევებული.

მაგრამ ამ ინფორმაციამ შედეგს ვერ მიაღწია, რადგან აღმოჩნდნენ თვითმხილველები, რომლებმაც განაცხადეს, რომ „დილით ნახეს რამდენიმე გვამი, მათ შორის ერთი თეთრკანიანი იყო“.

„შაბააბის“ იდეოლოგებმა იხტიბარი არ გაიტეხეს და ინტერნეტში გამოაქვეყნეს დაღუპული ფრანგი სპეცრაზმელის ფოტო წარწერით: „ჩვენ ის მძიმედ დაჭრილი ვიპოვეთ, ვცადეთ მისი გადარჩენა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მნიშვნელოვანი საიდუმლო გაგვიმჟღავნა, ჭრილობებისგან დაიღუპა“. ვის შეეძლო საწინააღმდეგო აზრის დამტკიცება?

### ვინ არის დამნაშავე?

ყველაფერი რომ „შაბააბს“ დააბრალო, რომელიც თავდასხმის შესახებ წინასწარ გაფრთხილებული იყო, სწორი არ იქნება.

ერთი ადგილობრივი მცხოვრები ამბობდა: „ფრანგები დაახლოებით ორმოცნი იყვნენ და ასამდე კბილებამდე შეიარაღებულ ბოევიკთან ბრძოლა მოუხდათ“.

იგივე წყარო ამტკიცებდა, რომ ბოევიკების ბაზა ბულომარერში თავდასხმამდე გარნიზონის მრავალრიცხოვნობით ვერ დაიკვეხნიდა.

ფრანგულმა მხარემაც ოფიციალურად განაცხადა ოპერაციის ჩაშლის მიზეზის შესახებ, მოწინააღმდეგე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდითო. ეს იმას ნიშნავს, რომ თავდაპირველი სადაზვერვო ინფორმაცია არაზუსტი იყო. მაგრამ ეს წარმოუდგენელია, რადგან DA-ს სპეცოპერაციებზე მსოფლიოს წინაშე, პასუხს პირადად საფრანგეთის პრეზიდენტი აგებს.

განა შეეძლო მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სპეცსამსახურის ხელმძღვანელობას პრეზიდენტისთვის სარისკო ოპერაციის ჩატარების ნებართვა ეთხოვა, როცა შეიძლებოდა სასწორზე აღმოჩენილიყო ქვეყნის პრეზიდენტისა და სპეცსამსახურის ხელმძღვანელობის [...]სება? თუ „შეთქმულების თეორიებს“ არ გვჯერა“, მაშინ, ალბათ, არა.

ოპერაციის დაწყება ხომ რამდენ[...] მეჯერ გადაიდო სწორედ დაზვერვ[...] მონაცემების საეჭვოობის გამო. მაშ[...] სადამე, DSGE-ს ხელმძღვანელობა ბო[...] ლო ინფორმაციის წყაროს საიმედო[...] ბაში დარწმუნებული იყო.

ცნობილია, რომ სომალიში დასა[...] ლეთის სპეცსამსახურები დამოუკ[...] დებლად მოქმედებენ. სომალის ხელ[...] სუფლებამ დაადასტურა, რომ მათთვ[...] ოპერაციის შესახებ არავის უცნობ[...] ბია. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა მსგ[...] სიტუაციებში, მაგრამ უცნაური ს[...] რამეა.

ბულომარერიდან სულ რაღაც 28 კ[...] ლომეტრში მდებარეობს ქალაქი მარკ[...] ქვემო შაბელეს პროვინციის ადმინი[...] ტრაციული ცენტრი და საზღვაო ნა[...] სადგური. მას AMISOM-ის (აფრიკ[...] კავშირის სამშვიდობო მისია სომალ[...] ში) ჯარები აკონტროლებენ. სომალ[...] არმიასთან ერთად ისინი გასული წლ[...] დან ოპერაცია „თავისუფალ შაბელე[...] ატარებენ, რომლის მიზანია ქვემო [...]




ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯრანგული შვეულმფრენმზიდი-სადესანტო
ხომალდის „მისტრალის“ შვეულმფრენებმა
ოპერაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს

ჯმო შაბელეს პროვინციებში „შაბაა-
ბის“ ლიკვიდაცია.

2011 წლიდან სომალის სამხრეთ-
ში „შაბააბის“ საწინააღმდეგოდ კონ-
ტრტერორისტულ ოპერაციას კენიელ-
თა ძალებიც ატარებენ.

ორივეს აქტიურად ეხმარებიან აშშ-
ისა და საფრანგეთის სპეცსამსახურე-
ბი. ოპერატიული ინფორმაცია განუწყ-
ვეტლივ მოედინება.

„შაბააბის“ კონტროლირებადი ტე-
რიტორიების თავზე ამერიკული უპი-
ლოტო აპარატები განუწყვეტლივ დაფ-
რინავენ და სადაზვერვო მონაცემებს
აშშ ტერორისტებთან მებრძოლ ძალებს
აწვდის.

სიტუაციას ასევე აკვირდებიან აფ-
რიკული ქვეყნების სადაზვერვო სამსა-
ხურები სახმელეთო ინფორმატორების
შემწეობით და მოკავშირეებს უცვლიან.

გამოდის, „შაბააბს“ მუდმივად უთ-
ვალთვალებენ და მაინც შეცდნენ; რა-
ტომ?

არსებობს მრავალი ვერსია. ჭეშმა-
რიტება კი ერთია და ის საიმედოდაა
დაფარული საფრანგეთის საგარეო
დაზვერვის საიდუმლო მოხსენებებში.
შესაძლებელია აშშ-ის ცენტრალური
სადაზვერვო სამმართველოს საიდუმ-
ლო საცავებშიც.

სამაგიეროდ, ცნობილია, რომ აფ-
რიკაში მძევალთა რაოდენობა იზრდე-
ბა. მათ გადასარჩენად ჩატარებული
შედეგიანი სპეცოპერაციების რიცხ-
ვი კი ერთობ მცირეა. კონტინენტის
ჩრდილოეთში ექსტრემისტებს მძევ-
ლად ჰყავთ საფრანგეთის 9 მოქალაქე.
მათგან სავარაუდოდ ექვსი დაჯგუფება
„ალ-ქაიდა ისლამური მაღრიბის“ ბოე-
ვიკთა ხელშია.

ასე რომ, აფრიკაში შეუძლებელია
ყველა იმ პირობის ზუსტად შესრუ-
ლება, რომლებიც სპეცოპერაციების
შედეგიანად ჩატარების გარანტიას იძ-
ლევა. სამხედრო მეთაურებს კი ყოველ-
თვის აქვთ შეცდომის უფლება. „ანგე-
ლოზთა“ ხვედრი კი წესების გარეშე
თამაში, მძევალთა გამოხსნა და სხვისი
შეცდომების გამოსწორებაა.

ღმერთმა ხელი მოუმართოს მათ!



სომალი დღეს მსოფლიოს უღარიბეს
ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგემბანო ავიაცია



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N17-26, 2012 - N1-9, 2013

## ავიამზიდები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

1965 წლის ოქტომბერში ვიეტნამის ომში კიდევ ერთი ახალი ამერიკული საგემბანო თვითმფრინავი ჩაერთო. საბრძოლო მოქმედებების რაიონში დაბრუნებულ ავიამზიდ „კონსტელეიშენის“ ბორტზე ოთხი უახლესი E-2 Hawkeye ბაზირებდა.

მოძველებული E-1 Tracer-ის შესაცვლელად შექმნილ შორი რადიოლოკაციური აღმოჩენის E-2-ს წინამორბედისგან გაუმჯობესებული შესაძლებლობები განასხვავებდა. თანამედროვე ელექტრონიკა და ფრენის დიდი ხანგრძლივობა თვითმფრინავის მფრინავ საკომანდო პუნქტად გამოყენების საშუალებას იძლეოდა.

Hawkeye ახორციელებდა საჰაერო შეტევების, ავიამზიდებიდან აფრენილი თვითმფრინავების ერთ წერტილში თავმოყრის, ჰაერში საწვავით გაწყობისა და სამხედრო-სამაშველო ოპერაციების კოორდინაციას. ძლიერი რადიოლოკაციური სადგური საჰაერო სივრცის 540 კმ-ის რადიუსში კონტროლის საშუალებას იძლეოდა. ჩვეულებრივ E-2 ვიეტნამის სანაპიროს გასწვრივ 8000-8500 მ-ის სიმაღლეზე პატრულირებდა და დავალების შესრულების შემდეგ ავიამზიდებზე დასაბრუნებელი თვითმფრინავებისთვის რადიოშუქურის როლსაც ასრულებდა.

Hawkeye სამაშველო ოპერაციებშიც აქტიურად მონაწილეობდა. მისი ეკიპაჟი ჩამოგდებული თვითმფრინავების კოორდინატებს ავიამზიდებზე გადასცემდა და სამხედრო-სამაშველო ოპერაციას კ- ორდინაციას უწევდა.

ჩამოგდებული მფრინავების გადარჩ- ნა და მოწინააღმდეგის ტერიტორიიდ- ევაკუაცია სამხრეთ ვიეტნამსა და ტა- ლანდში ბაზირებულ საარმიო და ტონკ- ნის ყურეში მყოფ სახომალდე საზღ- შვეულმფრენებს ევალებოდათ. როგორ- წესი, მსგავსი ოპერაციები გამანადგ- რებლებისა და მოიერიშეების თანხლ- ბით სრულდებოდა. გამანადგურებლ- საჰაერო უსაფრთხოებას უზრუნველ- ყოფდნენ, მოიერიშეები კი ჩამოგდებულ- პილოტის სიახლოვეს დაფრინავდნენ დ- ჩრდილოვიეტნამელებს მიახლოების ს- შუალებას არ აძლევდნენ.

ზღვის თავზე კატაპულტირება მფრ- ნავს გადარჩენის მეტ შანსს უტოვებდა დ- სამაშველო ოპერაციასაც ამარტივებდა.

მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ჩ-



ვიეტნამის ომის პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკული დამრტყმელი თვითმფრინავი — A-7 Corsair II

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოგდების შემთხვევაში, საფრთხე ემუქრებოდა არა მხოლოდ მფრინავს, არამედ ის გადასარჩენად გამოგზავნილ შვეულფრენებსაც.

ვიეტნამის ომში მრავლად იყო შემხვევები, როცა ჩამოგდებული მფრინაის წამოსაყვანად გაფრენილ სამაშველო შვეულმფრენს და მის ეკიპაჟს შველა თავად დასჭირვებია.

ორადგილიანი საგემბანო თვითმფრინავის, მაგალითად, F-4 Phantom II-ის ან A-5 Vigilante-ს ჩამოგდება მაშველებს საქმეს ურთულებდა — ხშირად ეკიპაჟის წევრები ერთმანეთისგან რამდენიმე კმ-ის მოშორებით ეშვებოდნენ მიწაზე.

1966 წლის დასაწყისში ვიეტნამის სანაპირებთან მოქმედი ავიამზიდები ამერიკის ბაზებში დაბრუნდნენ. ომის პერიოდში სამშობლოში დაბრუნებული 5 ავიამზიდიდან 55 131 თვითმფრინავ-გაფრენა შესრულდა.

რეკორდსმენმა „კორალ სიმ“ ლაშქრობაში 11 თვე დაჰყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საზღვაო ხომალდისთვის ეს საბრძოლო დავალებაზე ყოფნის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი იყო.

ვიეტნამის ომის რეკორდსმენი ატომური „ენტერპრაიზი“ გახდა. 1965 წლის 12 დეკემბერს მისი გემბანიდან მოწინააღმდეგის პოზიციების დასაბომბად თვითმფრინავებმა 165 გაფრენა შეასრულეს.

ვიეტნამის ომში ავიამზიდებისა და საგემბანო ავიაციის ეფექტურობამ აშშის თავდაცვის სამინისტროზე იმოქმედა და ნეგატიური დამოკიდებულება შეაცვლევინა. შეხედულება მინისტრმა რობერტ მაკნამარამაც შეიცვალა და ახალი სუპერავიამზიდების მშენებლობის განაწყვეტილებას დაუბრუნდა.

1966 წლიდან ვიეტნამის ომი ახალ ეტაპზე გადავიდა. მოწინააღმდეგის კომუნიკაციების მოსაშლელად გამოყენებულ ამერიკელების სტრატეგიულ ბომბდამშენებს ჩრდილოვიეტნამელებმა ახალი იარაღი — МиГ-21 დაუპირისპირეს.

საბჭოთა გამანადგურებელი ავიაციის ხრითადი თვითმფრინავი სპეციალურად ჰაერში უპირატესობის მოსაპოვებლად იყო შექმნილი. ახლო მანევრულ ბრძოლაში МиГ-21 სამანევრო შესაძლებლობებით ყველა ამერიკულ თვითმფრინავს, მათ შორის საგემბანო „მოჩვენებასაც“ აჯობნიდა. ახლო დისტანციის საჰაერო ბრძოლებში ამერიკელ მფრინავებს მსუბუქი და მანევრირებადი „მიგის“ „კუდზე დაჯდომა“ ხშირად უჭირდათ.

საბჭოური თვითმფრინავის უპირატესობა სწორედ მაღალი საფრენოსნო


მოწინააღმდეგესთან წარმოებული საჰაერო შერკინებების ლომის წილი საგემბანო „მოჩვენებებზე“ მოდის

შესაძლებლობებით შემოიფარგლებოდა. ძლიერი რადიოლოკატორით „მოჩვენების“ ეკიპაჟს მოწინააღმდეგის აღმოჩენა დამოუკიდებლად, მასთან ვიზუალური კონტაქტის გარეშე შეეძლო. მძლავრ ელექტრონიკასა და ძრავებთან ერთად, ამერიკული თვითმფრინავის კიდევ ერთი უპირატესობა ძლიერი შეიარაღებაც იყო. გზაგადამჭრელის კონფიგურაციაში F-4-ს „ჰაერი-ჰაერი“ კლასის 8 მართვად რაკეტას (ოთხ-ოთხი AIM-7 Sparrow-ი და AIM-9 Sidewinder-ი) ატარებდა. როცა საბჭოურ „მიგს“ მხოლოდ 2-4 ანალოგიური ტიპის რაკეტის ტარება შეეძლო. თავისი პლუსები ჰქონდა ორკაციან ეკიპაჟსაც: მფრინავის ყურადღება მხოლოდ პილოტირებაზე იყო კონცენტრირებული, ხოლო საჰაერო მდგომარეობას კი ოპერატორი აკონტროლებდა.

პირველივე საჰაერო შეტაკებებმა შედარებით მძიმე „წონით კატეგორიაში“ მყოფი F-4-ის ნაკლი — ფრთაზე მოქმედი დიდი დატვირთვა და მოხვევის დაბალი კუთხური სიჩქარე — გამოავლინა. იმავდროულად, ძლიერი ძრავებით, 600-დან 1100კმ/სთ-მდე სიჩქარის განვითარებისთვის F-4B-ს 20 წმ სჭირდებოდა, მაშინ როდესაც МиГ-21ПФ-ისთვის ეს დრო 27 წმ-ით განისაზღვრებოდა.

## საგემბანო „მეკობრე“

1967 წლის ნოემბერში ვიეტნამში კიდევ ერთი ახალი ამერიკული საგემბანო მოიერიშე A-7 Corsair II (ქართულად „მეკობრე“) გამოჩნდა.

ფირმა Vought-ის კონსტრუქტორებმა ის აპრობირებული F-8 Crusader-ის ბაზაზე შექმნეს. გაძლიერებულ ფრთაზე შეიარაღების ჩამოსაკიდი ექვსი პილონი განათავსეს, ხოლო ფიუზელაჟის ბორტებზე AIM-9-ს ტიპის რაკეტებისთვის თითო პილონი დაუმატეს.

ახალმა დანიშნულებამ თვითმფრინავის კონსტრუქცია საფუძვლიანად შეცვალა. თუმცა ახალ „მეკობრეში“ საბაზო F-8-ის „ნაკვთების“ ამოცნობა მაინც შეიძლებოდა.

Vought-ma A-7-ის პროექტი 1962 წელს გამოცხადებულ კონკურსზე წარადგინა და გამარჯვება 4 ფირმის მიერ შემოთავაზებულ 27 პროექტს შორის მოიპოვა. თვითმფრინავი პირველად 1965 წლის 27 სექტემბერს აფრინდა.

ვიეტნამში გამოჩენიდან 2 თვეში „მეკობრეებით“ დაკომპლექტებულმა ესკადრილიებმა დაახლოებით 1400 საბრძოლო გაფრენა შეასრულეს. თვითმფრინავები ბომბავდნენ მოწინააღმდეგის ბაზებს, კომუნიკაციებს, ხიდებს, ცოცხ-


1991 წელს „მეკობრეებმა“ ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალშიც“ მიიღეს მონაწილეობა




## ავიამზიდების ევოლუცია — საგემბანო პერსონალი

ავიამზიდების ეფექტურობას არა მხოლოდ საგემბანო ავიაცია განაპირობებს. უმნიშვნელოვანესი როლი საგემბანო პერსონალის შეთანხმებულ და ეფექტურ მუშაობასაც აკისრია. ამ მხრივ ყველაზე სრულყოფილი სისტემა ამერიკულ ავიამზიდებზეა მოწყობილი. ჯგუფებად გამოყოფილ ტექნიკურ პერსონალს, მოვალეობებიდან გამომდინარე, შესაბამისი ფერის სამოსი აცვია და ისინი მხოლოდ თავიანთ კონკრეტულ ამოცანებს ასრულებენ.

**ყავისფრები** — თვითმფრინავის მომსახურე ტექნიკოსები არიან;

**მწვანეები** — კატაპულტებისა და აეროფინიშორების ტექნიკოსები, მტვირთავები, საგემბანო აღჭურვილობის რემონტის სპეციალისტები, შვეულმფრენების დაჯდომისა და მათზე ტვირთების ჩამოკიდების ხელმძღვანელი პირები არიან;'

**ლურჯები** — აკონტროლებენ თვითმფრინავების გადაადგილებას გემბანსა და ანგარში. ისინი ელევატორების, ავარიული ბარიერებისა და სატელეფონო კავშირის ოპერატორები არიან;

**ყვითლები** — გემბანზე თვითმფრინავების გადაადგილების, აეროფინიშორებისა და კატაპულტების გამართული მუშაობის მაკონტროლებელი ოფიცრებია;

**წითლები** — შეიარაღების სპეციალისტები, ავარიული და სამაშველო რაზმების წევრები არიან;

**იასამნისფრები** — საავიაციო საწვავის სპეციალისტები;

**თეთრები** — ესკადრილიის საბრძოლო მომზადების სპეციალისტები, ვიზუალური დაჯდომის კონტროლისა და მართვის ოპერატორები, უსაფრთხოების და სამედიცინო პერსონალი;














ალი ძალის თავშეყრის წერტილებს. დანაკარგმა მხოლოდ ერთი A-7 შეადგინა. მაღალი საბრძოლო პოტენციალის წყალობით „მეკობრით" სამხედრო-საჰაერო ძალები და ნაციონალური გვარდიაც დაინტერესდნენ და თვითმფრინავი შეიარაღებაში მიიღეს.

ვიეტნამში A-7-ები თავისუფალვარდნადი ბომბების გარდა ხშირად AGM-45 Shrike ტიპის რადიოლოკაციურსაწინააღმდეგო რაკეტებსაც იყენებდნენ.

ინდოჩინეთის შემდეგ A-7-ები აშშ-ის მიერ ჩატარებულ გრენადის, ლიბანის და ლიბიის სამხედრო ოპერაციებშიც მონაწილეობდნენ. 1991 წელს ამერიკის ფლოტი ამ თვითმფრინავს ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალშიც" იყენებდა.

„მეკობრის" ექსპლუატაცია ამერიკის ფლოტმა და სამხედრო-საჰაერო ძალებმა ერთობლივად 1993 წელს დაასრულეს.

საექსპორტო მოდიფიკაციებს საბერძნეთისა და ტაილანდის სამხედრო-საჰაერო ძალები დღესაც იყენებენ. პორტუგალიამ A-7-ების გამოყენება 1999 წელს შეწყვიტა. სულ 14 მოდიფიკაციის 1569 „მეკობრე" აიგო.

ვიეტნამში ომის დაწყების დღიდან საბრძოლო მოქმედებათა მთელი სიმძიმე ავიამზიდებს დააწვა. რეგიონში სახმელეთო აეროდრომების მომრავლებისა და ომში სამხედრო-საჰაერო ძალების ჩაბმის მიუხედავად, ამერიკული ავიამზიდები მაინც „პირველი ვიოლინოს" როლს ასრულებდნენ.

ერთმანეთის მონაცვლეობით, ვიეტნამის ომში მონაწილეობა თხუთმეტმა ამერიკულმა დამრტყმელმა ავიაზიდმა მიიღო (რეგიონში ერთდროულად ყოველთვის 3-4 ხომალდი იმყოფებოდა). სულ ინდოჩინეთში მათ 66-ჯერ ილაშქრეს.

საბრძოლო მოქმედებებისას ამერიკულ ავიამზიდებს მოწინააღმდეგისგან არც ერთი დაზიანება არ მიუღია. თუმცა საბრძოლო მასალასთან არასათანადო მოპყრობამ ავიამზიდებზე 19 დიდი და 23 მცირე ხანძარი გამოიწვია. განადგურდა 60 და დაზიანდა 88 თვითმფრინავი.

**ალექსანდრე აფაქიძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბრძოლა ახალციხისთვის

1578 წლიდან მესხეთის დედაქალაქი ახალციხე თურქ-ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ეს იყო ტიპური ოსმალეთის საფაშო. ქართველთა არაერთი მცდელობის მიუხედავად (გიორგი სააკაძე, ერეკლე მეორე), მისი დედასაქართველოსთან შემოერთება ვერ მოხერხდა.

1828 წელს ციხე-ქალაქი რუს-ქართველთა გაერთიანებულმა არმიამ დაიბრუნა და მიუხედავად იმისა, რომ ეს იმპერიის გაფართოების გეგმა უფრო იყო, ვიდრე ქართველთათვის ძირძველი მიწების დაბრუნების სურვილი, მაინც უდიდეს ისტორიულ მოვლენად უნდა შეფასდეს ჩვენი ქვეყნისათვის.

ახალციხისთვის ბრძოლა 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის კავკასიის ფრონტის ერთ-ერთი საკვანძო მოვლენა იყო. ამ ომის მთავარ ფრონტს ბალკანეთი წარმოადგენდა, ხოლო კავკასიაში რუსეთის მთავარსარდლობა დამხმარე, ანუ გრდემლისა და უროს პრინციპით ხელმძღვანელობდა.

კავკასიაში ომი დაიწყო იმით, რომ პასკევიჩმა იერიშით აიღო ყარსი, ახალქალაქი და უბრძოლველად დაიკავა ხერთვისი. ფაქტობრივად, ამით გაიხსნა გზა ახალციხის საფაშოს გასათავისუფლებლად, რომელიც თითქმის სამასი წელი ტყვეთა ყიდვის ძირითადი პუნქტი იყო.

ახალციხის გარნიზონი დაახლოებით 10 ათას კაცს ითვლიდა. ამას ემატებოდა ქიოსა ფაშას დამხმარე კორპუსი (დაახლოებით 20-30 ათასი კაცი), რომელიც ახალციხის დასახმარებლად არდაგანიდან შემოდიოდა.

7 აგვისტოსთვის პასკევიჩის კორპუსი 8 ათას კაცსა და 65 ქვემეხს ითვლიდა. მეორე დღეს, 8 აგვისტოს, მას 2000-კაციანი რეზერვი (გრენადერები და კაზაკები) და 4 ქვემეხი დაემატა.

აგვისტოს დასაწყისში ამ კორპუსმა ციხისჯვარის პლატოს 60 კმ-იანი მონაკვეთი, ფაქტობრივად, უგზოობის პირობებში გადმოლახა.

მაშინ გრენადერთა ცალკეულ ბრიგადას ტყის გაჩეხა უბრძანეს, ხოლო დანარჩენები ქვემეხებს თოკებითა და ბაგირებით ეზიდებოდნენ. რთული რელიეფის გამო ციხისჯვარის ხეობის გადალახვას სამი დღე დასჭირდა.

3 აგვისტოს კორპუსმა ახალციხიდან 6 კმ-ში მტკვრის ფორსირება მოახდინა, ხოლო 5 აგვისტოს ახალციხის აღმოსავლეთით სტრატეგიული სიმაღლეები, მათ შორის თავშნ-თეფე (ამირანის გორა) დაიკავა.

აქვე, პირველ საკავალერიო შეტაკებებში, მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე, რუსებმა ტაქტიკურ წარმატებას მიაღწიეს.

5 აგვისტოს ბრძოლაში სხვებთან ერთად თავი გამოიჩინეს დრაგუნთა ოფიცრებმა, ძმებმა ჭავჭავაძეებმა, რომლებმაც ალყაში მოხვედრილი დრაგუნთა ერთ-ერთი ესკადრონი განადგურებას გადაარჩინეს.

წარმატების მიუხედავად, წინსვლა პრობლემატური ჩანდა პასკევიჩის კორპუსის რიცხობრივი სიმცირის გამო.

თავად ახალციხე (რაბათი) მაშინ, ძირითადად, მაჰმადიანური იყო. აქ 25 ათასი კაცი ცხოვრობდა (დღეისთვის 19 ათასი), ასე რომ, თავიდანვე მოსალოდნელი იყო მოსახლეობის ფანატიკური წინააღმდეგობა.

თურქულ ჯარებს ციხის გარდა ახალციხის გარშემო სიმაღლეებზე მოწყობილი რედუტები ეკავათ. მათ ძირითად ძალას კავალერია წარმოადგენდა, თუმცა ქვეითები და არტილერიაც საკმაოდ იყო.

ცოტა ხანში ცნობილი გახდა, რომ არდაგანიდან ქიოსა ფაშას დასახმარებლად გზას დაახლოებით 12 ათასი ლაზიც დაადგა. საჭირო იყო ოპერატიული მოქმედება ან უკან დახევა და ბორჯომის ხეობაში რეზერვის დალოდება.

8 აგვისტოს სამხედრო საბჭოზე გადაწყდა დაუყოვნებლივ შეტევაზე გადასვლა, რომელიც ახალციხის ციხის აღებით უნდა დაგვირგვინებულიყო.

პასკევიჩმა ახალციხის აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეზე არტილერიით გამაგრებული ბანაკი დატოვა, თავად კი კორპუსის ძირითადი ძალებით ჩრდილოეთიდან (სოფლები წირა და წყროეთი) შემოვლით მანევრს მიმართა. მანევრის მიზანი ყველაზე მოსახერხებელი სიმაღლის (დღევანდელი რაბათის ტყის) და შესაბამისად, თურქული ბანაკის დაკავება იყო. ამას უნდა მოჰყოლოდა თავად რაბათის უბნის განადგურება, რადგან ამფითეატრული, იარუსებად აშენებული დასახლება უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, ვიდრე ციხე და ციტადელი.

პასკევიჩის მანევრი თურქებისთვის თავიდან შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ გა-


გენერალ-ფელდმარშალი
ივან პასკევიჩი


9 აგვისტოს რუსმა
ჯარისკაცებმა რაბათის
თავზე მოწინააღმდეგის
რედუტი დაიკავეს

რიყრაყზე მოწინააღმდეგის დაზვერვამ რუსების გადაადგილება შენიშნა.

9 აგვისტოს ახალციხიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 3 კმ-ში ორივე მხარე ერთმანეთს გადამწყვეტ 8-საათიან ბრძოლაში დაუპირისპირდა.

რუსებისა და თურქების პოზიციებს ყოფდა ღელე, რომელიც მთელი ბრძოლის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა და თანდათან გვამებით ივსებოდა.

42-ე ეგერთა, ხერსონის გრენადერთა და ერევნის კარაბინერთა პოლკების ჯარისკაცები შეტევაზე ერთმანეთის მონაცვლეობით გადადიოდნენ და საერთო ჯამში 500-ზე მეტი კაცი დაკარგეს.

დიდი წარმატება ჰქონდა ეგერთა შეტევას, რომლებმაც ხიშტებით ბრძოლით თურქები ღელედან განდევნეს და მათ პოზიციებზე შეიჭრნენ. წუთიც და, ამ ტაქტიკურ წარმატებას გამარჯვება მოჰყვებოდა, მაგრამ ამ დროს ეგერთა ერთ-ერთი კარეს (საბრძოლო წყობა) უკან დაწყობილ საარტილერიო ყუთს ყუმბარა მოხვდა, რასაც ჭურვების დეტონაცია მოჰყვა.

კარეს მწყობრში უამრავი ჯარისკაცი დაიღუპა და დაიჭრა, რამაც პოლკის წინსვლა შეაჩერა. ამასობაში ქიოსა ფაშამ ბრძოლაში რეზერვი შეიყვანა და საწყისი პოზიცია აღიდგინა.

მარცხმა პასკევიჩი საგონებელში ჩააგდო. ერთ-ერთმა ოფიცერმა, ყოფილმა დეკაბრისტმა პუშჩინმა, მას მთავარი დარტყმის მიმართულების შეცვლა და ღელეს თავში არსებული თურქების საარტილერიო ლიუნეტის აღება ურჩია, რის შედეგადაც ქიოსა ფაშას პოზიცია დაუცველი გახდებოდა და ჩამოიშლებოდა.

ამ ამოცანის შესრულება შირვანის პოლკის ჯარისკაცებს უბრძანეს. მათ 42-ე ეგერთა პოლკი და კარაბინერები ეხმარებოდნენ.

გაბრძოლების შემდეგ (ეგერებს საკმაოდ დიდი დანაკარგი ჰქონდათ — დაკარგეს ოფიცერთა მთელი შემადგენლობა და ერთი გენერალი) თურ[...]ბის ლიუნეტი დაეცა, რამაც ოსმალ[...] მდგომარეობა გაართულა.

ერთიმეორის მიყოლებით ეცემოდ[...] მათი რედუტები ახალციხის გარშ[...] სიმაღლეებზე. იგივე ბედი ეწია მათ [...]რითად ბანაკს სოფელ სხვილისისა [...] პამაჯის მიდამოებში, სადაც კაზაკ[...] თურქი ცხენოსნები საარტილერიო [...] საფრებაში შეიტყუეს.

9 აგვისტოს ფინალური აკორდი [...] — რუსებმა რაბათის თავზე (რაბა[...]ტყე) მოწინააღმდეგის რედუტი დაიკ[...]



ადანაც პასკევიჩს შესაძლებლობა მი-
ცა, არტილერიის კონცენტრირებული
ცეცხლით თურქების წინააღმდეგობის
ბისმიერი კერა მოესპო.

რუსების ალაფად იქცა 10 ქვემეხი, 12 დროშა, ტრანსპორტი, საარტილერიო ეთები, პროვიანტი და ა.შ.

მხოლოდ ტყვეების სახით თურქებმა 00 კაცი დაკარგეს. ფეხში დაჭრილი ქი-ოსა ფაშა ახალციხის ციხეში ჩაიკეტა.

ცოტა ხანში ახალციხესა და მის ცი-ეს სტრატეგიული სიმაღლიდან 46-ქვე-მეხიანი რუსული ბატარეა (მათ შორის იყო 12 ცალი 24-გირვანქიანი ქვემეხი და მორტირა) გადმოჰყურებდა.

ახალციხე განწირული იყო, თუმცა ქიოსა ფაშამ დანებებაზე უარი თქვა. მას ურდა შელახული რეპუტაცია სულ-ნის თვალში ახალციხელთა ფანატიზ-მის ხარჯზე აღედგინა.

15 აგვისტომდე გაგრძელდა პაუზა, რომელიც პასკევიჩმა ალყის შესამჭიდ-როებლად და პოზიციების გასამყარებ-ლად გამოიყენა. ახალციხის სამხრეთით ერუ პოზიციები მოეწყო, რასაც დამ-ცველთა ძალები უნდა დაეფანტა.

წინა ბრძოლებისგან (ყარსი, ახალ-ქალაქის აღება) განსხვავებით, როდესაც იერიში მოულოდნელად, დილით იწყე-ბოდა, ამჯერად შეტევა 4 სთ-თვის დაი-წყო. ამ დროს თურქები უფრო მოდუ-ნებული იყვნენ (საბრძოლო პოზიციებს ტოვებდნენ ყავის დასალევად და ა.შ.).

ციტადელისა და გალავნის გარდა რაბათს ღელეებისა და ხევების გაყო-ლებაზე გარს ერტყა მსხვილი, წაწვეტე-ბულთავებიანი, დაახლოებით 4 მეტრი სიმაღლის მარგილების მესერი სათო-ფურებითურთ. მოიერიშეებს ჯერ მარ-გილების მესერი უნდა გაერღვიათ, აე-ღოთ ბასტიონად ქცეული კათოლიკური ეკლესია და მხოლოდ ამის შემდეგ შეეღ-წიათ ქალაქში.

იერიშის დაწყების პატივი წილად ხვდა შირვანის პოლკის პირველ ბატა-ლიონს, რომელმაც სწრაფად გაარღვია მარგილების მესერი, დაიკავა რედუტი და მისი დამცველი 60-კაციანი რაზმი გაანადგურა.

ბატალიონმა კათოლიკური ეკლე-სიის აღებაც სცადა, მაგრამ დიდი წი-ნააღმდეგობა შეხვდა, მით უმეტეს, რომ ბასტიონის დასახმარებლად ქალაქის სიღრმიდან უკვე შემოდიოდა მუსლიმან-თა მრავალათასიანი კოლონა.

დღევანდელი რაბათის თავზე, კათო-ლიკური ეკლესიის გარშემო, გარდა-მავალი უპირატესობით თითქმის 2 სთ მიმდინარეობდა გააფთრებული და ხელ-ჩართული ბრძოლა. ჩანს, პასკევიჩმა აქ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, რომ მთა-ვარ დარტყმას მხოლოდ ერთი ბატალი-ონით აყენებდა მოწინააღმდეგეს. არადა, რუსი სარდლის განკარგულებაში, სულ მცირე, 2 პოლკი იყო.

ასეა თუ ისე, შირვანის პოლკმა ხიშ-ტებით გაიკაფა გზა, მით უმეტეს, რომ მესანგრეებმა მარგილების მესერი მოან-გრიეს და გაჩენილ ნაპრალებში მაშინვე შეაღწია არტილერიამ პოლკოვნიკ პო-პოვისა და პორუჩიკ ვაჩნაძის მეთაურო-ბით.

ორივე ოფიცერი ბრძოლის დასაწყ-ისშივე დაიღუპა. მათი ადგილი და-იკავეს პოლკოვნიკმა ბურცევმა და მეორე ვაჩნაძემ, რომლებიც უნარიანად ხელმძღვანელობ-დნენ საარტილერიო ცეცხლს და შირვანის ბატალიონს ამოცანის შესრულება გაუადვილეს.

ბატალიონმა, რო-გორც იქნა, კათოლიკუ-რი ეკლესია დაიკავა. მის სახურავზე ქვე-მეხები აიტანეს და ქალაქის მიმართულებით ცეცხლი გაიხსნა.

რამდენიმესაათიანი ბრძოლის შემდეგ რუსე-ბის ხელში გადავიდა 4 ბასტიონიდან 3, მაგრამ ბრძოლა გრძელდებოდა.

მაჰმადიანი მოსახ-ლეობის ფანატიკურმა წინააღმდეგობამ (მამა-კაცების ტანსაცმელში გადაცმული ქალებიც კი იბრძოდნენ) ჯარისკაცები უკიდურესად გაამძვინვარა. ისინი არავის ინდობდნენ.

მაგალითად, ერთი ჯა-რისკაცი შევარდა სახ-ლში, სადაც ორი ია-ნიჩარი თოფებს ტენიდა. ჯარისკაცმა ერთი მათგანი მოკლა, მაგრამ თვითონაც დაიჭრა. იქვე შემოვარდნილმა თურქის ქალმა მას ხმალი მოუქნია და ჯარის-კაცი სიკვდილს ჯვარედინა საბეჭურმა (ხარირმის ტყავისგან მზადდებოდა) გა-დაარჩინა. ჯარისკაცმა კი ხიშტით მეო-რე იანიჩარი და თურქის ქალი განგმირა. მახლობლად მყოფი ლამის ასი წლის თურქი კი ხმლით ხელში რუს გრენადე-რებს უშიშრად ეკვეთა და ერთ-ერთი კი-დეც მოკლა, თუმცა რუსმა ჯარისკაცებ-მა უმალვე ხიშტებზე წამოაცვეს.

ამ დროს ერთ-ერთ სახლს ყუმბა-რის დაცემის გამო ცეცხლი მოედო, რაც პასკევიჩის გამოცდილ თვალს არ გამოეპარა. მისი ბრძანებით [illegible]-მა უკვე დაკავებული სახლები [illegible]-ფოდ თივა-ჩალით გაავსეს და ცეცხლი წაუკიდეს.

სულ ცოტა ხანში ქალაქის ქვედა ნა-წილი ცეცხლის ალში გახვია. ეს იყო ტრაგიკული და იმავდროულად „დიდებული“ სა-ნახაობა. რაბათის ოდესღაც არსებულ ძველ მეჩეთში 400-ზე მეტი მაჰმადიანი ჩაიწვა.



XIX საუკუნის დასაწყისის თურქი ჯარისკაცი

ცეცხლში გახვეულ ახალ-ციხეში ბრძოლა მთელი ღამე გაგრძელდა. როგორც ერთ-ერთი თვითმხილველი იხსენებდა, „ქა-ლაქის ბრძოლის საშინელება რკი-ნის ნერვების მქონე ადამიანსაც კი შეაძრწუნებდა“.

დილისთვის თურქების ხელ-ში ქალაქის ერთი მეოთხედი თუ რჩებოდა. ქიოსა ფაშამ რუ-სებთან მოლაპარაკება გამარ-თა, სადაც პასკევიჩმა ციხის დარჩენილი დამცველებისგან იარაღის დაყრა მოითხოვა. თურქებმა ეს მოთხოვნა შეას-რულეს და საბრძოლო მოქმე-დებაც შეწყდა.

ახალციხის ბრძოლა თურ-ქების სრული მარცხით დას-რულდა. მათ 8 ათასი კაცი და-კარგეს. ხანძარს ემსხვერპლა 3 ათასზე მეტი ახალციხელი.

რუსული არმიის დანაკარ-გმა მოკლულთა სახით 1 გენე-რალი, 62 ოფიცერი და 600 ჯა-რისკაცი შეადგინა, ხოლო 471 დაიჭრა.

რუსებს ალაფად დარჩათ 73 ქვემეხი, 52 დროშა, ტყვედ ჩაიგდეს 2 ფაშა. ახალციხის ციხიდან 800-ზე მეტი კაცი გათავისუფლდა.

ახალციხის ბრძოლასთან დაკავში-რებულია თქმულება, თუ როგორ ჩამო-აგდო ოფიცერმა და პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა ნამგალა ნახევარმთვარის სიმბოლო მეჩეთიდან ზარბაზნის ერთი გასროლით.

1829 წელს თურქებმა ახალციხის დაბ-რუნება სცადეს, მაგრამ გარნიზონის წი-ნააღმდეგობამ მათ ამაზე ხელი ააღებინა. ახალციხესთან დაკავშირებულია ყირიმის ომის ერთი ეპიზოდიც — 1853 წელს გენე-რალმა ანდრონიკაშვილმა აქ დაამარცხა ოსმალთა 20-ათასიანი კორპუსი.

**გიორგი გოგოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯორჯ ვაშინგტონი

## 1732–1799

ჯორჯ ვაშინგტონი დიდი ტაქტიკოსი და სტრატეგი არ ყოფილა, მაგრამ შექმნა ბრძოლისუნარიანი ჯარი „ნახევრად მშიერი, ჩამოძონძილი მამაკაცებისგან, რომელთაც არც გასამრჯელო ჰქონდათ და არც საომარი გამოცდილება, მაგრამ ყველა იმ გაჭირვებას უძლებდნენ, რისი გაძლებაც კი შეუძლია ადამიანს", – ასე აღწერდა ვაშინგტონი თავის ჯარს. მან დაამარცხა კარგად გაწვრთნილი და შეჭურვილი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ერის არმია – თუმცა, ამაში მცირედი წვლილი ფრანგებმაც შეიტანეს.

დაიბადა ვირჯინიაში, თამბაქოს პლანტატორის ოჯახში. პაპამისი ნორთამპტონშირელი ემიგრანტი იყო. ნახევარძმის წყალობით 16-დან 19 წლამდე ვაშინგტონი კალპეპერის ოლქის ინსპექტორად მუშაობდა და მაღალი ხელფასის წყალობით ვირჯინიის დასავლეთით, შენანდოას ველზე მიწა იყიდა. 1754 წელს, უკვე მაიორმა, ვირჯინიის ლაშქართან ერთად პირველად მიიღო მონაწილეობა ფრანგებთან ბრძოლაში მდინარე ოჰაიოსთან.

### ბრიტანელებთან ბრძოლა

მომდევნო წელს, როგორც ვიცე-პოლკოვნიკი და გენერალ ედუარდ ბრადოქის ადიუტანტი, ვაშინგტონი ძლივს გადაურჩა ჩასაფრებულ ფრანგებს, რომელსაც მათ მის რაზმს შეუტიეს. ამ შეტაკებას ბრადოქი ემსხვერპლა. პოლკოვნიკად დაწინაურებულმა ვაშინგტონმა დასავლეთ ვირჯინიის საზღვარზე ბრიტანულ ჯარს უსარდლა შვიდწლიან ომში. ბრიტანულ რეგულარულ ჯარში ჩარიცხვაზე უარის შემდეგ ის შინ, მაუნთ ვერნონში დაბრუნდა, პოლიტიკაში ჩაება და ვირჯინიის მოქალაქეთა პალატის წევრი გახდა. როდესაც ბრიტანეთ-

### ქრონოლოგია

* 1732 დაიბადა 22 თებერვალს ვირჯინიაში.
* 1754 ვირჯინიელ მოლაშქრეებთან ერთად ფრანგებს ებრძოდა.
* 1755 გენერალ ბრადოქის ადიუტანტია. „ბრადოქის სისხლის ღვრას" გადაურჩა.
* 1756 შვიდწლიან ომში ვირჯინიის საზღვრის დაცვის ლაშქარს მეთაურობს.
* 1758 ვირჯინიის მოქალაქეთა პალატის წევრი გახდა.
* 1775 კონტინენტური არმიის მხედართმთავრად დაინიშნა.
* 1776 ბრიტანელები ბოსტონიდან გააძევა; დამარცხდა ლონგ-აილენდთან, მაგრამ გაიმარჯვა ნიუჯერსის ბრძოლაში.
* 1777 ჯარები ველი-ფორჯისკენ წაიყვანა.
* 1778 საფრანგეთი ბრიტანეთთან ომში ჩაება.
* 1781 ბრიტანელები იორკთაუნთან დანებდნენ.
* 1789 ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიეს.
* 1797 ორი საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ გადადგა.
* 1799 14 დეკემბერს მაუნთ-ვერნონში გარდაიცვალა.



1776 წლის 25 დეკემბერს გენერალ ჯორჯ ვაშინგტონის ხელმძღვანელობით ამერიკის ჯარებმა მდინარე დელავერის ფორსირება მოახდინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა კოლონისტების დაბეგვრა გადაწყვი-ა დაცვის საფასურად, ვაშინგტონმა არი შეუთვალა მეფის მთავრობას და 774 წელს კონტინენტური კონგრესის რმომადგენელი გახდა.

## ამერიკული არმიის სარდლობა

ლექსინგტონისა და კონკორდის ბრძო-ების შემდეგ, ამერიკის რევოლუციის აწყებისას ის კონგრესის წინაშე სამხედ-რო უნიფორმით წარდგა და თავისი სამ-ახური შესთავაზა. ვაშინგტონი ფარული ენჭისყრით კონტინენტური არმიის სარ-ლად დაინიშნა და 1775 წლის ივლისში ოსტონში ბრიტანელები მოაქცია ალყა-ში. მისი ძალისხმევით ბრიტანელებს მომ-ევნო წლის მარტში ბოსტონის დატოვება მოუხდათ.

ვაშინგტონმა ყურადღება ნიუ-იორ-ისკენ გადაიტანა, მაგრამ 27 აგვის-ტოს ლონგ-აილენდთან მარცხი იგემა, მდენად პენსილვანიაში მხოლოდ 3000 მებრძოლითღა დაბრუნდა. 1776 წლის შობაღამეს ვაშინგტონმა გადალახა ყი-ნულით დაფარული დელავერი და ტრენ-ტონთან ჰესენის გარნიზონზე მიიტანა იერიში, შედეგად 900 ტყვე იგდო ხელთ. მომდევნო წლის 2 იანვარს პრინსტონ-თან ბრიტანელებს კიდევ ერთხელ სძლია მცირემასშტაბიან ბრძოლაში. ამ გამარ-ჯვებებით გათამამებულმა ვაშინგტონმა ბრიტანეთის დაუძლურებისკენ მიმართუ-ლი კამპანია გააჩაღა, იმედოვნებდა, რომ ალბიონს დააჩოქებდა. მაგრამ ბრენდი-ვაინთან მორიგი მარცხის შემდეგ ვე-ლი-ფორჯისკენ, სამხედრო ბანაკისკენ გადაწყვიტა უკან დახევა, სადაც მის მებ-რძოლებს სასტიკი ზამთრის გატარებამ მოუწიათ. სწორედ ამ დროს ევროპაში მისმა წარმომადგენლებმა პრუსიელ ბა-რონ შტოიბენთან გამართეს მოლაპარა-კება და ამერიკაში მიიწვიეს. შტოიბენმა რევოლუციური ჯარები გაწვრთნილ საბ-რძოლო რაზმებად აქცია.

1778 წელს საფრანგეთმა ბრიტანეთ-თან ომი წამოიწყო და ამერიკელ კო-ლონისტებს ფლოტით დაეხმარა. ბრი-ტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალები შედარებით სუსტი იყო, რამაც საფრან-გეთს საზღვაო ბრძოლებში უპირატესო-ბა მოუპოვა.

კაროლინაში ბრძოლათა სერიის შემდეგ ბრიტანელებმა გენერალ კორ-ნუოლისის სარდლობით უკან იორკთა-უნში დაიხიეს, ამასობაში კი ვაშინ-გტონს ნიუ-იორკში გენერალი ჰენრი კლინტონი ჰყავდა გამოკეტილი. რიცხ-ვმრავალი ფრანგულ-ამერიკული ჯა-რის მიერ ალყაშემორტყმული კორნუ-ოლისი დანებდა. ეს ბრძოლა ამ ომის გადამწყვეტი შეტაკება იყო.




## დამოუკიდებლობის დღე

● რამდენიმე გამარჯვების მიუხედა-ვად, 1776 წლისთვის ვაშინგტონი მიხ-ვდა, რომ კონვენციური კამპანიებით ბრიტანეთს ვერ დაამარცხებდა. ამი-ტომ გადაწყვიტა, სტრატეგიად დაესახა „დიდი შეტაკებების თავიდან აცილება" და აქცენტი გადაეტანა პატარ-პატარა დარტყმებზე. ბრიტანელები უნდა ეი-ძულებინათ, ვაშინგტონს დასდევნებოდ-ნენ. ე. წ. პოსტების ომი მათ დაქანცვასა და სახსრების განიავებას ისახავდა მიზ-ნად. მიუხედავად ამისა, იორკთაუნთან ბრძოლამდე ბრწყინვალე გამარჯვება არ მოუპოვებია.

● 1781 წელს გენერალმა კორნუო-ლისმა ბრიტანული რაზმები იორკთაუ-ნისკენ დახია, რათა ნიუ-იორკში მყოფ გენერალ ჰენრი კლინტონთან შესძლე-ბოდა ზღვით დაკავშირება. მას 7000-მა ამერიკელმა და ამდენივე ფრანგმა რე-გულარულმა მებრძოლმა შემოარტყა ალყა. 36-ხომალდიანმა ფრანგულმა ფლოტმა მცირერიცხოვანი ინგლისური ფლოტი არ გაატარა, რომელიც ალ-ყაში მყოფთა გადასარჩენად მიცურავ-და. საკვების ნაკლებობისა და მტრის სიჭარბის გამო (ორი მოკავშირე ერთ ბრიტანელზე) კორნუოლისმა დანებება არჩია.

*მოამზადა*
**ლევან ინასარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ მოკლა ამერიკელი მზვერავი საქართველოში?

(დასაწყისი იხ. მე-10 გვ.)



„კალაშნიკოვიანი“ შარმაიძე შესაძლოა მხოლოდ განტევების ვაცი ყოფილიყო...

## საით მიდის ვუდროფის მკვლელობის კვალი?

„ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია: „სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ვუდროფი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცერს, ოლდრიჩ ეიმსს შეხვდა, რომელიც შემდეგ რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის გასამართლდა. ვუდროფს ერთი ტყვია ესროლეს მანქანაში, რომელსაც შევარდნაძის დაცვის ოფიცერი ელდარ გოგოლაძე მართავდა“. 1993 წლის გვიან შემოდგომაზე თურქეთის ერთ-ერთ კურორტზე ამერიკის დაზვერვის ეგიდით ჩატარდა ნარკოტიკების ტრანზიტის წინააღმდეგ მიმართული შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ამერიკის დაზვერვის მაღალჩინოსანი ოლდრიჩ ეიმსი იყო.

საინტერესოა, რომ ეს კონფერენცია თბილისში უნდა გამართულიყო და ეიმსი ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად 1993 წლის ივლისის ბოლოს საქართველოში იმყოფებოდა. ის შევარდნაძესა და საქართველოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელებსაც შეხვდა.

**ოფიციალური შეხვედრების შემდეგ ორმა ამერიკელმა — ეიმსმა და ვუდროფმა პიკნიკი მოაწყვეს ბუნებაში, ყაზბეგთან ახლოს. ვუდროფის საყვარელ ადგილას — ანანურის ციხესთან დიდხანს შეჩერდნენ და ფოტოსურათები გადაიღეს.**

ისინი 70-იანი წლების ბოლოდან იცნობდნენ ერთმანეთს. გარდა იმისა, რომ ერთ „კანტორაში“ (ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში) მუშაობდნენ, საერთო ისიც ჰქონდათ, რომ ორივე ბახუსისა და ამურის ღმერთებს უდრეკდა მუხლს. განსხვავება კი უფრო კარდინალური ჰქონდათ — ეიმსი ამერიკელი მზვერავის „ქურქში გახვეული“ რუსეთის უმნიშვნელოვანესი აგენტი, ვუდროფი კი ქართველების დასახმარებლად სპეციალურად გამოგზავნილი ამერიკელი მზვერავი იყო.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ იმავე გზაზე ფრედ ვუდროფს მოკლავენ. დამთხვევაა? საეჭვოა...

ამერიკელი მზვერავი ვაშინგტონში ცხოვრობდა და საქართველოში ერთორი თვით ჩამოდიოდა. ისიცაა ცნობილი, რომ ვუდროფი 1993 წლის შემოდგომაზე საბოლოოდ უნდა დაბრუნებულიყო სამშობლოში და დაწინაურება ელოდა.

**ფაქტია, რომ 1993 წლის ზაფხულში საქართველოში ყოფნისას მან გაცილებით დიდი საიდუმლო შეიტყო (ან ეჭვი გაუჩნდა), ვიდრე ჩვენს ქვეყანაზე გამავალი ნარკოტიკების ტრანზიტული გზებია. მისი სიცოცხლე აშკარა საფრთხეს უქმნიდა ვიღაცას. ამიტომაც გადაწყდა სასწრაფოდ ვუდროფის ლიკვიდაციის ოპერაციის დაგეგმვა და ჩატარება.**

მკითხველს ერთ „ჩამჭრელ“ კითხვას დავუსვამთ: სად უფრო იოლია აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს, ბევრი საიდუმლოების მცოდნე თანამშრომლის მკვლელობა, პოლიციელებითა და სპეცაგენტებით ყოველთვის გაძეძგილ ვაშინგტონში, თუ იმდროინდელ საქართველოში? ბუნებრივია, პასუხი გამოიცანით. ამიტომაც, ჩვენი ვარაუდით, ვუდროფის მკვლელობის გადაწყვეტილება მოსკოვში სწრაფად მიიღეს და ლიკვიდაციის გეგმის შესამუშავებლად საქართველოში სპეცჯგუფი მოავლინეს.

რუსეთის რომელი უწყება იდგა ამ ოპერაციის უკან? სავარაუდოდ, ეს იყო რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური (რომელსაც მაშინ საქართველოს „დიდი მეგობარი“, „პლეხანოველი“ ევგენი პრიმაკოვი ხელმძღვანელობდა) ან რუსეთის არმიის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო (რომელსაც 1992-1997 წლებში გენერალ-პოლკოვნიკი ფიოდორ ლადიგინი ხელმძღვანელობდა). შესაძლებელია რუსეთის ორივე სპეცსამსახური ერთობლივადაც მოქმედებდ ორივეს საქართველოში დიდი დასაყრდენ ძალა ჰყავდა. განსაკუთრებით კი სპეცსამსახურებსა და ძალოვან უწყებებში.

## გამოძიების ზიგზაგები

ვუდროფის საქმის გამოძიება თეთრ ძაფითაა შეკერილი, ხოლო თავად მკვლელობა ნაჩქარევად დაგეგმილისა და ჩატარებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

დღემდე აუხსნელია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მისი ხელისუფლების დასახმარებლად ათასობით კილომეტრიდან ჩამოსული კაცის მკვლელობის საქმე ბოლომდე არ მიიყვანა და აშკარა შეუსაბამო და გაყალბებული „მტკიცებულებები“ დაიჯერა.

მკვლელობიდან ერთი დღის შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ფრედ ვუდროფის ოჯახს ოფიციალური სამძიმრის წერილი გაუგზავნა, რომელშიც ვკითხულობთ:

**„ძვირფასო ქალბატონო ვუდროფ,**

**ამ მწუხარების დროს ძნელია მოძებნო ნუგეშის სიტყვები და შეუმსუბუქო ადამიანს ტანჯვა.**

**მე მაინც გადავწყვიტე, ჩემო ძვირფასო, გამოგიგზავნოთ თქვენ ეს მცირე წერილი და ჩემი ხალხის სახელით გამოვხატო მწუხარება ფრედის გარდაცვალების გამო.**

**დარწმუნებული ვარ, ეს იყო ბრმა შემთხვევა. ფრედი საქართველოში ჩამოდიოდა როგორც ჩემი ქვეყნის მეგობარი და მუდამ ასეთად დარჩება ქართველების ხსოვნაში.**

**ღრმა პატივისცემითა და თანაგრძნობით**

**ედუარდ შევარდნაძე.**

**10.08.93 წ“.**

გასაოცარია, მკვლელობიდან სულ
რთი დღე იყო გასული, გამოძიება ფაქ-
ობრივად არც კი დაწყებულიყო, რომ
აქართველოს ხელისუფლების პირველმა
ირმა მიითვისა გამოძიებისა და სასამართ-
ლოს პრეროგატივა და მკვლელობას „ბრმა
შემთხვევის“ კვალიფიკაცია მისცა.

რა სახისა და ვის მიერ მიწოდებულ
ნფორმაციასა და მტკიცებულებებს ეყ-
რდნობოდა შევარდნაძე, როდესაც მკვ-
ლელობის გამოძიებას თავიდანვე ასეთი
სამართულება მისცა? გააზრებული ჰქონ-
და თუ არა მაშინ „თეთრ მელას“, რომ
მ ორი სიტყვით — **„ბრმა შემთხვევა“**
დამნაშავეებს ხელს აფარებდა და ვიღაც,
სრულიად უდანაშაულო პირს ხანგრ-
ძლივი პატიმრობისთვის წირავდა?

შევარდნაძის „ჯიბის“ პროკურორე-
ბისთვის და მინისტრებისთვის ეს იყო
პირდაპირი ბრძანება და მათაც ყვე-
ლაფერი უნდა ეღონათ, რომ შევარდნა-
ძის შეკვეთა შეესრულებინათ, წინააღმ-
დეგ შემთხვევაში, სულ მცირე, უმუშევ-
რობა ემუქრებოდათ.

ამიტომაც არის, რომ მკვლელობიდან
ათი წლის შემდეგ, 2003 წელს, საქა-
რთველოს გენერალური პროკურორის
პირველმა მოადგილემ ვახტანგ გვარამი-
ამ, ვის უშუალო ზედამხედველობაშიც
მკვლელობის გამოძიება იყო, ერთ-ერთ
ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა, რომ
„ბრმა შემთხვევის“ ვერსიის გარდა სხვა
ვერსიებზე არც გვიფიქრია, იმდენად ნა-
თელი იყო ყველაფერიო.

ცსს-ს ერთ-ერთი ყოფილი თანამშ-
რომელი მოგონებებში წერს, შევარდნაძე
ამ პერიოდში ვულკანზე იჯდაო. თუმცა
შეიძლება დავუმატოთ, რომ ის ორ, რუ-
სულ და ამერიკულ „ვულკანზე იჯდა“.
თუმცა იმდენი შეძლო, რომ 12 წლის მან-
ძილზე ამ ორ სახელმწიფოს შორის არ-
სებული დაპირისპირება თავისი სკამის
შესანარჩუნებლად გამოიყენა.

**კიდევ უფრო გასაოცარია, როცა საქართველოს მომდევნო პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვუდროფის მკვლელობის საქმის გამოძიება ბოლომდე ვერ მიიყვანა.** „ვარდების რევოლუციის“
შემდეგ ამერიკელმა ადვოკატმა მაიკლ
ფულარამ და ანზორ შარმაიძის ადვოკა-
ტმა საქართველოს გენერალურ პროკუ-
რატურაში ახალ გარემოებათა გამო
საქმის ხელახალი გამოძიების შუამდ-
გომლობა შეიტანეს, მაგრამ გენერალ-
ური პროკურატურა სასტიკი წინააღმ-
დეგი წავიდა.

ბევრის მანიშნებელი იყო 2004 წელს
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტი-
ტუტში გამართული პრესკონფერენცია,
**როდესაც საქართველოს პრეზიდენტს „ვუდროფის საქმის“ ხელახალი გამოძიების დაწყება მაიკლ ფულარამ საჯაროდ სთხოვა, რასაც სააკაშვილის გააფთრებული პასუხი მოჰყვა, ჩვენ თვითონ ვიცით, რა გამოვიძიოთ და რა არაო.**


მართლაც „ნივაში“ მოხვდა ტყვია თუ არა ვუდროფს, ახალი გამოძიების ძირითადი გასარკვევი მნიშვნელოვანი დეტალია

თუმცა 2005 წლის 22 იანვარის ბოლოს
საინფორმაციო საშუალებები იტყობინე-
ბოდნენ, უშიშროების საბჭოს სხდომაზე
საქართველოს პრეზიდენტმა ამ საქმის გა-
მოძიების განახლება სთხოვა (!) საქართ-
ველოს ახალ გენერალურ პროკურორს.

2006 წლის აპრილის ბოლოს ცნობი-
ლი გახდა, რომ გენერალურ პროკურა-
ტურაში ანზორ შარმაიძის ბრალდების
მთავარი მოწმეები დაჰკითხეს, თუმცა შე-
დეგი დღემდე უცნობია.

გამოძიების თვალის დახუჭვა ბევრ,
აშკარა შეუსაბამობასა და წინააღმდე-
გობაზე, გენპროკურატურის შეუვალი
პოზიცია, რაც 2012 წლამდე გრძელდე-
ბოდა, გვაძლევს იმის უფლებას, რომ
განვაცხადოთ, — **გაურკვეველი მიზეზების გამო, შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებაში ბევრს არ სურდა სიმართლის დადგენა.**

საგამოძიებო მასალების ანალიზმა და
დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებებ-
მა დაგვარწმუნა, რომ ფრედ ვუდროფის
მკვლელობის გამო აღძრულ სისხლის
სამართლის საქმეში კანონის უამრავი
დარღვევაა.

რაც მთავარია, დარწმუნებით შეი-
ძლება ითქვას, რომ ანზორ შარმაიძეს
ბრალეულობა ობიექტური გამოძიებით
არ იქნა დადგენილი. მიზეზთა გამო შარ-
მაიძე აღმოჩნდა ის „დამნაშავე“, რომელ-
იც ყველას აძლევდა ხელს.

## წისქვილმა კი ფქვასო?

2003 წლის გაზაფხულზე ერთ-ერთ
საგაზეთო ინტერვიუში საქართველოს მა-
შინდელი პარლამენტის ადამიანის უფლე-
ბათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე
ელენე თევდორაძე აცხადებდა, რომ შე-
ვარდნაძის პრეზიდენტობის დროს არავის
აძლევს ხელს შარმაიძის ციხიდან გამოსვ-
ლა, რადგან სიმართლე გაირკვევაო.

ამის შემდეგ 9 წელზე მეტი გავიდა
და „ნაციონალების“ რეჟიმის დროს ვინ
და რატომ აბრკოლებდა ჭეშმარიტების
დადგენას?

ანზორ შარმაიძე, რომელიც წლების
მანძილზე არ აღიარებდა დანაშაულს
და საქმის ხელახლა გამოძიებას ითხო-
ვდა, მხოლოდ 2008 წლის შემოდგომაზე
გაათავისუფლეს.

ამ კაცს, ფაქტობრივად, ცხოვრება
დაენგრა. რა პერსპექტივები აქვს ვუდ-
როფის მკვლელობის საქმის განმეორე-
ბით, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით,
ნამდვილად ობიექტურ გამოძიებას?

ჩვენს საზოგადოებას აინტერესებს,
დღეს მაინც თუ გაირკვევა სიმართლე.
თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძნე-
ლია იმის თქმა, რა მდგომარეობაშია და
საერთოდ არსებობს თუ არა ნივთმტ-
კიცებები, უცნობია, სად იმყოფებიან ან
საერთოდ ცოცხალი არიან თუ არა ძირ-
ითადი მოწმეები (უპირველესად ის ორი
ქალი, რომლებიც გამოძიების მტკიცე-
ბით იმ „ნივაში“ ისხდნენ, სადაც ვითომ-
და ვუდროფი მოკლეს), ამიტომ ძალზე
ნაკლები შანსია სიმართლის დადგენისა.

თავად შარმაიძის ალაპარაკება ბევრს
არ აძლევს ხელს საქართველოშიც და
მის ფარგლებს გარეთაც, რადგან ამ კაც-
მა შეიძლება ბევრი დეტალი და ნიუანსი
გაიხსენოს, რაც თავდაყირა დააყენებს ამ
თეთრი ძაფით შეკერილ საქმეს. ახალი
ხელისუფლების გადაწყვეტილება, ფარდა
ახადოს ამ და სხვა ბურუსით მოცულ მკვ-
ლელობებსა და „თვითმკვლელობებს“,
მისასალმებელია, თუმცა ერთი ეჭვი არ
გვასვენებს: ეყოფა კი საქართველოს მთა-
ვარ პროკურატურას საკადრო რესურსე-
ბი ამისთვის?

**ბესიკ ალადაშვილი**

*ექსპერტი ეროვნული*
*უსაფრთხოების საკითხებში,*
*უშიშროების გადამდგარი*
*პოლკოვნიკი*



**თარაზული:** 5. ამერიკული რევოლვერი; 6. ისრაელის პორტი და მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა; 7. ღმერთი; 9. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი; 10. მხარე საქართველოში; 11. ისრაელის საშუალო სიშორის „ჰაერი-ჰაერი“ კლასის მართული რაკეტა; 13. გასროლილი ვაზნის სავაზნიდან ავტომატურად გამოსაგდები მექანიზმი; 18. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი; 19. საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი; 20. დიდი ბორცვი, გორა; 22. მდინარე საქართველოში; 23. ლოკატორი; 24. ცხენის ჭენება; 25. სამართალდამცავი ორგანო; 26. სამხედრო თავდაცვითი ნაგებობა; 27. იუგოსლავიელი დიქტატორი; 28. პოლონეთის ფეხბურთის გუნდი; 29. ქვეყ… ევროპაში.

**შვეული:** 1. სამოსამსახურეო ძაღლის ჯიში; 2. შვედუ… ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი; 3. ფრანგული ატ… ური სარაკეტო წყალქვეშა ნავი; 4. ისრაელის არმია; 8. ოფიც… წოდება; 12. ძველებური დიდი კალიბრის ზარბაზანი; 14. ალ… პოლი; 15. დაზვერვა პირადად მეთაურის მიერ ბრძოლის და… ყების წინ; 16. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 17. ბრაზილიუ… ტანკი; 21. ძვ. ქართული სიგრძის საზომი ერთეული; 25. მთავ… როლის შემსრულებელი ფილმში „უსახელო ნაძირლები“.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზული: 7. ჩხეიძე; 8. მეკარე; 9. ასროკი; 10. პაჯერო; 12. დინამიტი; 14. პეკინეზი; 15. სპა; 17. ეფა; 18. მისტრალი; … იანიჩარი; 25. რაკეტა; 26. იგუანა; 27. აქლემი; 28. მიროკუ; 29. ალჟირი; 30. ფირალი.

შვეული: 1. მხედარი; 2. კიი; 3. ვექტორი; 4. ნელსონი; 5. სამოთხე; 6. პერიოდი; 11. ეტა; 13. ისკანდერი; 14. პარტიზანი; … მერკავა; 19. ტრევსი; 20. არამისი; 22. ინგლისი; 23. ანაფორა; 24. თაკუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ФСБ-ს შეკვეთილი ჯავშანჟილეტების მხვრეტავი...

## ალექსანდრე ხინიკაძის ხელმძღვანელობით შექმნილი CP-2M Вереск-ი 70-მ-იდან 4 მმ სისქის ფოლადის ფურცელს ხვრეტს



გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში, მაშინ, როდესაც რუსეთი დამნაშავეთა სამყარომ წალეკა, ხოლო ჩეჩნეთში გაცხარებული ომი მიმდინარეობდა, რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა ФСБ-მ ქ. კლიმოვსკში განთავსებულ „ზუსტი მანქანათმშენებლობის ცენტრალურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს“ (ЦНИИТОЧМАШ) ისეთი კომპაქტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის შექმნა დაუკვეთა, რომლითაც სპეცრაზმელებს 200 მ-ში ჯავშანჟილეტიანი მოწინააღმდეგეების განადგურება, ხოლო 100 მ-ში კი შეუჯავშნავი ტექნიკის მწყობრიდან გამოყვანა შეეძლებოდათ.

მაშინ ამ რუსული ინსტიტუტის, რომელიც ცნობილი იყო სპეცდანიშნულების იარაღის (მათ შორის წყალქვეშა სროლისთვის განკუთვნილი) შექმნით, დირექტორი ჩვენი თანამემამულე ქობულეთელი ალექსანდრე ხინიკაძე გახლდათ, რომლის კოლექტივსაც უნდა გადაეწყვიტა რუსეთის მთავარი ჩეკისტების სასწრაფო დავალება.

მანამდე არსებული პისტოლეტის ძირითადი ვაზნა (9X18 მმ), რომელიც „მაკაროვისთვის“ იყო განკუთვნილი, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდა 200 მ-ში არათუ ჯავშანჟილეტის გახვრეტას, არამედ მიზანში მოხვედრასაც კი.

თავდაპირველად, საჭირო იყო უფრო მძლავრი პისტოლეტის ვაზნის შექმნა, რომლის ტყვიის ნარჩენი ენერგია 100-200 მ-ზე გაფრენის შემდეგაც საკმარისი იქნებოდა ჯავშანჟილეტის გასახვრეტად და მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოსაყვანად.

„მაკაროვის“ სტანდარტული 9X18 მმ კალიბრის ვაზნის ტყვია 6,1 გ-ს იწონიდა, მისი საწყისი სიჩქარე კი 315 მ/წმ გახლდათ, ხოლო ტყვიის საწყისი ენერგია 302 ჯოულს უტოლდებოდა.

ალექსანდრე ხინიკაძის ინსტიტუტში შექმნეს ახალი ძლიერი პისტოლეტის ვაზნა, რომლის კალიბრი 9X21 მმ გახლდათ. ამ ვაზნის სამი განსხვავებული ვარიანტი განკუთვნილი იყო სხვადასხვა საბრძოლო სიტუაციაში გამოსაყენებლად.

СП-11 ტიპის ვაზნის 7,9 გ მასის ტყვია (ტყვიის გულით) განკუთვნილი იყო შენობებში სპეცოპერაციების ჩასატარებლად და ტყვია ნაკლებად იძლეოდა რიკოშეტს კედლებზე მოხვედრისას. ტყვიის საწყისი სიჩქარე 390 მ/წმ-დე ადიოდა, საწყისი ენერგია კი 900 ჯოულს უტოლდებოდა.

СП-10 ტიპის ვაზნის ჯავშანგამტანი ტყვია 6,7 გ-ს იწონიდა (საწყისი სიჩქარე 410 მ/წმ; საწყისი ენერგია 563 ჯოული) და მეორე-მესამე კლასის ჯავშანჟილეტების 100-200 მ მანძილზე გახვრეტისთვის იყო განკუთვნილი.



**ჩვენი დოსიე:** რუსული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი CP-2M Вереск-ი ვაზნების გარეშე 1,65 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე 607 მმ-ია (დაკეცილი კონდახით 367 მმ), სიგანე 41 მმ, სიმაღლე 190 მმ. ლულის სიგრძე 172 მმ-ს შეადგენს. მჭიდში 20 ან 25 ცალი 9X21 მმ კალიბრის ვაზნა ჩადის. სროლის ტემპი წუთში 820 გასროლას შეადგენს.

CP-2M Вереск

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსი სპეცრაზმელ
ალჭურვილო



СП-12 ტიპის ვაზნის ექსპანსიური ტყვია დიდი შემაჩერებელი ძალით გამოირჩეოდა, ხოლო СП-13-ს კი ჯავშანგამტან-ტრასირებადი ტყვია ჰქონდა.

საგულისხმოა, რომ ხინიკაძის კოლექტივმა ჯერ კიდევ 20 წლის წინ წარმოადგინა კონცეფცია, როდესაც ერთ ვაზნაზე ორი ტიპის იარაღი — პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი СР-21М Вереск-ი და პისტოლეტი СР-1 Гюрза შექმნა.

ანალოგიური კონცეფციისაა ბელგიური 5,7X28 მმ კალიბრის ვაზნა, რომელიც გამოიყენება როგორც Five-seveN ტიპის პისტოლეტისთვის, ისე P90 ტიპის ორიგინალური კონსტრუქციის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისთვის.

რუსი სპეციალისტების მტკიცებით, СП-11 და СП-13 ვაზნების ტყვიებს 1,5-ჯერ მეტი შემაჩერებელი ძალა აქვთ, ვიდრე „მაკაროვისას". თუმცა ახალი მძლავრი პისტოლეტის ვაზნის შექმნა მხოლოდ ნახევარი საქ



СП-2 Вереск-ის
არასრული დაშლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისტოლეტ-ტყვიამფრქვევი
აკეცილი კონდახით

გახლდათ, რადგან საჭირო იყო ასევე ეფექტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის კონსტრუირება.

ჩვეულებრივი პისტოლეტის ვაზნებისთვის განკუთვნილი პისტოლეტტყვიამფრქვევების ავტომატიკა დაფუძნებულია თავისუფალი საკეტის გადაადგილებაზე.

იმის გამო, რომ CP-2M Вереск-ი გათვლილია მძლავრი ვაზნის გამოყენებაზე, მისი ავტომატიკა, ფაქტობრივად, ავტომატის ანალოგიურია, კერძოდ, ავტომატ CP-3 Вихр-ისა. გასროლისას ლულის თავზე განთავსებულ დგუშს ცილინდრში დენთის აირები აწვება და გადააადგილებს საკეტის ჩარჩოს, რომელშიც მბრუნავი საკეტია განთავსებული.

დაკეცილი კონდახით CP-2 Вереск-ის სიგრძე მხოლოდ 367 მმ-ია, რაც ადვილებს მის ფარულად ტარებას და მოულოდნელად გამოყენებას, თუმცა ბევრი დადებითი თვისების გარდა, „ვერესკებს“ რამდენიმე ნაკლი იმ რუსმა სპეცრაზმელებმა მაინც მოუნახეს, ვისაც ხშირად უწევთ მისი საბრძოლო სიტუაციაში გამოყენება.

მათი აზრით, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი ის არის, რომ დამცველი იარაღის მარჯვნივ არის განთავსებული, ხოლო ცეცხლის რეჟიმის გადამრთველი ბერკეტი კი მარცხნივ. გადასატენი ბერკეტი მხოლოდ მარჯვნივ არის და ისევე როგორც „კალაშნიკოვის“ შემთხვევაში, მსროლელმა გადატენისას სახელეტს თითი უნდა მოაცილოს.

სპეცრაზმელებს არც ის მოსწონთ, რომ წინა ხელის მოსაკიდი ძალიან ახლოსაა ლულასთან და ინტენსიური სროლის დროს მარცხენა ხელის თითმა მცირე დამწვრობაც კი შეიძლება მიიღოს.

CP-2M Вереск-ი შეიძლება შეფასდეს როგორც წმინდა რუსული იარაღი, რომელიც მართალია, არ გამოირჩევა დიდი კომფორტულობით, მაგრამ ტრადიციულად საიმედოობის მაღალი დონე აქვს.

ეს კომპაქტური, მაგრამ მძლავრი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი რუსეთის ზოგიერთი სპეცსამსახურის სპეცდანიშნულების რაზმების შეიარაღებაშია, რომლებსაც ისინი სხვადასხვა ოპერაციაში, მათ შორის — საზღვარგარეთ, იყენებენ.

***ირაკლი ალადაშვილი***

СП-10 და СП-11 ტიპის ვაზნები



# СР-2М Вереск




არსენალი

ISSN 1987-5061
9 771987 506007

б.36/13